

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

განათლების მეცნიერებები

ტარას შავშიშვილი

**თანამედროვე ტექნოლოგიები უცხოური ენის კურიკულუმში
(პედაგოგიკური, ზოგადდიაქტიკური და პოლიტიკური ასპექტები)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თამაზ კარანაძე**



**თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

2009

შინაარსი

შესავალი -----	3
თავი I. განათლების პოლიტიკა პლურილინგვიზმთან მიმართებაში -----	6
§1. პლურილინგვიზმის რაობა, მისი პოლიტიკური და პედაგოგიკური ასპექტები -----	6
§2. პლურილინგვიზმის პოლიტიკურ-კულტურული და ზოგადდიდაქტიკური ასპექტები -----	10
თავი II. უცხოური ენის კურიკულუმის პედაგოგიკური და პოლიტიკური ასპექტები -----	27
§1. კურიკულუმის გაგება თანამედროვე განათლების სისტემაში -----	27
§2. უცხოური ენის კურიკულუმის პოლიტიკური ასპექტები -----	34
§3. უცხოური ენის კურიკულუმის პედაგოგიკური ასპექტები -----	41
თავი III. უცხოური ენის კურიკულუმის ზოგადდიდაქტიკური ასპექტები -----	46
§1. კომუნიკაცია კურიკულუმში -----	46
§2. შეფასების სისტემა -----	54
§3. უცხოური ენის სწავლების პედაგოგიკური, ზოგადდიდაქტიკური და დიდაქტიკური ასპექტები -----	70
დასკვნა -----	103
ტერმინოლოგიური ლექსიკონი -----	108
ბიბლიოგრაფია -----	117
დანართები -----	120

შესავალი

ევროპა და ევროსაბჭოში შემავალი წევრი სახელმწიფოები მრავალენოვანია. ეს ძირითადი მახასიათებელია, რომელიც ამ სივრცეში საერთო პოლიტიკას განსაზღვრავს. საგანმანათლებლო პოლიტიკა საერთო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ევროპულ საზოგადოებაში დემოკრატიული, მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება.

ენათა და კულტურათა თანაარსებობა კაცობრიობის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის. მაგრამ, თანამედროვე სამყაროში ეს თანაარსებობა მანამდე არნახული სისწრაფითა და მასშტაბით ვითარდება. კიდევ ერთი რამ, რასაც არ იცნობდნენ წინა ეპოქები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. ამ ორი მოვლენის თანხვედრამ წარმოქმნა საშიშროება, რომელიც ემუქრება კულტურათა, ტრადიციათა, ცნობიერებათა თვითმყოფადობას: აბსტრაქტული უნივერსალიზმისა თუ მახინჯად გაგებული კოსმოპოლიტიზმის სახელით ყველას და ყველაფრის გაერთიანოვნება. ამ საშიშროებისგან თავდაცვამ, თავის მხრივ, წარმოშვა მეორე საშიშროება: კარჩაკეტილი პარტიკულარიზმი. ორივე პოზიცია ერთ საწყისზე დგას – არამეს, უცხოს, განსხვავებული თვითმყოფადობის არცნობა, არადიარება (5). როგორ გაგხადოთ შესაძლებელი თვითმყოფადობათა სიმრავლის ჰარმონიული თანაარსებობა ერთ სივრცეში? ამ კითხვას ევროსაბჭო *პლურილინგვიზმის* დანერგვა-განვითარებით პასუხობს. ეს მიმართულება ევროპაში რამდენიმე წლის წინ გამოიკვეთა.

ჩვენმა ქვეყანამ დასავლური სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება აირჩია. რამაც საქართველოს განათლების სისტემა ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა. სწორედ ამიტომ, ჩვენი ნაშრომის კვლევის ობიექტი საგანმანათლებლო სისტემაა, ხოლო კვლევის საგანი ულტრათანამედროვე პედაგოგოური მიმართულება *პლურილინგვიზმი და საგანმანათლებლო კურიკულუმი*, როგორც აღზრდის ნებისმიერი იდეის განხორციელების საშუალება.

ჩვენი ქვეყნის პოლიეთნიკური მოსახლეობა და სეპარატიზმისა და კონფლიქტების კერები მეტად საჭიროსა და აქტუალურს ხდის პლურილინგვიზმის იდეას მიმდინარე ეპოქის საქართველოსათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები მიზნად ისახავს დასავლური საგანმანათლებლო სისტემის თეორიული თუ პრაქტიკული მასალების მოძიებას, მათ, შეძლებისდაგვარად, საქართველოს სინამდვილეზე მორგებას, ექსპერიმენტირებას და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას, რომელიც თავის მცირედ წვლილს შეიტანს პლურილინგვიზმის იდეის განხორციელებისა და კურიკულუმის განვითარების საქმეში.

კვლევას და თავად კვლევის საგანს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს ფილოსოფია: პლურილინგვიზმის იდეა გაჯერებულია ფილოსოფიური პრაგმატიზმისა და იდეალიზმის საფუძვლებით. პლურილინგვიზმი, ერთის მხრივ, თავისი პრაგმატული საფუძვლებით, მართლაც, ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო პროდუქტია. იგი ადამიანური რესურსის რენტაბელურად გამოყენების საშუალებას იძლევა; იძლევა პროფესიული თუ ინდივიდუალური მობილურობის საფუძველს. მეორეს მხრივ, პლურილინგვიზმის თეორია ეხმარება “ახალი იერუსალიმის” იდეას, იდეას პლატონის “სახელმწიფოსი”, რუსთაველის იდეას “თხა და მგელი ერთად სძოვდეს”, ანუ იდეას, ერთა, კულტურათა, აღმსარებლობათა ჰარმონიული თანაარსებობისა.

პლურილინგვიზმის პოლიტიკური და პედაგოგიკური დატვირთვის შესახებ პირველ თავში ვსაუბრობთ, სადაც, ასევე, მისი სასწალო-აღმზრდელობით პროცესში ეფექტურად დანერგვის შესაძლებლობებსაც განვიხილავთ. პლურილინგვიზმი, რასაკვირველია, წინა პლანზე აყენებს თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რაც, თავის მხრივ, ხელმისაწვდომობის პრინციპსაც გულისხმობს. ეს თემა ნაშრომის იმ ნაწილებშია გაშლილი, სადაც სახელმწიფო კურიკულუმის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ.

სახელმწიფო საგანმანათლებლო კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის განათლების კოორდინაცია. ნაშრომის მეორე თავში მიმოხილულია კურიკულუმის წარმოშობა, მისი იდეა, მისი მიმართება ცენტალიზებულ და დეცენტრალიზებულ სისტემებთან. ასევე, განხილულია კურიკულუმის პოლიტიკური და პედაგოგიკური ასპექტები პლურილინგვიზმის ჭრილში. ვინაიდან პლურილინგვიზმის განხორციელების საქმეში ერთერთი წამყვანი საგანმანათლებლო დარგი უცხოური ენაა, ჩვენ, სწორედ, უცხოური ენის კურიკულუმის კვლევა დავისახეთ მიზნად.

პლურილინგვისტური ცნობიერება აღზრდის პრიცესში ვითარდება, ხოლო აღზრდა უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ფსიქოლოგიურ პროცესებთან. ამდენად, ნაშრომში ხშირად ვიყენებთ ფსიქოლოგიურ ელემენტებს.

რამდენადაც, თემა განათლების პოლიტიკასაც ეხება, ნაშრომში, ასევე, პოლიტიკის თეორიას ვიყენებთ.

კვლევის მეთოდებია დაკვირვება და ექსპერიმენტი. კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ჩვენს მიერ შეიქმნა არაერთი საგანმანათლებლო პროდუქტი, რომელთა ერთი ნაწილი დაინერგა კიდევ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის აქტუალობა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმას ეხმიანება. რეფორმის კვალდაკვალ განათლების სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიები ინერგება. სკოლები სრულიად ახალი, განსაკუთრებული მოთხოვნების წინაშე დგანან. ჩვენ შევეცადეთ ნაშრომში განგვეხილა დასავლური საგანმანათლებლო სივრცის ზოგიერთი მოვლენა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დანერგვის პროცესშია. ნაშრომის მესამე თავში შევეცადეთ დაგვენახა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მოღვაწეობის ის ელემენტები, რომლებიც უშუალოდ მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობას ეხება. ვთვლით, აღნიშნული ნაშრომი სასიკეთოდ წაადგებათ პედაგოგიკური მეცნიერების წარმომადგენლებს და პედაგოგებს, რომელთაც სურთ თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ათვისება და საგაკვეთილო პროცესში დანერგვა.

თავი I. განათლების პოლიტიკა პლურილინგვიზმთან მიმართებაში

§ 1. პლურილინგვიზმის რაობა, მისი პოლიტიკური და პედაგოგიკური ასპექტები

1.1 მულტილინგვიზმი და პლურილინგვიზმი

ევროსაბჭოს ლინგვისტურ პოლიტიკაზე მომუშავე სექტორის დასკვნით, ენობრივი მრავალსახეობა ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებულ ორ ფენომენს შეიცავს. ეს გახლავთ “მულტილინგვიზმი” და “პლურილინგვიზმი”.

– *მულტილინგვიზმი* არის მოვლენა, როდესაც გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში ერთზე მეტი სალაპარაკო ენა ან დიალექტი ფუნქციონირებს. ასეთ გეოგრაფიულ ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს შეიძლება მხოლოდ ერთ ენაზე მეტყველება შეეძლოს.

– *პლურილინგვიზმი* ეწოდება მოვლენას, როდესაც ადამიანებს მრავალ ენაზე ლაპარაკი შეუძლიათ. მაშასადამე ეს არის მონოლინგვიზმის (ერთენოვნების) საწინააღმდეგო მოვლენა. პლურილინგვიზმი სხვა ენებთან ერთად მშობლიურ ენასაც მოიცავს (36).

ამრიგად, მულტილინგვიზმი მოიაზრება, როგორც გეოგრაფიული ფენომენი, ხოლო პლურილინგვიზმი – სოციალური მახასიათებელი.

პლურილინგვისტური კომპეტენცია კომპლექსური ხასიათისაა. ის სხვადასხვა ინფორმაციის დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევათა ნაკრებია. იგი ინდივიდისგან რამდენიმე ენის ცოდნას და ამ გზით მოპოვებულ სათანადო კულტურულ გამოცდილებას მოითხოვს (37).

პლურილინგვიზმი, რასაკვირველია, უწყვეტი განათლებით ხასიათდება. იგი პიროვნებაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვითარდება. ინდივიდი შეისწავლის ენებს და შეიძენს კულტურულ კომპეტენციებს სიცოცხლის სხვადასხვა მომენტში, სხვადასხვა საჭიროებისა თუ მიზნის მიხედვით. შესაბამისად, პლურილინგვიზმი, არა მხოლოდ საშუალო და უმაღლეს

სასკოლო სისტემებზე, არამედ უწყვეტი განათლების ინსტიტუციებზეც ვრცელდება. ამასთანავე მისი კონცეფცია დამოუკიდებელი მოძრაობის ფართო საშუალებებს გვთავაზობს: "ჩვენი მიზანია ევროპელებს შევთავაზოთ ისეთი ხერხები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ გახდნენ პლურილინგვისტურები, იმ გეოგრაფიული ზონების მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ისინი ცხოვრობენ" (36). მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში, საქართველო შეიმუშავებს და განახორციელებს იმგვარ საგანმანათლებლო ენობრივ პოლიტიკას, როგორც მისი გეო-პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობისთვის იქნება სახარბიელო.

1.2. პედაგოგიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება პლურილინგვიზმში

ევროსაბჭო პლურილინგვიზმს განიხილავს, როგორც პედაგოგიკურ ისე პოლიტიკურ სპექტრში. თუმცა ამ მოვლენას წმინდა პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. ეს გახლავთ საბოლოო ანუ ძირითადი მიზანი. ისმევა კითხვა – თუკი პლურილინგვიზმის ძირითადი მიზანი პოლიტიკურია, მაშ რატომ უნდა განიხილებოდეს ის პედაგოგიკურ ჭრილში? პასუხის გასაცემად საჭიროა ზოგადი სახით განვიხილოთ ევრო-საბჭოს მიერ შემუშავებული პლურილინგვიზმის მიზნები და ამოცანები.

↓ პოლიტიკური მიზანი:

დემოკრატია და სოციალური ინტეგრაცია (37).

▲ პედაგოგიკური ამოცანა:

უნარი და შესაძლებლობა ენობრივი რეპერტუარის გამოყენებისა უმთავრესია დემოკრატიული, სოციალური და საბოლოო ჯამში, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობის მიღებისას (37).

↓ მიზანი:

პროფესიული და ეკონომიკური რეალიზაცია, ადამიანური კაპიტალის განვითარება (37).

▲ ამოცანა

პლურილინგვისტური აღზრდა აუცილებელი მომენტია ინდივიდუალური მობილურობისა პროფესიულ თუ ეკონომიკურ ასპექტში. ასევე ერთერთი ხელშემწყობი მომენტია საქონლის, ინფორმაციისა და ცოდნათა მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი ცირკულირებისა (37).

↓ მიზანი

მოქალაქეთა ცნობიერებაში საზოგადოებრივი, ეროვნული თუ კულტურული შემწყნარებლობის განვითარება (37).

▲ ამოცანა

პლურილინგვისტური აღზრდის პროცესში ინდივიდი შეეხება მისთვის უცხო, განსხვავებულ ენასა თუ კულტურას, აზროვნების განსხვავებულ ფორმებს (37), რის შედეგადაც იგი უფრო ძირეულად გაიაზრებს საკუთარ ეროვნულ თუ პიროვნულ თვითმყოფადობას და განსხვავებული სამყაროსადმი მეტად შემწყნარებელი გახდება.

1.3. პლურილინგვიზმი – პედაგოგიკური კვლევის საგანი

სახელმწიფოს პლურილინგვიზმთან მიმართებაში წმინდა პოლიტიკური მიზნები გააჩნია, რომელთაც უთუოდ პედაგოგიკური ამოცანები დაერთვება. ეს ამოცანები მიზნის მისაღწევ საშუალებებს წარმოადგენენ. პლურილინგვისტური კომპეტენცია აღზრდის პროცესში მოიპოვება. ამდენად, ამოცანის ქმედუნარიანობას პედაგოგიკა განაპირობებს, ხოლო ქმედითი ამოცანა მიზნის საიმედო საყრდენია. ამრიგად, პლურილინგვიზმი მართებულად მიიჩნევა პედაგოგიკური კვლევის საგნად (36).

1.4. პრაგმა პლურილინგვიზმში

აღზრდელობითი მიზნის გარდა პლურილინგვიზმს პრაგმატული მიზანიც აქვს. პლურილინგვისტური ცნობიერება (კომპეტენცია) (იხ. ტერმინოლოგიური ლექსიკონი) ინდივიდისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია. პლურილინგვისტური კომპეტენცია იძლევა კომუნიკაციის საშუალებას უცხოეთის კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ სამყაროსთან; აადვილებს საერთაშორისო ურთიერთობებს და მისაწვდომს ხდის ინფორმაციის ინტერნაციონალურ წყაროებს; სახელმწიფოსათვის რენტაბელურს ხდის ადამიანურ რესურსებს (37).

§2 პლურილინგვიზმის პოლიტიკურ-კულტურული და ზოგადდაქტიკური ასპექტები

2.1. ინტერკულტურა პლურილინგვიზმში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ ერთ-ერთ სემინარზე აღინიშნა: ”პლურილინგვიზმის ქვაკუთხედი ურთიერთცნობა და ურთიერთაღიარებაა. იგი კომპლექსური ცნებაა და, არსებითად, გულისხმობს ნებისმიერი ენობრივ-კულტურული (რაკი ენა და კულტურა განუყოფელი ფენომენებია) თვითმყოფადობის ცნობა-აღიარებას.” (5). სწორედ ეს არის, ჩვენი აზრით პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც განათლების დაგეგმვისას და სწავლება/სწავლის პროცესშიც უნდა იქნას გათვალისწინებული, ანუ განათლების ერთ-ერთ მთავარ მიზნად შესაძლებელია პლურილინგვიზმის განვითარება დავისახოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწავლება/სწავლის მეშვეობით მოსწავლეს უნდა

- გაუღვივდეს უცხოური ენების შესწავლისა და სხვადასხვა კულტურის გაცნობის სურვილი;
- განუვითარდეს, როგორც საკუთარი, ისე უცხო თვითმყოფადობის დაფასების და პატივისცემის უნარი.

ამასთან, მოსწავლემ უნდა

- აღიქვას კულტურათა და ენათა მრავალფეროვნება, როგორც სიმდიდრე;
- გაიდგას ფესვი საკუთარ თვითმყოფადობაში, რათა არ მოყვეს გაერთგმაროვნების წამლეკავ პროცესში; გაუქრეს შიში უცხოთა თუ განსხვავებულის მიმართ და არ აღიქვას ეს უკანასკნელი, როგორც ფენომენი, რომელიც მის თვითმყოფადობას ემუქრება (5).

პლურილინგვისტური კომპეტენციის განვითარება გულისხმობს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, განსხვავებული

მენტალობების, განსხვავებული ღირებულებების აღმოჩენას. ამდენად, ამ კომპეტენციის განვითარება გულისხმობს ინტერკულტურულ კომპეტენციასაც(იხ. ტერმ. ლექს.) – ეს არის უნარი, გაიგო განსხვავებული კულტურა, მიიღო სხვა ისეთი, როგორც არის; გაიხსნა მის მიმართ, მხოლოდ ისე, რომ არ მოწყდეს საკუთარ კულტურულ ფესვს (5).

2.2. განათლების პოლიტიკა და პლურილინგვისტური აღზრდის ადგილი პოლიტიკაში

ქვეყნის ნებისმიერი სფერო გარკვეული პოლიტიკური დაკვეთით ფუნქციონირებს. დაკვეთის ფორმულირებაში, დემოკრატიულ სახელმწიფოში, რასაკვირველია სხვადასხვა წარმომადგენლობა იღებს მონაწილეობას. ეს არის სახელმწიფო მმართველობა, სოციუმის გამჭოლი სფეროები თუ კონკრეტული დარგის სპეციალისტები. უნდა აღინიშნოს, რომ დაკვეთაში მოთხოვნათა დიდი წილი სახელმწიფოს ეკუთვნის. საზოგადოების მოთხოვნები გარკვეული კომპრომისით ფორმით უკანა პლანზე გადადის, იმ შემთხვევაში, თუკი დიდი სემანტიკური დაშორება არ არის სახელმწიფოსა და საზოგადოების შეხედულებათა შორის. ეს გარემოება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ სამართლებრივად შედეგზე პასუხისმგებელი სახელმწიფოა, საზოგადოება მხოლოდ მორალურ პასუხისმგებლობას იღებს. შესაბამისად პროცესის დაგეგმვასა და მართვაში მეტი წილი შედეგზე პასუხისმგებელს ეკუთვნის. თუმცა, არცთუ იშვიათად საზოგადოება არ ეპყება სახელმწიფოს დომინირებას ამ საკითხში და სხვადასხვა ფორმით გამოთქვამს ხოლმე პროტესტს (დემონსტრაციები, აქციები და ა.შ.).

განათლების სფეროში პოლიტიკური სამიზნე გარკვეული „ფორმის“ ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაა და სწორედ ამ საკითხზე მიმდინარეობს შეთანხმება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ყველა შემთხვევაში, დაკვეთის ადრესატი სკოლაა. სკოლამ უნდა უზრუნველყოს დაკვეთის შესრულება. ისმევა კითხვა: სკოლა სახელმწიფოა თუ საზოგადოება. სკოლა საზოგადოების წევრებისგან შემდგარი სახელმწიფო დაფინანსების მქონე ორგანიზაციაა, ანუ ფულს იხდის სახელმწიფო. შესაბამისად, თუ

დამფინანსებელიც და შედეგზე პასუხისმგებელიც სახელმწიფოა, ის დიდ წილს ითხოვს დაკვეთის ფორმულირებაში. ბუნებრივია სახელმწიფოს „რენტაბელური პროდუქტი“ სჭირდება, მისთვის მომგებიანი. მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული „საბაზრო ეკონომიკის“ იდეის საფუძველზე არცერთი ორგანიზმი არ გაიღებს დაფინანსებას „ინვესტირების“ პრინციპების გაუთვალისწინებლად, ინვესტირება კი, აუცილებელ უკუგებას გულისხმობს. ამრიგად სახელმწიფო დაკვეთა განათლების სფეროსადმი იმგვარი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაა, რომელიც სახელმწიფოს სარგებელს მოუტანს. პრაქტიკულად, ამ საკითხში საზოგადოებისა და სახელმწიფოს შეთანხმება არცთუ რთულია, მეტადრე იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ორგანიზმი თანამედროვეობისა (მიმდინარე ეპოქის) და ტერიტორიული სივრცის (ევროპის) მოთხოვნებს ითვალისწინებს.

ჩვენს ქვეყანაში ზოგადი განათლების სფეროსადმი დაკვეთას დოკუმენტი „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ („ზგემ“) ასახავს (4). ამ დოკუმენტში ასახულია ის მახასიათებლები, რომლებიც ადამიანს ქვეყნისათვის, საზოგადოებისა და საკუთარი თავისათვის სარგებლობის მომტანს გახდის.

როგორც მოგახსენეთ, სახელმწიფოც და საზოგადოებაც მიმდინარე ეპოქისა და ევროპული სივრცის აქტუალობასა და მოთხოვნებს ითვალისწინებს. მაშასადამე „პლურილინგვიზმი“, როგორც ევროპული სივრცის ერთ-ერთი პოლიტიკური მიმართლება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაზეც უნდა აისახებოდეს. მართლაც, „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ ვხვდებით ამგვარ პუნქტებს:

- ❖ „სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები“;
- ❖ „დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები.“;
- ❖ „სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.“ (4).

„ზემში“ ასახული პუნქტები, მართლაც, თანამედროვე, პროგრესული საზოგადოებისათვის შესაფერისი იდეალებია, თუმცა ყოველივე ამის განხორციელება გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. თუკი ჩავთვლით, რომ ამ მიზნების განხორციელების საშუალება საგაკვეთილო პროცესია, დავინახავთ თუ რამხელა დისტანცია აშორებს კონკრეტულ გაკვეთილსა და ეროვნულ მიზნებს. თვალსაჩინოებისთვის წარმოვიდგინო სქემას:

ზემ



გაკვეთილი

ჩნდება პრობლემა: როგორ დავაახლოვოთ ეროვნული მიზნების იდეალები ჩვენს გაკვეთილს?!

ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა კარგად შევისწავლოთ „ზემში“ მოცემული მექანიზმები. შესაძლებელია თავად დოკუმენტი იძლეოდეს კონკრეტულ ან რაიმეგვარ ინსტრუქციას.

„ზემში“ ვკითხულობთ ასეთ პუნქტს:

- ❖ „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება როგორც სასკოლო განათლების სფეროში ჩაბმული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ისე მიზნების მიღწევის ძირითადი გზები და საშუალებები.“ (4)

ეს თეზისი გარკვეულ ზოგად ინსტრუქტაჟს იძლევა, მაგრამ აქ კვლავაც დიად რჩება სასწავლო პროცესის საკითხი, ანუ, როგორ დაგვირგოთ სასწავლო პროცესში „ზემის“ იდეალები?!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „ზემთან“ ერთად გვთავაზობს სასწავლო-შინაარსობრივ დოკუმენტაციას და განმარტავს, რომ ეს დოკუმენტები განაპირობებენ ერვნული მიზნების მიღწევას სასწავლო პროცესის მეშვეობით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სადღეისოდ პედაგოგიური საზოგადოების დიდი ნაწილისთვის გაუგებარია ახალი სასკოლი დოკუმენტაცია. მითუმეტეს გაუჭირდება პედაგოგს მექანიზმების თავად შემუშავება, რომლითაც იგი საგაკვეთილო პროცესში დინამიკაში მოიყვანს „ზემში“ მოცემულ მახასიათებლებს.

რასაკვირველია აქ მასწავლებელს დახმარება დასჭირდება და სწორედ, ჩვენ მომდევნო ქვეპარაგრაფში შევეცდებით წარმოვადგინოთ „ზემის“ განხორციელების მექანიზმები.

2.3. განათლების პოლიტიკის იდეალების განხორციელება სკოლაში

გვინდა შეგახსენოთ, რომ რამდენიმე წელია ვმუშაობთ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების საკითხზე. კურიკულუმის განვითარების

ქაკუთხედი, შეიძლება ითქვას, მისი სასწავლო პროცესში დანერგვაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ კურიკულუმი დინამიკური ხასიათის დოკუმენტია, იგი ასახავს პროცესს. კურიკულუმის დანერგვა თითოეული მასწავლებლის მიერ მის გაცნობიერებას ნიშნავს. მასწავლებელი ზედმიწევნით კარგად

უნდა ფლობდეს დოკუმენტის მექანიზმებს; მან უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს კურიკულუმი. ამისათვის აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული განვითარება ამ მიმართულებით.

განათლების სფეროს მუშაკთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ჩვენ შევიმუშავეთ და ტრენინგ-კურსები, რომლებიც პედაგოგიურ კადრებს დახმარებას უწევს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ათვისებაში (ტრენინგ-კურსების სილაბუსები იხილეთ დანართში 6). ტრენინგები პერმანენტულად მიმდინარეობს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სამომავლოდ შედეგების კვლევას ვაპირებთ.

გვსურს მოგაწოდოთ ჩვენს მიერ შემუშავებული ტრენინგ-კურსის „ეროვნული მიზნებიდან გაკვეთილამდე“ მოკლე კონცეპტუალური მონახაზი. აღნიშნული კურსი უშუალოდ უკავშირდება ამ თავში განხილულ თემატიკას.

დასაწყისისათვის საჭიროა სქემატურად დავინახოთ სასწავლო-შინაარსობრივი დოკუმენტები და მიმოვიხილოთ მათი რაობა:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები



ეროვნული სასწავლო გეგმა



საგნობრივი პროგრამები



საგნობრივი
კონცეფცია

საგნობრივი
სტანდარტი

პროგრამის
შინაარსი

- ✚ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დანსაზღვრავს თუ როგორი ადამიანის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს სკოლა.
- ✚ ეროვნული სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი რომელიც განსაზღვრავს, თუ რა საგნები უნდა ისწავლებოდეს ზოგადი განათლების ამა თუ იმ საფეხურზე, როგორი საათობრივი განაწილებით. ასევე, დოკუმენტი განსაზღვრავს სწავლების შინაარსისა და ორგანიზების სხვადასხვა საკითხს.
- ✚ საგნობრივი პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია და მოიცავს მხოლოდ კონკრეტული საგნის ან საგნობრივი ჯგუფის (მაგ. ბუნებისმეტყველება – ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია.) სწავლების საკითხებს. საგნობრივი პროგრამა შედგება კონცეფციის, სტანდარტისა და პროგრამის შინაარსისაგან.
- ✚ საგნობრივი კონცეფცია განსაზღვრავს საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებს, მის როლსა და მნიშვნელობას ზოგადსაგანმანათლებლო ციკლში.
- ✚ საგნობრივი სტანდარტი წარმოდგენილია შედეგებისა და ინდიკატორების სახით. ინდიკატორი არის მაჩვენებელი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია გავარკვიოთ, მიღწეულია თუ არა შედეგი. სტანდარტის შედეგები ასახავს მოსწავლის მიღწევებს ამა თუ იმ კლასის დასრულებისას. შედეგები წარმოდგენილია დინამიკური ფორმითა და შინაარსით და გულისხმობს ინფორმაციის უნარ-ჩვევისა და დამოკიდებულების ფლობას.
- ✚ პროგრამის შინაარსი წარმოადგენს თემებისა და საკითხების (მასალა) ჩამონათვალს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სტანდარტის მიღწევა. პროგრამის შინაარსში მოცემული საკითხები მხოლოდ რეკომენდაციაა, მასწავლებელს შეუძლია თავადვე შეარჩიოს მასალა, რომელიც უკეთ მიიყვანს მოსწავლეს სტანდარტის მოთხოვნებამდე.

დავუბრუნდეთ „ზემსა“ და გაკვეთილს შორის დისტანციის საკითხს. ბუნებრივია, რაღაც გარდამავალი რგოლი უნდა არსებობდეს, რომელიც ამ დისტანციას შეამცირებს. ამისათვის საჭიროა ეროვნული მიზნების შესაბამისი კონცეპტუალური წანამდგრები ქვემდგომ დოკუმენტებში ვეძებოთ.


რასაკვირველია, ეს წანამძღვრები უკვე საგნობრივ ჭრილში უნდა განიხილებოდეს, რათა გააკვეთილთან სიახლოვე გამოიკვეთოს. ნაშრომის თავისებურებიდან გამომდინარე უცხოური ენის საგნობრივი ჯგუფის მაგალითებს მოვიშველიებთ.

ავიღოთ საგნობრივი კონცეფცია და მოვძებნოთ კავშირები „ზგემის“ პუნქტებთან. რასაკვირველია ვითვალისწინებთ პლურილინგვიზმს. თვალსაჩინოებისთვის საკითხს სქემატურად წარმოვადგენთ:

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები	უცხოური ენის საგნობრივი კონცეფცია
<p>საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.</p>	<p>უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება: ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.</p>	<p>წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან;</p>
<p>დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის</p>	<p>განსხვავებული კულტურული კონტექსტების და ტექსტების გაგება;</p>

<p>განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები; სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.</p>	<p>ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა;</p> <p>პიროვნული ინდივიდუალობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა.</p>
<p>მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების შეზენის უნარი.</p>	<p>ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით.</p>
<p>სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებლად გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები.</p>	<p>სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვა)</p>
<p>ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და თირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება.</p>	<p>ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;</p> <p>მშობლიური კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა.</p>

როგორც შევამჩნიეთ საგნობრივი კონცეფცია შესაძლებელია გარდამავალი რგოლის ფუნქციას ასრულებდეს. აქ წარმოდგენილია ეროვნული მიზნები საგნობრივ ჭრილში და შესაბამისად მეტად ახლოს დგას კონკრეტულ გაკვეთილთან, ვიდრე „ზემი“. საგნობრივი კონცეფცია გამომდინარეობს „ზემიდან“ და მიემართება გაკვეთილისკენ. ყოველივე ამის აღსაქმელად სქემას მოვიშველიებთ:



გაკვეთილი

ფაქტია, რომ ინტერვალი კვლავაც დიდია. მაშასადამე საჭიროა გაკვეთილთან მეტად დაახლოებული გარდამავალი რგოლების მოძებნა, თუმცა ეს რგოლები აუცილებლად უნდა გამომდინარეობდნენ ეროვნული მიზნებიდან და უნდა ქმნიდნენ გარკვეულ ქრონოლოგიას.

ჩვენ გადავწყვიტეთ სტანდარტისა და კონცეფციის დამუშავება იმავე ტექნოლოგიით, როგორც დავამუშავეთ „ზემი“ და კონცეფცია:

<p>უცხოური ენის საგნობრივი კონცეფცია</p>	<p>ცხოური ენის საგნობრივი სტანდარტი</p>
<p>უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება: ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.</p>	<p>შედეგებზე დაკვირვებით აღნიშნავს, სად აქვს წინსვლა;</p> <p>ასახელებს ზოგიერთ ფაქტორს, მიზეზს, რომელიც ხელს უშლის მის წინსვლას;</p> <p>მიუთითებს, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად;</p> <p>მიმართავს გამოსასწორებელ ზომებს ; იყენებს არსებულ და ქმნის ახალ რესურსებს ;</p> <p>ქმნის ოპერატიულ რესურსებს (ანბანურ/თემატური ლექსიკონი პლაკატი, მარტივი სქემა, კითხვარი და სხვა) და იყენებს მათ ;</p> <p>კორექტულად აღნიშნავს დაშვებულ შეცდომებს;</p> <p>კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს;</p> <p>შეფასებისას იჩენს კორექტულობას მეწვეილეს ეხმარება იმ საკითხებში, რომლებშიც თვითონაა ძლიერი;</p> <p>მეწვეილესთან ერთად გადაჭრის დასმულ ამოცანას;</p> <p>მეწვეილესთან ერთად ვარჯიშობს ინტერაქციაში;</p> <p>თათბირობს გუნდებთან (როგორ გადაჭრან საკითხი, ვინ რას დაინაწილებს).</p>
<p>წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან;</p>	<p>მოსწავლე მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციებში (მარშრუტის მითითება, კაფეში შეკვეთის მიცემა, ექიმთან ვიზიტი და სხვა);</p> <p>მოსწავლე მონაწილეობს მარტივ სიმულაციურ სატელეფონო საუბარში; გასაგებად წარმართავს ინტერაქციას;</p>

	<p>მონაწილეობს კლასში მიმდინარე საუბარში მისთვის ნაცნობ თემებზე (უშუალო გარემოცვა, აქტივობები, ინტერესები, გატაცებები, მომავლის გეგმები);</p> <p>უცხოურ ენაზე მიმართავს მასწავლებელს, თანაკლასელებს</p> <p>სათანადოდ იყენებს მიმართვის თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;</p> <p>რამდენიმე ფრაზით საუბრობს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე (უშუალო გარემოცვა, საკუთარი თავი, მომავლის გეგმები);</p> <p>მარტივი ენით ყვება წაკითხული ტექსტის შინაარს;</p> <p>რამდენიმე ფრაზით ყვება თავს გადამხდარ ამბავს.</p>
<p>განსხვავებული კულტურული კონტექსტების და ტექსტების გაგება;</p> <p>ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა;</p> <p>პიროვნული ინდივიდუალობის, მისი განუმეორებლობის</p>	<p>კორექტულად აღნიშნავს სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებს;</p> <p>კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს;</p> <p>უთანხმოებისას ახერხებს მორიგებას;</p> <p>ამოიცნობს კულტურულ\სიტყვიერ ინფორმაციას (პერსონაჟები, ცნობილი ადამიანები, დასახელებები);</p> <p>ადარებს ერთმანეთთან უცხო და მშობლიურ კულტურულ გარემოს (დღესასწაულები, ზნე-ჩვეულებები/ადათები, რეგიონული თავისებურებები, ქვეყნის წყობა, სიმბოლოები, დედაქალაქის ისტორია, ცნობილი ისტორიულ;</p> <p>ავლებს პარალელურ სხვა საგნებში შესწავლილ კონტექსტებთან და პოულობს მსგავსებებსა და განსხვავებებს;</p> <p>უცხოურ ენაზე ამზადებს</p>


<p>დაფასება და პატივისცემა.</p>	<p>პრეზენტაციებს საკუთარი კუთხის/რეგიონის შესახებ გამოთქვამს საკუთარ აზრს, შეხედულებას, დამოკიდებულებას; იჩენს ინტერესს თანატოლთა ცხოვრებისეული ისტორიების, განცდების, მოსაზრებების მიმართ ყვება საკუთარ ცხოვრებისეულ ისტორიებს, სადაც გადმოსცემს თავის განცდებს, ემოციებს, დამოკიდებულებებს; ამოიცნობს უცხო კულტურისთვის დამახასიათებელ ეტიკეტს; იჩენს ინტერესს კულტურულ განსხვავებების მიმართ.</p>
<p>ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით</p>	<p>კონკრეტული ამოცანის გადასატრედად თავს უყრის საჭირო ცოდნასა და რესურსებს; გამოკვეთს აქტივობის, სავარჯიშოს ამოცანას; გეგმავს შესასრულებელი დავალებების თანმიმდევრობას; მუშაობის პროცესში ადგენს რა უჭირს და უზიარებს ამ აღმოჩენას მასწავლებელს; მონაწილეობს თანაშეფასებებში და მასწავლებელთან ერთად მსჯელობს შეფასების კრიტერიუმებზე; საჭიროებისამებრ მოიძიებს ინფორმაციას სკოლაში არსებული რესურსების ფარგლებში (თვალსაზრისობები, სკოლის ბიბლიოთეკა, მასწავლებელი და სხვა) ; საჭიროების შემთხვევაში მოიძიებს სასურველ ინფორმაციას სკოლის გარეთ ; არ უფრთხის შეცდომების დაშვებას ;</p>

	<p>აკვირდება შეცდომას და ცდილობს გაარკვიოს მიზეზი ;</p> <p>სვამს შეკითხვებს, ითხოვს დახმარებას, როცა სიძნელეს აწყდება;</p> <p>არ ერიდება საკუთარი აზრის/შეხედულების გამოთქმას;</p> <p>ცდილობს დამოუკიდებლად გადალახოს სიძნელეები;</p> <p>იყენებს დამახსოვრების სხვადასხვა ხერხს (რამდენჯერმე წაკითხვა ან დაწერა, ასოცირება რაიმესთან, კონტექსტში გამოყენება, ერთი თემატიკის მიხედვით დაჯგუფება და სხვა);</p> <p>ამოკრებს ცუდად ათვისებულ ლექსიკურ ერთეულებს და ამუშავებს მას;</p> <p>კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნობს ენობრივ მექანიზმებს;</p> <p>იყენებს ამოცნობილ მექანიზმებს;</p> <p>ადარებს ერთმანეთს უცხოური და მშობლიური ენების გრამატიკულ მოვლენებს;</p> <p>იყენებს სქემებს, ტაბულებს, კლასიფიკაციებს, სტრუქტურულ მოდელებს.</p>
<p>სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვა)</p>	<p>გეგმავს შესასრულებელი დავალებების თანმიმდევრობას</p> <p>მუშაობის პროცესში ადგენს რა უჭირს და უზიარებს ამ აღმოჩენას მასწავლებელს;</p> <p>მონაწილეობს თანაშეფასებებში და მასწავლებელთან ერთად მსჯელობს შეფასების კრიტერიუმებზე;</p> <p>მიუთითებს, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს ხარვეზების</p>

	<p>აღმოსაფხვრელად;</p> <p>მიმართავს გამოსასწორებელ ზომებს ;</p> <p>სათანადო შეკითხვებს უსვამს მასწავლებელს/კომპეტენტურ პირს ;</p> <p>ქმნის ოპერატიულ რესურსებს (ანბანურ/თემატური ლექსიკონი პლაკატი, მარტივი სქემა, კითხვარი და სხვა) და იყენებს მას ;</p> <p>არ უფრთხის შეცდომების დაშვებას ;</p> <p>აკვირდება შეცდომას და ცდილობს გაარკვიოს მიზეზი ;</p> <p>სვამს შეკითხვებს, ითხოვს დახმარებას, როცა სიძნელეს აწყდება;</p> <p>არ ერიდება საკუთარი აზრის/შეხედულების გამოთქმას;</p> <p>ცდილობს დამოუკიდებლად გადალახოს სიძნელეები;</p> <p>იყენებს სქემებს, ტაბულებს, კლასიფიკაციებს, სტრუქტურულ მოდელებს;</p> <p>კორექტულად აღნიშნავს დაშვებულ შეცდომებს;</p> <p>კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს;</p> <p>შეფასებისას იჩენს მეწყვილეს ეხმარება იმ საკითხებში, რომლებშიც თვითონაა კორექტულობას;</p> <p>ძლიერი;</p> <p>მეწყვილესთან ერთად გადაჭრის დასმულ ამოცანას;</p> <p>მეწყვილესთან ერთად ვარჯიშობს ინტერაქციაში;</p> <p>თათბირობს გუნდებთან (როგორ გადაჭრან საკითხი, ვინ რას დაინაწილებს);</p> <p>ახერხებს გუნდებთან მორიგებას; გამოთქვამს მოსაზრებებს, უსმენს</p>
--	--

	<p>სხვისას; თავისი წვლილი შეაქვს დასმული ამოცანის გადაჭრაში.</p>
<p>ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; მშობლიური კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა.</p>	<p>ადარებს ერთმანეთს უცხოური და მშობლიური ენების გრამატიკულ მოვლენებს; ავლებს პარალელებს, პოულობს მსგავსებებსა და განსხვავებებს უცხო და მშობლიურ კულტურულ კონტექსტებსა თუ ტექსტებს შორის (ლეგენდა, ისტორიული გადმოცემა, კერძები, სკოლა და სხვა); მოიკვლევს ცნობებს საკუთარი რეგიონის, კუთხის შესახებ; უცხოურ ენაზე ამზადებს პრეზენტაციებს საკუთარი კუთხის/რეგიონის შესახებ; ცდილობს ამოიცნოს წარმოებული სიტყვების, ანდაზების, გამოთქმების მნიშვნელობა, პოულობს შესატყვისებს მშობლიურ ენაში, ადარებს მათ ერთმანეთს; ყვება საკუთარ ცხოვრებისეულ ისტორიებს, სადაც გადმოსცემს თავის განცდებს, ემოციებს, დამოკიდებულებებს; ავლებს პარალელებს, პოულობს ანალოგიებს, განსხვავებებს საკუთარ და სხვათა სულიერ სამყაროებს შორის (განცდები, ემოციური რეაქციები, დამოკიდებულებები); აკვირდება და აანალიზებს სოციოკულტურულ თავისებურებებს; ამოიცნობს უცხო კულტურისთვის დამახასიათებელ ეტიკეტს, სიმულაციურ სიტუაციებში იცავს სათანადო ქცევის ნორმებს.</p>

დოკუმენტების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი სტანდარტი ასახავს აქტივობებს, რომელთა ხშირი გამეორებით შესაძლებელია მოსწავლეს გამოუმუშავდეს ჩვევათა გამა. ცნობილი ფილოსოფიური დებულება რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლის შესახებ აქტივობის ჩვევაში განასვლის კანონზომიერებაზეც ვრცელდება. მაშასადამე, მასწავლებლისთვის უკვე გასაგები უნდა იყოს, რომ სტანდარტი გამომდინარეობს კონცეფციისგან, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ „ზემისგან“, ხოლო საგაკვეთილო პროცესში სტანდარტის შედეგებზე მუშაობა განაპირობებს ეროვნული მიზნების მიღწევას. ანუ თუ მასწავლებელმა მიზნად სტანდარტის მიღწევა დაისახა, ის თავისთავად იმ გზაზე აღმოჩნდება, რომელსაც ტაძართან („ზემთან“) მიყვავართ:



გაკვეთილსა და სტანდარტს შორის გარდამავალი რგოლი გაკვეთილის მიზანია. სწორედ გაკვეთილის მიზანი და არა თემა, ვინაიდან მიზანი ტიპოლოგიურად უთანხმდება ზემოთა სამ მოვლენას. სამივე მოვლენა

გაკვეთილის მიზანთან და თემასთან ერთად ტექსტუალურია, თუმცა „ზგემში“, კონცეფცია, სტანდარტი და გაკვეთილის მიზანი დინამიკური ხასიათისა არიან და ორიენტირი მოსწავლეზე აქვთ: „ზგემში“ – მოსწავლე, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს რაიმე ფორმის ადამიანად; კონცეფცია – ამა თუ იმ საგნის სწავლებით მოსწავლემ უნდა შეიძინოს გარკვეული მახასიათებლები; სტანდარტში – მოსწავლემ უნდა მიაღწიოს გარკვეულ შედეგს. რაც შეეხება თემას, ის სტატიკურია და თავის თავში არ შეიცავს მოსწავლეს. სწორედ ამგვარი კლასიფიცირებით ვარჩევთ გარდამავალ რგოლებს.

გაკვეთილის მიზნები უნდა გამომდინარეობდნენ სტანდარტის შედეგებიდან და უნდა მიემართებოდნენ მათკენ:

სტანდარტის შედეგი



A გაკვეთილის
მიზანი

B გაკვეთილის
მიზანი

C გაკვეთილის
მიზანი

მიზნებში გამოკვეთილი უნდა იყოს მოსწავლე, როგორც სუბიექტი. მიზანი უნდა გამოხატავდეს დინამიკას. მაგ. არ შეიძლება გაკვეთილის მიზანი იყოს რაიმე თემის შესწავლა. თემის შესწავლა მხოლოდ საშუალებაა, რომელიც მიზანთან მიგვიყვანს. თემის შესწავლითა და დამუშავებით მოსწავლემ უნდა *შეიძინოს ესა თუ ის მახასიათებელი; გააცნობიეროს ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობა და ა.შ.* თუკი ჩვენ გაკვეთილის მიზანს სტატიკურ ფორმულირებას მივანიჭებთ, იმთავითვე დავარღვევთ ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი სტანდარტით მუშაობის პრინციპს: სასკოლო განათლების ფარგლებში, საგაკვეთილო თუ არასაკვეთილო პროცესში ნებისმიერი თემის დამუშავება, პროცესშივე უნდა ემსახურებოდეს სტანდარტით დადგენილი შედეგის მიღწევას.

2.3.1. ევროპის პედაგოგიური კვლევის ინსტიტუციები პლურილინგვიზმის განვითარებისათვის

ევროპული პედაგოგიური კვლევის ინსტიტუციები კოორდინირებულად მუშაობენ პლურილინგვიზტური აღზრდის მექანიზმების სასკოლო სისტემაში დანერგვისათვის და, სწორედ, მათი საქმიანობის ნაყოფია მრავალი საცდელი პროგრამა, რომელთა აპრობაცია არცთუ დიდი ხანია მიმდინარეობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სკოლებში. ამ ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდოლოგიების მატარებელ პროგრამებს ერთი ძირითადი პედაგოგიური მიმართულება აკავშირებთ. ეს გახლავთ მოსწავლისათვის თავისუფალი ენობრივ-კულტურული გარემოს შექმნა, სადაც ბავშვი ძალდატანების გარეშე, დაინტერესების საფუძველზე მიღებს ცოდნას (15).

მართლაც, თუ დავაკვირდებით საქართველოში, ეთნიკურად შერეულ ტერიტორიებზე (უბნებში) მცხოვრებ მოზარდებს, დავინახავთ, თუ როგორ თავისუფლად ლაპარაკობენ ისინი მეგობრების მშობლიურ ენებზე. ისინი ბუნებრივ თავისუფალ ენობრივ გარემოში ცხოვრობენ და სხვადასხვა თამაშის საშუალებით, გაუცნობიერებლად, ეუფლებიან ერთმანეთის მშობლიურ ენებს. სწორედ ამგვარი სიტუაციის, ხელოვნურად, საკლასო ოთახში ჩამოყალიბებას ცდილობს თანამედროვე ევროპული პედაგოგიკა.

ამ საკითხთან მიმართებაში, აღსანიშნავია, დაწყებით სასკოლო ციკლში მყოფი მოზარდის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა: იგი მზად არის მიიღოს ყოველივე, რასაც მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური რეზერვუარი დაიტევს. ამ პერიოდში ბავშვს ძლიერ აქვს განვითარებული ვიზუალური და სმენითი მგრძნობელობა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია – მესხიერება.

სწორედ ასაკობრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით იქმნება უცხოური ენის სწავლების საკმაოდ ეფექტური ევროპული მეთოდები.

2.3.2. პლურილინგვისტური აღზრდევლობითი პროგრამის ექსპერიმენტირება

განხორციელებადია თუ არა პლურილინგვიზმის მიზნები? რამდენად ძალუძს საზოგადოებას მისი მოთხოვნებისა და ნორმების დაკმაყოფილება? “პლურილინგვიზმი განხორციელებადია” – ვკითხულობთ განათლების პოლიტიკის სახელმძღვანელოში (37). სახელმძღვანელოს შემდგენელები

ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ მეცნიერებათა მონაცემებზე დაყრდნობით თვლიან, რომ პლურილინგვიზმის იდეის განხორციელების შესაძლებლობა მდგომარეობს ადამიანის უნარსა და პედაგოგიკური მოღვაწეობის ეფექტურობაში. მართლაც, “ენების ევროპულ პორტფოლიოში” (19) მრავლად არის მოცემული უცხოური ენების სწავლების მეთოდი საშუალო და უმაღლესი სკოლებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდში პლურილინგვიზმის განვითარებას. ჩვენ გადავწყვიტეთ პრაქტიკულად გამოგვეცადა რომელიმე პროგრამა.

მრავალი ევროპული პროგრამის ფონზე, პედაგოგიური ექსპერიმენტის საშუალებად ავირჩიეთ მენის უნივერსიტეტის (Université du Maine) მიერ მომზადებული პროგრამა “L’veille aux langues”, შემოკლებით – “evlang”, რომელსაც სააპრობაციო საფუძველი ევროპის ექვს ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია) ჩაეყარა.




ექსპერიმენტი

2002/2003 სასწავლო წლის მეორე სემესტრში თბილისის 151-ე საშუალო სკოლაში დავიწყეთ პროგრამის – “ევლანგ” ექსპერიმენტაცია. აპრობაცია ერთი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროგრამის ძირითადი მიზანია „ხელი შეუწყოს ლინგვისტურად და კულტურულად პლურალისტური, სოლიდარული საზოგადოების მშენებლობას“ (52) და ითვალისწინებს შემდეგ ქვეშიზნებს:

- ინტერკულტურული ცნობიერების განვითარება (ლინგვისტური და კულტურული სხვადასხვაგვარობის გაგება და ნებისმიერი ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის დაფასება);
- მოტივაცია უცხოური ენების სწავლისათვის;
- მეტალინგვისტური უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადად ენის (მათ შორის მშობლიური ენის) სიღრმისეულად შესწავლას;
- ლინგვისტური კულტურის განვითარება.

ექსპერიმენტი მესამე კლასის განაყოფში ჩატარდა. მასში 12 მოსწავლე მონაწილეობდა. პროგრამის ექსპერიმენტირება ორი უცხოური ენის (ფრანგული და ინგლისური) სწავლების ფონზე, ფაკულტატიური საათების ხარჯზე მიმდინარეობდა. გაკვეთილების ინტენსივობა იყო კვირაში ერთი საგაკვეთილო საათი (45 წთ). ერთ სემესტრში 17 საგაკვეთილო საათი. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ პროგრამის ორ საინტერესო აქტივობას:

ბავშვებს ურიგდებათ ცხრა ცალი ქაღალდის ნაჭერი. თითოეულ მათგანზე გამოსახული ყვავილი რვა ფურცლით, რომელიც ამავე რაოდენობის რიცხვით სახელს იტევს.



ქაღალდის ნაჭრებზე თანაბრად არის გადანაწილებული რიცხვები სამი სხვადასხვა წარმოშობის ცხრა ენაზე (სამი გერმანიკული, სამი სლავური და სამი რომანული).

მოსწავლეებს ევალებათ, ჯგუფური მუშაობით, დაახარისხონ ენები მსგავსების მიხედვით. შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს ნამუშევარი და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.

გაკვეთილის ეს ნაწილი მხოლოდ ვიზუალურ აქტივობას მოიცავს. იგი ბავშვს სხვადასხვა წარმოშობის ენათა გრაფიკულ სტრუქტურას გააცნობს და აძლევს საშუალებას დააკვირდეს მათ მსგავსებასა და განსვავებას.

გაკვეთილის მეორე ნაწილში მოსწავლეს თვალსაჩინო მასალასთან ერთად აუდიო ჩანაწერის მოსმენა უწევს: მოისმინე ზღაპარ “წითელქუდას” სათაური ოთხ ენაზე:

Punahilkka	(ფინური)
O Capuchinho Vermelho	(პორტუგალიური)
Rotkappchen	(გერმანული)
Cappuchetto rosso	(იტალიური)

მოსმენისა და წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს აუდიო საშუალებით მიეწოდებათ ორ-ორი წინადადება ზღაპრიდან ამ ენებზე, მათ დაევალებათ ფრაზების იდენტიფიცირება.

ეს მომენტი, რომელიც მოსწავლეს ენათა ფონოსტრუქტურების განსხვავებულობის აღქმის უნარს განუვითარებს, პროგრამის მიზნების ორივე კატეგორიას ეხმიანება: ერთი მხრივ, ბავშვს განუვითარდება მეტალინგვისტური

მგრძობელობა, მეორე მხრივ, ენათა მრავალფეროვნების გაცნობიერება ინტერკულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

✓ შედეგები მიზნებთან მიმართებაში

პროგრამის შედეგების კვლევა 2003/2004 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დავიწყეთ. კვლევის ობიექტი შექვეყნებულ კლასის ექსპერიმენტული და ჩვეულებრივი განაყოფი იყო. კითხვარი ზემოთ მოცემული პირველი ქვეპუნქტის (ინტერკულტურული ცნობიერების განვითარება (ლინგვისტური და კულტურული სხვადასხვაგვარობის გაგება და ნებისმიერი ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის დაფასება)) მიხედვით შევადგინეთ. კითხვარის შემუშავებისას გავითვალისწინეთ ჩვენს საზოგადოებაში არსებული ენობრივი და კულტურული სტერეოტიპები. განაყოფებმა შეავსეს ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარები და ჩვენ მათი შედეგების საშუალება მოგვეცა. წარმოგიდგინოთ კითხვარს და პასუხების სტატისტიკურ მონაცემებს:

✓ კითხვარი:

➤ გინდა, რომ შენს სკოლაში ისწავლებოდეს სომხური ენა ?

ექსპერიმენტული განაყოფი — დიახ (10). არა (2)

ჩვეულებრივი განაყოფი — დიახ (1). არა (11)

➤ გინდა იცოდე თუ რა დღესასწაულები არსებობს ინდოეთში?

ექსპერიმენტული — დიახ (12). არა (0)

ჩვეულებრივი — დიახ (7). არა (5)

- თელი, რომ არაბული ენა არის ისეთივე დასაფასებელი, როგორც ინგლისური?

ექსპერიმენტული — დიახ (8). არა (4)

ჩვეულებრივი — დიახ (1). არა (11)

- გინდა იცოდე თუ რა ეროვნული კერძები აქვთ ირანელებს?

ექსპერიმენტული — დიახ (12). არა (0)

ჩვეულებრივი — დიახ (5). არა (7)

- გინდა გყავდეს თურქი მეგობარი?

ექსპერიმენტული — დიახ (10). არა (2)

ჩვეულებრივი — დიახ (1). არა (11)

- გინდა იმოგზაურო აზერბაიჯანში?

ექსპერიმენტული — დიახ (10). არა (2)

ჩვეულებრივი — დიახ (1). არა (11)

მაშასადამე, ექსპერიმენტული განაყოფის 83,3 % აკმაყოფილებს პირველ მიზანს, მაშინ როცა ჩვეულებრივი განაყოფის მხოლოდ 8,3 %-ს შეიძლება ქონდეს ამის პრეტენზია. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი განაყოფის 8,3 %-ს თავისთავად, პროგრამის გარეშე ქონდა განვითარებული და ინტერკულტურული ცნობიერება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ექსპერიმენტულ განაყოფშიც ამავე პროცენტულ მაჩვენებელს პროგრამის

ჩაურევლად ექნებოდა განვითარებული ამგვარი ცნობიერება. ამრიგად, პროგრამამ, სავარაუდოდ, ექსპერიმენტული ჯგუფის 75 %-ს ხელი შეუწყო ინტერკულტურული ცნობიერების განვითარებაში. ბუნებრივია კვლევის ეს მასშტაბი მწირია. ჩვენ ვაპირებთ მომავალში განვაგრძოთ აღნიშნული საკითხის კვლევა.

◆ დასკვნა

უდაოა, ევროსაბჭოში შექმნილი პროექტი, რომლის შემუშავებისას საქართველოს სპეციფიკა არ ფიგურირებდა და ჩვენს მიერ ჩატარებული მცირე მასშტაბიანი ექსპერიმენტი ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ჩვენს ქვეყანაში პლურილინგვიზმის განვითარების პროექტით გათვალისწინებული მექანიზმები საუკეთესო შედეგებს მოგვცემს. მაგრამ ეპოქა თავისას მოითხოვს: დღეს, ქართული საგანმანათლებლო სისტემა ევროპული სივრცისკენ მიემართება. ევროპას კი, თავისი მოთხოვნები აქვს. თუკი საქართველოს სკოლაში რიგი ევროპული სტანდარტების დანერგვა დასავლეთისათვის ხარკის გადახდას გულისხმობს, დაე მივცეთ „კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა“, ანუ დასავლური მოთხოვნების შესრულების ფონზე აღვზარდოთ ახალი თაობები, რომელთა ცნობიერება და მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს პრაქტიკული და ზნეობრივი აღმასვლის გარანტია იქნება.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების პოლიტიკის წიაღში პლურილინგვისტური იდეების გამოჩენა მხოლოდ ევროპული ორიენტაციით განპირობებული მოდური აქცია უნდა იყოს. თუკი ჩვენ პლურილინგვიზმის ერთერთ საგანმანათლებლო პრიორიტეტად აღიარებას ჩვენს ქვეყანაში ენობრივ-კულტურული და რელიგიური თანაცხოვრებისა და განვითარების მსვლელობას დაეუკავშირებდით, მეცნიერული ისტორიზმი უთუოდ დასტურს მოგვცემდა.

თავი II. უცხოური ენის კურიკულუმის პოლიტიკური და პედაგოგიკური ასპექტები

§.1. კურიკულუმის გაგება თანამედროვე განათლების სისტემაში

1.1 კურიკულუმის ეტიმოლოგია და მნიშვნელობა

თანამედროვე განათლების სფეროში „კურიკულუმი“ ფართოდ გავრცელებული და დამკვიდრებული ტერმინია. კურიკულუმი (curriculum) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და რაიმე განსაზღვრული ტერიტორიის გაკვალვას, გადარბენას ნიშნავს. ამ სიტყვას ძველ რომში დოდის აღსანიშნავად იყენებდნენ. კურიკულუმი განათლებაში გამოიყენება პროგრამის, გზის, გეზის მნიშვნელობით. სახელმწიფო კურიკულუმი ეწოდება სასწავლო პროცესის გეგმისა და შინაარსის ერთიანობას, რომელსაც მწყობრი, თანმიმდევრული, განვითარებადი სახე აქვს (13). მასში განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები და სასწავლო პროგრამები საგნებისა და საფეხურების მიხედვით. სახელმწიფო კურიკულუმი ადგენს აუცილებელ სტანდარტიზებულ მოთხოვნებს – მისაღწევ მიზნებს და მეტნაკლებად დაკონკრეტებულ სასწავლო პროგრამებს. (30)

1.2. „კურიკულუმის“, სულ უფრო ხშირი გამოყენება მსოფლიოს განათლების სფეროში მხოლოდ სიტყვის საკითხია თუ არსისა?

სადღეისოდ, მსოფლიოს განათლების სფეროში მსჯელობა „კურიკულუმის“ შესახებ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მოვლენაა. თითქმის ყველა ქვეყნის განათლების სისტემამ ტერმინები „სასწავლო გეგმა“ და „პროგრამა“ ტერმინ „კურიკულუმით“ შეცვალა.

ბრიტანელებსა და ამერიკელებს განათლებასთან მიმართებაში ტერმინი „პროგრამა“ არც არასდროს გამოუყენებიათ: მართალია არსებობს სიტყვა

პროგრამა, მაგრამ ის სპექტაკლთან ან პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებაში იხმარება(24).

არაანგლოფონურმა ქვეყნებმა, რომლებიც ჩვენს მსგავსად ტერმინებს "სასწავლო გეგმა" და "პროგრამა" იყენებდნენ, თანდათანობით შეითვისეს კურიკულუმი ან მისი თარგმანი მაინც. გერ-ში უარის თქმა Lehrplan-ზე, ანუ სასწავლო გეგმაზე Rahmenrichtlinien-ის, თვით სიტყვა-სიტყვით გადმოტანილი კურიკულუმის სასარგებლოდ, შესაძლოა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ანგლო-ამერიკული გავლენითაც აიხსნას (61). თუმცა ამგვარი ახსნა არ გამოდგება იტალიის ან ესპანეთის შემთხვევაში. ამ ქვეყნებში ასეთივე ტერმინოლოგიური ევოლუცია გაცილებით უფრო ახლო წარსულში განხორციელდა. ესპანეთის 1990 წლის საგანმანათლებლო სისტემის მოწყობის ძირითადი კანონი (47) პროგრამაზე კი აღარ ლაპარაკობს, როგორც ეს მანამდე ოფიციალურ ტექსტებში ხდებოდა, არამედ კურიკულუმზე. იტალიაშიც curriculo-მ შეცვალა programmi ჯერ ბროკას კომისიის მიერ ლიცეუმისთვის შეთავაზებულ რეფორმებში, შემდეგ კი მან ფეხი მოიკიდა პედაგოგიურ გამოკვლევებში (40).

საიდან იღებს სათავეს ეს ევოლუცია? ეგებ მოდურ ფენომენთან გვაქვს საქმე, რომელიც უბრალოდ უცხოური სიტყვით გატაცებამ გამოიწვია და ამ სიტყვას უსაფუძვლოდ მიეწერება ნოვატორული თვისებები? ან ეგებ ეს ევოლუცია რეალურ ნებას გულისხმობს – სხვაგვარად მივუდგეთ სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებულ პრობლემებს. პირველი შესაძლებლობა ნამდვილად არ არის გამოსარიცხი: კურიკულუმის ცნების უამრავ დეფინიციათა შორის ზოგიერთი უმტკივნეულოდ მიესადაგება ჩვენს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ავტორისათვის კურიკულუმი არის „განათლების ან მისი შემადგენელი სპეციფიკური ელემენტების შინაარსის საერთო და სრული გეგმა, რომელიც სკოლამ უნდა შესთავაზოს მოწაფეებს, რათა უზრუნველყოს ისინი სერტიფიკატით“ (13). მაგრამ როგორც ჩვენთვის არაერთხელ შეუსხენებიათ ამ სფეროში ჩახედულ სპეციალისტებს (მაგ., 38), ამგვარი განსაზღვრება, სინამდვილეში, მიეკუთვნება „სილაბუსს“, ანუ პროგრამას, რომელიც აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს კურიკულუმისაგან. საგულისხმოა თუ როგორ განსაზღვრავენ ამ ტერმინს ფრანგი სპეციალისტები: “ეს არის დაგეგმილ ქმედებათა ინტეგრირებული ერთობლიობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს

მოსწავლის განათლება”. მაშასადამე “განათლება” და არა “სერტიფიკატი”. ამავე სპეციალისტების აზრით ეს “ დაგეგმილი ქმედებები წარმოადგენენ: სწავლების ორგანიზაციას, სასწავლო გეგმას, საათობრივ გადანაწილებას, სხვადასხვა მასალას (დიდაქტიკური, სასკოლო და ა.შ.), სწავლების მეთოდებს და შეფასების სისტემას (22). ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი უფრო მეტის მომცველი დოკუმენტია, ვიდრე სასწავლო გეგმა ან პროგრამა. თუმცა, მთავარი ალბად მაინც ის არის ვინ რა შინაარსს ჩადებს ამ ტერმინში.

განათლების საერთაშორისო ექსპერტის ჰიტენდრა პილაის მიერ საქართველოსათვის შეთავაზებულ სახელმწიფო სტანდარტებისა და კურიკულუმის რეფორმირების სარეკომენდაციო პროექტში ვკითხულობთ: “ კურიკულუმს არ გააჩნია შესატყვისი ქართულ ენაში, მაგრამ ეს ტერმინი მყარად არის დამკვიდრებული საერთაშორისო საგანმანათლებლო ლიტერატურაში, ამიტომ სასურველია, ქართველმა განათლების მესვეურებმაც (Educators) მიიღონ იგი. ის განსხვავდება სასწავლო გეგმისაგან, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში კურიკულუმის მაგივრობას გასწევდა” (უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტმა შეისწავლა საქართველოს განათლების სიტემაში მანამდე არსებული დოკუმენტაცია). ექსპერტი დასძენს, რომ კურიკულუმი მოიცავს ყველაფერს – განათლების ეროვნული ხედვიდან დაწყებული, საკლასო ოთახში ყოველდღიურად გასახორციელებელი აქტივობების ჩათვლით და საქართველოს განათლების სისტემას სთავაზობს კურიკულუმის შემადგენელ დოკუმენტთა ნუსხას: განათლების ეროვნული (სახელმწიფო) ხედვა (National Education vision), კურიკულუმის ეროვნული (სახელმწიფო) პოლიტიკა (National Curriculum policies), ეროვნული (სახელმწიფო) სტანდარტები (National Standarts), ეროვნული (სახელმწიფო) პროგრამა (National Syllabi), სკოლის სასწავლო გეგმა (School Teaching Plans), რომლებიც თავის მხრივ ქვედოკუმენტებს მოიცავენ. მაგალითად, კურიკულუმის ეროვნულ (სახელმწიფო) პოლიტიკაში წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები: საგანთა ჩამონათვალის პოლიტიკა (Subject curriculum policies), სწავლებისა და სწავლის პოლიტიკა (Teaching and learning policies), გამოცდებისა და შეფასების პოლიტიკა (Assessment and evaluation policies), თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის პოლიტიკა (Equity and Access policies) და საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკა სკოლებში. (34).

ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კურიკულუმი განათლების სისტემაში მიმდინარე პედაგოგიური პროცესების ერთგვარი კოორდინირების საშუალებაა და მისთვის უპირატესობის მინიჭება ახალი მიდგომის შემოღებას ნიშნავს.

გავიხსენოთ ის კონტექსტი, რომელშიც თავდაპირველად იქნა გამოყენებული კურიკულუმი დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში, და, რომელშიც იშვა ის საზრუნავები, დღემდე რომ ინარჩუნებენ აქტუალობას. მე-19 საუკუნის ბოლოს, მოსახლეობის საგრძნობლად გაზრდილი მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად იწყება ბრიტანული და ამერიკული სასკოლო ქსელის განვითარება. ვინაიდან არ არსებობდა ინსტანცია, რომელიც სათანადო ოფიციალურ ნორმებს შექმნიდა, თითოეული სასწავლო დაწესებულების წინაშე დადგა იმის განსაზღვრის აუცილებლობა, თუ რა უნდა ესწავლათ მოწაფეებს.

ამერიკული კონსტიტუცია (ფედერალური სახელმწიფოს დონეზე) არ ცნობდა კომპეტენციებს განათლების დარგში, ხოლო სხვადასხვა შტატის განათლების განყოფილებები, ცალკეული ადამიანისა და კოლექტივის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, მოცემულ სფეროში სრულ თავისუფლებას სკოლის წარმომადგენლებსა და ოჯახებს უტოვებდნენ. ანალოგიური ვითარება იყო ინგლისში, სადაც არ არსებობდა განათლების სამინისტრო და სადაც საგრაფოების საგანმანათლებლო სამსახურები ჩასახვის ფაზაში იმყოფებოდნენ (32,18).

როგორც "კურიკულუმის" ლათინური ეტიმოლოგია მოწმობს, იგი ნიშნავს ცდას გზების გაკვადვისა, რომელსაც უნდა მიყვებოდნენ მოწაფეები, რათა შეადწინონ გარკვეულწილად მანამდე აუთვისებელ ტერიტორიაზე. ამგვარად, ერთდროულად უნდა გადაწყდეს, თუ რა უნდა იქნას შესწავლილი, როგორ და რა მიზნებისთვის. გაერთიანებულ სამეფოში მიზნების შერჩევა იმ საგამოცდო ცენტრების შექმნამ გაამარტივა, რომელთა მიერ შეთავაზებულ გამოცდებზეც იყვნენ ორიენტირებულნი სასწავლო დაწესებულებები. თუმცა სავალდებულო პროგრამები მხოლოდ 1988 წელს გაჩნდა, რაც შინაურ საქმეებში ჩარევად იქნა მიჩნეული და მრავალი საპროტესტო აქციის საფუძველი გახდა.

უკანანასკნელი ოცი წლის მანძილზე ამერიკის ესა თუ ის შტატი ხშირად უმკაცრეს კანონებს აწესებს დიპლომების გასაცემად, თუმცა მათი

გაცემა სასწავლო დაწესებულებების პრეროგატივას წარმოადგენს. და მაინც, კონტროლის ასეთ გაძლიერებას იშვიათად მოჰყოლია სავალდებულო პროგრამების შემოტანა (18).

როგორც აღვნიშნეთ, კურიკულუმის შექმნის იდეა პირველად იმ ქვეყნებში გაჩნდა, სადაც განათლების სისტემა სრულიად დეცენტრალიზებული იყო და, სადაც სისტემის, მეტნაკლებად, ცენტრალიზაციას ცდილობდნენ. ამ მოვლენამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ კურიკულუმი ცენტრალიზებული სისტემისთვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი დოკუმენტია. თუმცა საფრანგეთის მაგალითი სულ სხვა ჭრილში დაგვანახებს ამ დოკუმენტს. “სინამდვილეში, თუ ჩვენ კურიკულუმს თავისუფლების კუთხით მივუდგებით, მივხვდებით, რომ ამ დოკუმენტის არსი, სწორედ, მოქნილობასა და არჩევანის თავისუფლებაში მდგომარეობს.“ – ვკითხულობთ ერთერთი ფრანგი სპეციალისტის ნაშრომში (58). მართლაც, საფრანგეთმა უკვე მრავალი წელია აიტაცა კურიკულუმის იდეა და დანერგა კიდევ განათლების სისტემაში. ამ ქვეყანას დეცენტრალიზაციის პრობლემა არ აწუხებს, პირიქით საფრანგეთი უკვე კარგა ხანია განათლებაში ცენტრალიზებული სისტემის შესუსტებას და სასწავლო დაწესებულებებისათვის მეტი თავისუფლების მიცემას ცდილობს. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კურიკულუმს, თუკი ის სათანადოდ იქნა შედგენილი და განხორციელებული, ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის ერთგვარი ბალანსირების უნარი გააჩნია.

კურიკულუმის ათვისება, გარკვეულწილად, ინიციატივასა და პასუხიმგებლობას მოითხოვს. კურიკულუმის ათვისება არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომელზეც პასუხს თავად არჩევანის გამკეთებელი აგებს. ამდენად, გასაგებია თუ რა ამოძრავებთ მათ, ვისაც დღესდღეობით სურთ კურიკულუმის იმ სისტემებში დანერგვა, რომლებიც აღბეჭდილნი არიან სავალდებულო პროგრამული რეგლამენტების ხანგრძლივი ტრადიციით. კურიკულუმის მომხრეებს სწორედ ამ არტახების მოშვების ან სულაც გახეთქვის იმედი აქვთ, რათა მეტი ავტონომია მიეცეს სასწავლო დაწესებულებებსა და მასწავლებლებს; რათა შეიზღუდოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივები და გაფართოვდეს ურთიერთშეთანხმებები საგანმანათლებლო პარტნიორებთან; რათა უკუგდებულ იქნას მეტისმეტად

ერთსახოვანი სახელმწიფო საგანმანათლებლო ნორმები და შესაძლებელი გახდეს მათი მრავალმხრივი მოდულაცია.

მართლაც, კურიკულუმი არ კმაყოფილდება თეორიული ცოდნის ჩაბეჭდვით მოწაფეთა თავებში. მას სურს უზრუნველყოს პიროვნული განვითარებაც და მოსწავლეებში ყველა იმ უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ჩასაბმელად. კურიკულუმმა უნდა უზრუნველყოს მოწაფეთა „ პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განუწყვეტელი პროგრესი “ (13). სხვა სიტყვებით: კურიკულუმი არის „ გამოცდილებათა ერთობლიობა, რომელსაც მოწაფე სკოლის ხელმძღვანელობით იღებს “ (18) ან კიდევ, „ცხოვრების მართვის ძალისხმევა“ (61).

ეს ამბიციები სათავეს კონკრეტული სოციო-კულტურული გარემოდან იღებენ. ისინი, ვინც ინგლისში კურიკულუმის პროფილზე ფიქრობენ (თვით ნაკლები შესაძლებლობების მქონე სკოლებიც კი), ვერ დაივიწყებენ დიდი კერძო სკოლებისა თუ ცნობილი public school-ების მოთხოვნებს, რომელთათვისაც გონებრივი განვითარება, სპორტული წვრთნა და კოლექტივში ცხოვრების სწავლა პირველ პლანზე დგას. შეერთებულ შტატებში იგივე მოთხოვნები გაჩნდა, თუმცა მათ სხვა საფუძველი ქონდათ: სკოლამ თითოეულ მოწაფეს ისეთი განათლება უნდა მისცეს, რომლითაც იგი საკუთარი წვლილის შეტანას შეძლებს ახალი ერისა და ახალი საზოგადოების აღმშენებლობის საქმეში (61). ბუნებრივია, რომ სწორედ აქ არის კიდევ ერთი ასპექტი, მეტად მაცდუნებელი მათთვის, ვისაც სურს სასწავლო გეგმები და პროგრამები ინფორმაციული ცოდნის პრიმატისაგან გაათავისუფლოს და მოსწავლეები უნარ-ჩვევების ფართო სპექტრით აღჭურვოს, რითაც ისინი შეძლებენ თავი გაართვან პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების სულ უფრო მზარდ და გართულებულ მოთხოვნებს.

ამ ორიენტაციებს კიდევ ერთი ყურადსაღები შედეგი აქვთ: ინფორმაციული ცოდნის შექმნა უკვე თვითმიზანს აღარ წარმოადგენს, არამედ მისი დანიშნულებაა განავითაროს ისეთი კომპეტენციები, რომელიც ცალკეულ დისციპლინათა ჩარჩოებს აღემატება. ამ შემთხვევაში საუბარია არა იმდენად ასათვისებელი ინფორმაციის ჩამონათვალის შედგენაზე, არამედ უნარ-ჩვევების, ქცევებისა თუ დამოკიდებულებათა ერთობლიობის განსაზღვრაზე.

ამას გარდა, შედეგების შეფასება, პუნქტუალური (სასკოლო ციკლთა დასასრულისას) სერტიფიცირების არსებობის შემთხვევაშიც კი, პერმანენტული პროცესი ხდება (6). ეს მიდგომები უდაოდ მომხიბვლელია მათთვის, ვისაც არ მოსწონს დისციპლინარული ზღუდეების მეტისმეტი მოუქნელობა, ან კიდევ, გამოცდების უარყოფითი წნეხი, რომელიც გარედანაა თავს მოხვეული და მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზეა ორიენტირებული.

მართალია, ამგვარად ჩაფიქრებული კურიკულუმი მხოლოდ იმ ზოგად ჩარჩოდ წარმოგვიდგება, რომელიც თითოეულ სასწავლო დაწესებულებაში კონკრეტულ სასწავლო გეგმად უნდა გადაიქცეს, რომელიც სწავლების შინაარსში ეტაპობრივ სვლას, პროგრესირებას განსაზღვრავს. აგრამ, სწავლების შინაარსი მოსაპოვებელი კომპეტენციების მიხედვით შეირჩევა, კომპეტენციების დაუფლება კი, დიფერენცირებული, განსხვავებული გზებით შეიძლება. ამრიგად, ის მიდგომა, რომელსაც მოითხოვს კურიკულუმი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ მიდგომისაგან, რომელიც ექვემდებარება ყველასათვის წინდაწინ დადგენილ პროგრამებს. თავისთავად ცხადია, რომ კურიკულუმის პრობლემატიკა, როგორცაც ის აქ არის წარმოდგენილი, იდეალურ შემთხვევას გულისხმობს, და არ არსებობს იმის ილუზია, რომ რეალობაში კურიკულუმი ასე აწყობილად მუშაობს. სხვათა შორის, ამას მიუთითებს უზარმაზარი ლიტერატურა, რომელიც ამ თემას დიდ ბრიტანეთსა თუ შეერთებულ შტატებში ეძღვნება.

ამრიგად, საკითხავია თუ რამდენად ქმედითად იცავენ სათანადო მიდგომას და მოთხოვნებს ის ქვეყნები, რომელთაც კურიკულუმის შედარებით ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და ისინი, ვისთვისაც ეს ჯერ კიდევ ახალი ხილია.

§2. უცხოური ენის კურიკულუმის პოლიტიკური ასპექტები

2.1. სახელმწიფო კურიკულუმის ზოგადი მიზნები პლურილინგვიზმთან მიმართებაში

სახელმწიფო კურიკულუმის მიზანია დაგეგმოს და განახორციელოს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც ურთიერთდაკავშირებული

ელემენტებისგან შემდგარ მრავალფეროვან სამყაროს გააცნობს მოსწავლეს. მოსწავლე თავად არის ამ სამყაროს ბინადარი და უნიკალური წარმომადგენელი. ამისათვის, კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესში

ა) ყოველი საგანი უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცოდნის ისეთი სისტემა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სხვა საგნებთან, ცოდნის სხვა სისტემებთან. მოსწავლე უნდა ეცნობოდეს ბუნებისა და კაცობრიობის (ცივილიზაციების) არსებობის, თუმცა განსხვავებულ, მაგრამ, ურთიერთგანმსაზღვრელ ასპექტებს;

ბ) მოსწავლე უნდა ეცნობოდეს საკუთარ ქვეყანას, მის ისტორიასა და კულტურას, მსოფლიოს სხვა ქვეყნების ისტორიებისა და კულტურების ერთიან კონტექსტში, რაც მას საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის სწორად გაგებისა და შეფასების საშუალებას მისცემს.

გ) მოსწავლე უნდა იძენდეს ისეთ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარ-ჩვევებს, რომ მან დაუბრკოლებლად შეძლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა. კეთილგანწყობილი იყოს განსხვავებული ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის ადამიანების, სხვა ტრადიციების, კულტურების და რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ.

2.2. საგანმანათლებლო დარგი, როგორც სახელმწიფო კურიკულუმის განუყოფელი ნაწილი

საგანმანათლებლო დარგი, როგორც სახელმწიფო კურიკულუმის განუყოფელი ნაწილი ემსახურება სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას : თავისუფალი, დამოუკიდებელი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში(4).

2.3. უცხოური ენის საგანმანათლებლო დარგი, როგორც კურიკულუმის განუყოფელი ნაწილი

საქართველო, როგორც ევროპის ერთ-ერთი წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელი გახდა ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება.

უცხოურმა ენამ, როგორც საგანმანათლებლო დარგმა მოსწავლეში უნდა განავითაროს პლურილინგვისტური ცნობიერება. ეს კი ახალგაზრდებს გამოადგებათ საქმიანობაში, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა თუ პირად ცხოვრებაში. მათ საშუალება მიეცემათ

- მიიღონ მათთვის სასურველი განათლება უცხოურ ენაზე საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით ;
- მოიძიონ ინფორმაციის ინტერნაციონალურ წყაროებში მათთვის სასურველი თუ საჭირო ინფორმაცია ;
- გაწვერიანდნენ საერთაშორისო საზოგადოებებსა თუ ასოციაციებში ;
- მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში ;
- გააცნონ და გაუზიარონ მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი ქვეყნის კულტურული ფასეულობები ;
- იმოგზაურონ და კარგად გაეცნონ სხვა ქვეყნების კულტურას ;
- გაეცნონ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერულ თუ ტექნიკურ მიღწევებს ;
- გაიმდიდრონ ცოდნა და გამოცდილება და ეს სიმდიდრე საკუთარ ქვეყანას მოახმარონ ;
- დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები უცხოენოვან ადამიანებთან ;
- დასაქმდნენ საკუთარ ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ ;
- ითანამშრომლონ უცხოენოვან პარტნიორებთან საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. (6)

2.4. უცხოური ენის სწავლები როლი სასკოლო განათლების მთავარი მიზნის განხორციელებაში

საგანმანათლებლო დარგის კურიკულუმი უნდა განსაზღვრავდეს იმგვარ სასწავლო პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალი, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას. უცხოური ენის სწავლის პროცესში მოსწავლეები უნდა ეზიარებოდნენ ისეთ ზნეობრივ ღირებულებებს, შეიძენდნენ ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ სამოქალაქო საზოგადოებაში საცხოვრებლად მოამზადებს. ამისათვის თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის, უცხოური ენის კურიკულუმები გამოყოფენ სამ ძირითად აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მიზანს:

- ◆ გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალის განვითარება ;
- ◆ მოქალაქეობრივი შეგნების განვითარება ;
- ◆ სტრატეგიული კომპეტენციის განვითარება. (59)

2.4.1. გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალის განვითარება.

გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება

- მოვლენათა გააზრების და პრობლემათა წვდომის უნარი, ანუ მოაზროვნე ადამიანი. ასეთ ადამიანს შეუძლია მოვლენათა მრავლმხრივი გაანალიზება და შეფასება.
- პრობლემების გადაჭრის უნარი, ანუ მოქმედი ადამიანი; ასეთ ადამიანი იღებს პასუხისმგებლობას მიმართოს სათანადო ძალისხმევა პრობლემის მოსაგვარებლად.
- მოვლენების მიმართ შემოქმედებითი მიდგომა, ანუ შემოქმედებითი ადამიანი. ასეთ ადამიანს მდიდარი ფანტაზიის, წარმოსახვის მეშვეობით შეუძლია ახლებურად მიუდგეს ყოველ მოვლენას და გამოავლინოს აზროვნებისა და გამოხატვის არასტანდარტული ფორმები; ახალ, მოულოდნელ სიტუაციებში იპოვოს გამოსავალი.

- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები – ანუ იქნება კარგი კომუნიკატორი . ასეთი ადამიანი კომუნიკაციურ კომპეტენციას ოპერატიულად იყენებს საკუთარი აზრების, განცდების, პოზიციის ჩამოყალიბების, დაცვისა თუ თვითგამოხატვისათვის, სხვათა გაგებისათვის.
- ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვების უნარი ანუ კვლევა-ძიების უნარ-ჩვევის მქონე ადამიანი. ასეთი ადამიანი იჩენს ინიციატივას მოიძიოს ახალ-ახალი ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელიც მისი უშუალო ინტერესის სფეროში შედის. (6)

2.4.2 მოქალაქეობრივი შეგნების განვითარება.

უცხოური ენის სწავლებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც გლობალიზაციისა და ეთნოკომპლიქტების ეპოქაში გამოიჩენს პლურილინგვისტურ ცნობიერებას ; ასეთ ადამიანს აქვს

- უცხოური ენების სწავლის სურვილი ;
- ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის, როგორც ასეთის, დაფასებისა და პატივისცემის უნარი ;
- ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა (გლობალიზაციის ეპოქაში მნიშვნელოვანია მოსწავლეებს დავეხმაროთ, გაიდგან ფესვი საკუთარ კულტურულ გარემოში, განიცადონ და გააცნობიერონ ამ გარემოს განუმეორებლობა. ეს ერთგვარად დაიცავს მათ იმ პროცესისაგან, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ემუქრება : კულტურათა, ინდივიდუალობათა, ცნობიერებათა გაერთსახოვნება) ;
- ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული თუ სახელმწიფო ფასეულობების მიმართ პასუხისმგებლობა ;
- პოზიტიური დამოკიდებულება ენობრივ-კულტურული თუ ინდივიდუალურ განსხვავებულობის მიმართ. (პლურილინგვისტური ცნობიერების მქონე ადამიანი განსხვავებას აღიქვამს, როგორც სიმდიდრეს, როგორც კერძო გამოვლინებას სამყაროს მრავალფეროვნებისა, და არა როგორც მტრულ ფენომენს, რომელიც ემუქრება მისი კულტურული გარემოს თვითმყოფადობას). (5, 51)

სტრატეგიული კომპეტენციის განვითარება.

სტრატეგიული კომპეტენციის განვითარება კომპეტენციის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება თვითგანვითარებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარი ანუ იქნება საკუთარ პიროვნულ ზრდაზე პასუხისმგებელი ადამიანი. ასეთ ადამიანს აქვს მაღალგანვითარებული მეტაკოგნიტური ცნობიერება (იხ. ტერმ. ლექს.), რაც საშუალებას აძლევს იყოს ქმედითუნარიანი და დამოუკიდებელი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები და მოთხოვნილებები, იმოქმედოს ადეკვატურად და ოპერატიულად (6).

2.5. თანასწორუფლებიანობა კურიკულუმში

კურიკულუმი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალური ბუნების თავისებურებებს – თითოეულ მოსწავლეს აქვს თავისებური გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალი, სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობები, მიდრეკილებები, ინტერესები, ცხოვრებისეული გამოცდილება და ა.შ. კურიკულუმის თანახმად უნდა ითვლებოდეს, რომ ყველა ინდივიდუალობას არსებობის თანაბარი უფლება აქვს, ამასთანავე, კურიკულუმი უნდა მოითხოვდეს, რომ სასწავლო პროცესმა ხელი შეუწყოს ინდივიდუალობათა მრავალფეროვნების გაშლა-განვითარებას.

კურიკულუმი უნდა ცნობდეს აზროვნების პლურალურ ბუნებას და ღირებულების თვალსაზრისით, თანაბარ დონეზე აყენებდეს აზროვნების ყველა ტიპს, იქნება ეს სამეტყველო, ლოგიკურ-მათემატიკური, ვიზუალურ-სივრცული, მუსიკალური, კინესთეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური თუ ნატურალისტური (იხ. ტერმ. ლექს.: მრავალგვარი აზროვნება) (6, 43, 31).

აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის სკოლაში საყოველთაოდ მიღებული კონცეფცია, რომელიც ღირებულად აზროვნების მხოლოდ ორ ტიპს მიიჩნევს, სამეტყველოს და ლოგიკურ-მათემატიკურს, ნორმალური განვითარების

საშუალებას უსპობს იმ ინდივიდებს, რომლებიც განსხვავებული უნარებით არიან დაჯილდოვებულნი. ასეთ კონცეპციაზე დაფუძნებული სწავლება ახორციელებს თანაბრობის იდეის გაუკუღმართებას და მისი გაიგივებას *ერთნაირობასთან*: ყველა ერთნაირად, ერთი მიმართულებით უნდა განვითარდეს. ეს გულისხმობს განსხვავებული ინდივიდუალობების ერთ მოდელზე ნიველირებას, ინდივიდუალური პოტენციების შებოჭვას, ინდივიდუალური მრავალფეროვნების გაერთსახოვნებას, მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების უმოქმედოდ, აუთვისებლად დატოვებას. ცხადია, სკოლის ასეთი კონცეფცია საფუძველშივე უარყოფს თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

თანასწორუფლებიანობის პრინციპის დასაცავად კურიკულუმი უნდა მოითხოვდეს დიფერენცირებული სწავლების დანერგვას, რომელიც გულისხმობს სწავლების პროცესში სტრატეგიების, მეთოდების და აქტივობების მრავალფეროვანი სპექტრის გამოყენებას, და, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ასე ვთქვათ, მრავალგანზომილებიანი შეფასებების ჩატარებას. მრავალგანზომილებიანი შეფასება პარამეტრებისა და კრიტერიუმების ფართო სფექტრით ხასიათდება, რაც ხელს უწყობს თითოეული მოწაფის სპეციფიური უნარებისა და მიდრეკილებების გამოვლენას.

თანასწორუფლებიანობის პრინციპით სკოლა შეძლებს თითოეული მოსწავლისათვის დახმარების გაწევას, რათა მან იპოვოს ის საქმე, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება უნარებისა და მიდრეკილებებს მისეულ გამას (6).

§ 3. უცხოური ენის კურიკულუმის პედაგოგიკური ასპექტები

3.1. კურიკულუმის გამჭოლი აღმზრდელობითი პრიორიტეტები

დასავლეთის ქვეყნების სასკოლო კურიკულუმები განსაზღვრავენ სამ საგანმანათლებლო პრიორიტეტს : literacy, numeracy და life skills, რომელიც მოიცავს ყველა საგანმანათლებლო დარგს და მათ შორის უცხოურ ენას (22,53,60,62). ჩვენ შევეცადეთ ქართული შესატყვისი მოგვეძებნა ამ

ტერმინებისათვის : წიგნიერება, არითმეტიკა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევები. ამდენად, უცხოური ენის სწავლა/სწავლება, კურიკულუმის მიხედვით, დარგის სპეციფიურ კომპეტენციებთან ერთად ხელს შეუწყობს მოსწავლეში შემდეგი გამჭოლი პრიორიტეტების განვითარებასაც :

✓ წიგნიერება

წიგნიერება გულისხმობს ენის ფლობას, მისი საჭიროებისამებრ წარმატებული გამოყენების უნარს.

ჰუმანიტარული დარგების შესწავლისას მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს მოვლენათა შესწავლის პროცესს, გააცნობიეროს მოვლენათა რაობა, მოახდინოს შედარებები, დაეუფლოს ათვისებული ინფორმაციისა და უნარ-ჩვევის პოზიტიური მიზნებით გამოყენების ხელოვნებას ;

ტექნიკური საგნების შემთხვევაში საქმე გვაქვს სიმბოლოების გამოსახულებებისა და ტერმინების წარმატებულ გამოყენებასთან. ეს ყოველივე განავითარებს და გაამდიდრებს მოსწავლის ცნობიერებას, რაც წიგნიერების საფუძველს წარმოადგენს.

✓ არითმეტიკა

ჰუმანიტარული საგნების სწავლებისას მოსწავლემ უნდა აწარმოოს აზრობრივ ოპერაციები : დააკვირდეს და გაანალიზოს სხვადასხვა კატეგორიები, სტრუქტურები, ამოიცნოს მოვლენათა ფუნქციონალური მექანიზმები, განახორციელოს დედუქცია, ინდუქცია, შედარება;

ტექნიკური საგნების საშუალებით კი, თვლა, ანგარიში და ა.შ. ასეთი ტიპის აზრობრივი აქტივობები განვითარებს ცნებით აზროვნებას და შესაბამისად მოსწავლეს ხელს შეუწყობს ლოგიკურ-მათემატიკური აზროვნების განვითარებას.

✓ სასიცოცხლო უნარ-ჩვევები

სასიცოცხლო უნარ-ჩვევებში იგულისხმება ის კომპეტენციები, რომელთა ფლობა აუცილებელია თანამედროვეობაში საკუთარი პიროვნების

რეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. კურიკულუმი გამოჰყოფს სასიცოცხლო უნარ-ჩვევათა 3 ტიპს :

- პიროვნული პოტენციალის რეალიზებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები (მეხსიერება, აზროვნება, აღქმა, წარმოსახვა, შემოქმედებითობა, მეტაკოგნიტური ცნობიერება);
- სოციალური უნარ-ჩვევები, რაც სხვებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას გულისხმობს;
- სამოქალაქო უნარ-ჩვევები, რაც გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობისათვის აუცილებელ თვისებებს, როგორც არის არჩევანის გაკეთება, ინიციატივის გამოჩენა, დამოუკიდებლობა, ტოლერანტობა, პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და სხვა. (6,22)

3.2. სწავლა/სწავლების გაგება კურიკულუმში (ორიენტაცია მოსწავლეზე)

ასალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოთხოვნების შესაბამისად კურიკულუმი უპირატესობას ანიჭებს სწავლების იმ მიდგომებს, იმ მეთოდებს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის აღჭურვას უნარ-ჩვევების ქმედითი, ოპერატიული სისტემით, რომლის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ თანამედროვე მუდმივცვალებად სამყაროში ცხოვრებას და მოღვაწეობას. ასეთ მოთხოვნას აკმაყოფილებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს სწავლების დიალოგურ მოდელს, რომლის დროსაც მოსწავლე აღიქმება როგორც დიალოგის პარტნიორი, რომლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ღირებულია და ანგარიშგასაწევი. ამგვარი სწავლება ხელ შეუწყობს თითოეულ მოსწავლეს აქტიურად ჩაებას სწავლის პროცესში, გახდეს საკუთარ სწავლასა თუ ქმედებებზე პასუხისმგებელი, დაეუფლოს სასწავლო პროცესის მართვის ხელოვნებას. ყოველივე ამის განსახორციელებლად პედაგოგიკას მოქმედებაში მოჰყავს სწავლების ისეთი მეთოდიკა, რომელიც

- ავითარებს და ხევეწს მოსწავლეში თვითშეფასების უნარს;
- საშუალებას აძლევს მას გამოიყენოს სასწავლო სტრატეგიები;

- საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები სისუსტეების გამოსასწორებლად.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება თითოეულ მოსწავლეს ეხმარება მაქსიმალურად გამოავლინოს და აამოქმედოს თავისი პოტენციალი. ამისათვის პედაგოგიკა იყენებს სწავლების ისეთ მეთოდებს, რომელიც

- კლასში თბილ და კეთილსაიმედო გარემოს წარმოქმნის, სადაც ყველაზე გაუბედავი მოსწავლეც კი ბედავს საკუთარი აზრებისა თუ განცდების გამოხატვას;
- იწვევს შინაგანი მოტივაციის გაზრდას;
- ითვალისწინებს ინდივიდუალურ თავისებურებებს და დიფერენცირებისათვის იყენებს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და აქტივობებს;
- სტიმულს აძლევს თითოეული მოსწავლის წინსვლას;

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებას: აქტიური სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეებს უწევს ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა, თანამშრომლობა, თვითგამოხატვა, კამათი, ცოდნის აქტიური და მრავალმხრივი გამოყენება.

უცხოური ენის საგანმანათლებლო დარგში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ცხადია, უცხოური ენის კომუნიკაციურ სწავლებას გულისხმობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენობრივი ცოდნის ფუნქციონალურ გამოყენებას და სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას(6).

3.3. მასწავლებელი და მოსწავლე კურიკულუმში

ევროპული ქვეყნების საგანმანათლებლო კურიკულუმები მასწავლებლისა და მოსწავლის (ეს სტანდარტი განსხვავდება მოსწავლის მიღწევების სტანდარტისგან) სტანდარტს მოიცავენ. ჩვენ შევეცადეთ რეზიუმირება გაგვეკეთებინა სხვადასხვა კურიკულუმში მოცემული მასწავლებლისა და მოსწავლის სტანდარტებისა და მოკლე მონახაზის სახით გადმოგვეტანა

ნაშრომში. კურიკულუმები პრაქტიკულად ერთსადაიმევე საფუძველზე დგანან:

✓ **მასწავლებელი** – მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მასწავლებელს მაღალ მოთხოვნებს უყენებს. იგი შემოქმედებითად უნდა მიუღდეს თითოეულ მოსწავლეს, მან მოსწავლეთა ინდივიდუალური დიფერენცირების გათვალისწინებით უნდა დაგეგმოს გაკვეთილები, სხვადასხვა პარამეტრებით უნდა აწარმოოს სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შეფასება, მუდმივად იზრუნოს საკუთარ დარგობრივ და პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე; გაკვეთილზე მასწავლებელი მეთვალყურეობს გაკვეთილის მსვლელობას, წარმართავს ინტერაქციას, იძლევა რჩევებს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, თავის შეხედულებას, სტიმულს აძლევს წინსვლას, აღვივებს ცნობისმოყვარეობას, ამკვიდრებს თანამშრომლობით (და არა შეჯიბრებით) სულისკეთებას, ურთიერთ პატივისცემას (5,41,58).

✓ **მოსწავლე** არის აქტიური, პასუხისმგებელი, სწავლობს თუ როგორ ისწავლოს, აფასებს თავის შედეგებს, ზრუნავს მათ გამოსწორებაზე, კონსტრუქციულ დამოკიდებულებას ავლენს შეცდომების, შენიშვნების, შესწორებების მიმართ; ტოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ; დამოუკიდებლად აკეთებს არჩევანს, იჩენს ინიციატივას, ორგანიზებულად მოქმედებს; შემოქმედებით დამოკიდებულებას ავლენს ნებისმიერ გაუთვალისწინებელ სიტუაციაში; განავითარებს თავის სასწავლო სტრატეგიებს (5,41,58).

◆ დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი განათლების სისტემაში მიმდინარე პედაგოგიკური პროცესების ერთგვარი კოორდინაციის საშუალებაა. განათლების სისტემის ფუნქციონირების ხარისხს, რასაკვირველია, კოორდინაცია უნდა განაპირობებდეს, თუმცა საკითხავია, დოკუმენტურად დაფიქსირებული

მექანიზმები, რამდენად შეძლებენ პრაქტიკის ხარისხის უზრუნველყოფას. ყოველ შემთხვევაში, რეფორმის განვითარების ამ ფაზაში ევროპული გამოცდილების გაზიარება ჩვენი ქვეყნისათვის სახარბიელო უნდა იყოს.

მეოცე საუკუნის ქართული სასკოლო გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის ისტერიული ათვისების აუცილებლობით გამოირჩეოდა, თანამედროვეობასთან მიმართებაში სერიოზული რეფლექსიის საგნად უნდა იქცეს. კურიკულუმის დანერგვის სურვილი, იქნებ, ჩვენს სკოლებში ამ, ჯერ კიდევ, გარგად ფეხგადგმული ატავიზმისგან თავის დაღწევის მცდელობაა.

როგორც აღვნიშნეთ საფრანგეთმა ეს იდეა ცენტრალიზებული სისტემის შესასუსტებლად აიტაცა. საქართველოს ამ მიმართულებითაც არცთუ სახარბიელო გამოცდილება აქვს. რეფორმა კი, სკოლებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭებას ითვალისწინებს. კურიკულუმის სათანადოდ შემუშავებამ და დანერგვამ შესაძლოა სისტემის დეცენტრალიზაციას აქტიურად შეუწყოს ხელი.

თავი III. უცხოური ენის კურიკულუმის ზოგადდიაქტიკური ასპექტები

§ 1. კომუნიკაცია კურიკულუმში

1.1. კომუნიკაცია – უცხოური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი ზოგადდიაქტიკური მიზანი პლურილინგვიზმის ჭრილში

დასავლურ სივრცეში უცხოური ენის კურიკულუმები სხვა მიზნებთან ერთად მიზნად ისახავენ მოსწავლეში კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას. ამას ითხოვს საზოგადოება სკოლისგან და ამ კომპეტენციის შექმნას ელტვის მოსწავლედ.

ტერმინი « კომუნიკაცია » თანამედროვე პედაგოგიურ დოკუმენტებში ძალიან ფართო მნიშვნელობით იხმარება. იგი გულისხმობს ურთიერთობას ინფორმაციის გამღებსა და მიმღებს შორის. კომუნიკაციას არა მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა ორ ან მეტ თანამოსაუბრესთან გვაქვს საქმე. ნებისმიერი სტატიისა თუ წიგნის კითხვა, ნებისმიერი ტელე თუ რადიო გადაცემის მოსმენა გულისხმობს კომუნიკაციას ინფორმაციის გამღებსა და მიმღებს შორის.

1.2. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია

სოციო-ლინგვისტურ მეცნიერებათა თანახმად კომუნიკაციის, ასე ვთქვათ, ორი ტექნიკა არსებობს : სიტყვიერი (ვერბალური) და არასიტყვიერი (არავერბალური). ხშირად არასიტყვიერი თანსდევს და ავსებს სიტყვიერს. არასიტყვიერი კომუნიკაცია ზეპირსიტყვიერებაში არის მიმიკა, უესტიკულაცია, გამომეტყველება, მოძრაობა (მაგ. მუშტის მოღერება, თვალის ჩაკერა, ხელის ჩამორთმევა, მუდარის ნიშნად დაჩოქვა ა. შ.), ხმის ტონი, ინტონაცია ; წერილობით წყაროებში ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის ილუსტრაციები (სურათი, ფოტო, დიაგრამა, სქემა, ნახატი და ა. შ.),

გაფორმება, ტიპოგრაფია (ხაზგასმა, გამუქება, სხვადასხვა შრიფტი, ადგილის გამოტოვება). არავერბალური კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკაციაში. ამიტომ სწავლის პროცესში მას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს (5,15,16).

1.3. კომუნიკაციური კომპეტენციის ოთხი კომპონენტი

ლიტერატურული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია ოთხ კომპონენტს გულისხმობს:

- ენობრივ-კომუნიკაციური (სამეტყველო);
- ინტერკულტურული;
- ინტერპერსონალური;
- ინტრაპერსონალური;

✓ ენობრივ-კომუნიკაციური კომპონენტი

ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენცია სორციელდება 4 ძირითადი სამეტყველო აქტივობის საშუალებით. ესენია :

- *რეცეპცია* ანუ აღქმა (სმენისა თუ კითხვის გზით) ;
- *პროდუცირება* ანუ წარმოება (ტექსტის შედგენა-შექმნა ზეპირმეტყველებისა თუ წერის გზით) ;
- *ინტერაქცია* ანუ ჩაბმა სიტყვიერ ურთიერთობაში, რომელიც აღქმა-პროდუცირების მონაცვლეობით მიმდინარეობს ორ ან მეტ პირს შორის ;

- მედიაცია (თარგმნა, თარჯიმნობა, ინფორმაციის გადამუშავება მესამე პირისთვის – რეზიუმე, ანგარიში); (6)

დიდაქტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით სწავლების სხვადასხვა საფეხურზე კურიკულუმი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ამა თუ იმ სამეტყველო აქტივობას უნდა ანიჭებდეს.

მაგ. ჩვენს მიერ შემუშავებული თეორიით უცხოური ენის კურიკულუმი ორ სამეტყველო აქტივობას (რეცეფცია და პროდუცირება) ოთხ ნაწილად ყოფს და სხვადასხვა სასწავლო ციკლში ამა თუ იმ ნაწილზე აქეთებს აქცენტს. საბოლოოდ ეს ნაწილები თანაბრდება:

მოსმენა	მოსმენა	მოსმენა
ლაპარაკი	ლაპარაკი	ლაპარაკი
კითხვა	კითხვა	კითხვა
წერა	წერა	წერა

✓ ინტერკულტურული კომპონენტი

ფსიქო-ლინგვისტურ მეცნიერებათა თანახმად საკომუნიკაციო აქტის რეალიზებისას აუცილებელია ადრესანტისა და ადრესატის პრესუპოზიციები შეესაბამებოდეს ერთმანეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია უიღბლო კომუნიკაცია (Saussure, Austin).

საგანმანათლებლო კურიკულუმის კომუნიკაციურ კომპეტენციაში ზემოთხსენებულ ასპექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგ. უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში, საკომუნიკაციო აქტის რეალიზება მოითხოვს იმ კულტურული თუ სოციო-კულტურული სამყაროს ცოდნას, რომელ ენაზეც ხორციელდება კომუნიკაცია. სიცხადისათვის ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

საფრანგეთში კვირაობით ხშირად გაიგონებთ : «არაბთან წავედი ». საქმე ისაა, რომ კვირაობით უკლებლივ ყველა სასურსათო მაღაზია დაკეტილია (ეს სოციო-კულტურულ ფენომენია, რომელსაც ფესვი ქრისტიანულ ტრადიციაში უდგას). მხოლოდ არაბების მფლობელობაში მყოფი სასურსათო მაღაზიებია ღია. ასეთი მაღაზიები პარიზის ყველა უბანში შეგვხვდებათ. ამ კონტექსტში « არაბი » სასურსათო მაღაზიას ნიშნავს. ვინც ეს არ იცის, ვერ შეძლებს ინფორმაციის სწორად აღქმას ანუ სოციო-კულტურული ფენომენის არცოდნა კომუნიკაციას შეაფერხებს(5).

კომუნიკაციის რეალიზებისათვის კულტურის ცოდნა არ არის საკმარისი : მას თან უნდა სდევდეს განსხვავებულ მსოფლხედველობათა, განსხვავებულ ღირებულებათა, განსხვავებული ცხოვრების წესების გაგება და აღიარება. უცხო, განსხვავებული კულტურული სამყაროს გაგების უნარს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში *ინტერკულტურულ* კომპეტენციას უწოდებენ (29).

✓ ინტერპერსონალური კომპონენტი

განსხვავებულის გაგებას ნიშნავს *ინტერპერსონალური* კომპეტენციაც, ოღონდ ინდივიდუალურ განზომილებაში; იგი გულისხმობს განსხვავებული ინდივიდუალობის გაგების უნარს (5,29).

✓ ინტრაპერსონალური კომპონენტი, ანუ სწავლის სწავლა

მასწავლებელმა იცის რა არის სწავლება და იცის რა არის სწავლა, რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ იმისთვის, რომ ისწავლოს. მაგრამ მოსწავლემ ეს არ იცის. იგი მინდობილია მასწავლებელს და ბრმად მიჰყვება მის მითითებებს. **სწავლის სწავლა** (apprendre à apprendre. ფრ.) სწორედ მოწავის სასწავლო პროცესში გათვითცნობიერებასა და აქტიურ ჩართვას ნიშნავს. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს

- სასწავლო მიზნები;
- თუ რა ფაქტორები მონაწილეობენ სწავლის პროცესში;
- გზები თუ საშუალებები, რომლითაც მიზნები მიიღწევა;
- საშუალებები, რომლითაც ხორციელდება მიღწეული შედეგების შეფასება;
- საშუალებები, რომლებითაც ხორციელდება სისუსტეების გამოსწორება და ა.შ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბევრი სპეციალისტი **სტრატეგიულ კომპეტენციას** და **ინტრაპერსონალურ კომპეტენციას** აიგივებს. ერთ-ერთი ავტორი წერს, რომ თანამედროვე დიდაქტიკა ეფექტიანი სწავლისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს **სწავლის სწავლას**. **სწავლის სწავლა** მოსწავლეს განუვითარებს **სტრატეგიულ კომპეტენციას**, რაც აამაღლებს მოსწავლის ქმედუნარიანობას ნებისმიერ საგანმანათლებლო დარგში და, ამასთანავე, მოამზადებს უცხოურ ენათა **თვითსწავლისათვის** (autoapprentissage. ფრ.) (42).


მართლაც, რამდენადაც სტრატეგიული კომპეტენცია გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებების განსაზღვრას, საკუთარი უნარების, ცოდნის შეფასებას, საკუთარი ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და სასწავლო პროფილის (იხ. ტერმ. ლექს.) გაცნობიერება-გათვალისწინებას, და, საერთო ჯამში, სასწავლო საქმიანობაში საკუთარი თავის მართვას, მას შეიძლება ინტრაპერსონალური (*intrapersonnelle. ფრ.*) კომპეტენციაც ვუწოდოთ(6).

1.3. ამოცანები კომუნიკაციის სწავლებისათვის

ევროპის განვითარებული ქვეყნების უცხოურ ენათა კურიკულუმების მიხედვით კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლებისათვის 3 ტიპის ამოცანათა არის გადასაწყვეტი

- ✓ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს სათანადო დამოკიდებულებები (ცნობისმოყვარეობა, კეთილგანწყობა უცხოს მიმართ, ენის სწავლის სურვილი და ა.შ.);
- ✓ მოსწავლეს უნდა განუვითარდეს სხვადასხვა კატეგორიის უნარ-ჩვევა (სამეტყველო, ინტერკულტურული, სოციალური, სტრატეგიული და ა.შ.)
- ✓ მოსწავლემ უნდა აითვისოს სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაცია (კულტურული, ენობრივი, სამოქალაქო და ა.შ.) (26,29,59).

ამრიგად, უცხოურ ენაზე კომუნიკაციური კომპეტენციის შექმნა გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციის, უნარ-ჩვევისა თუ დამოკიდებულების ერთობლივ დაუფლებას(6). თვალსაჩინოებისთვის გამოვიყენებთ სქემასა და ტაბულას:



	ლინგვისტური კომპონენტი	ინტერკულტურული კომპონენტი	ინტერპროსონალური კომპონენტი	ინტრაპროსონალური კომპონენტი
ინფორმაცია	ენობრივი ინფორმაცია (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა); არავერბალური ინფორმაცია (ჟესტიკულაცია, ილუსტრირება, გრაფიკული გამოსახულება).	სოციო-კულტურული კონტექსტები.	ინდივიდუალური მრავალფეროვნება.	შწავლის ხელშემწყობი ფაქტორები და პირობები.
უნარ-ჩვევა	სმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა.	უცხო, განსხვავებული სოციო-კულტურული კონტექსტების გაგება; უცხო კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია.	ანსხვავებული ინდივიდუალობის გაგება.	სასწავლო საკმიანობის წარმართვა და ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.
დამოკიდებულება	ენისა და ენობრივი მექანიზმებისადმი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი; ენობრივი კომუნიკაციის სურვილი.	დადებითი დამოკიდებულება განსხვავებულ კულტურულ სამყაროთა მიმართ; ტოლერანტობა.	კეთილგანწყობა ინდივიდუალურ განსხვავებულობათა მიმართ; ტოლერანტობა.	საკუთარი თავის რწმენა; სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება; საკუთარი შესაძლებლობების შეფასება/დაფასება.

§. 2 შეფასების სისტემა

2.1. შეფასების მიზნები და ტიპები

შეფასება კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია. ის მიზანმიმართული, სისტემატური და თანამიმდევრული პროცესია. შეფასების დაიშნულებისა თუ მიზნების შესახებ სხვადასხვა ავტორს პრაქტიკულად ერთ განსაზღვრებამდე მივყავართ : მისი მთავარი დანიშნულებაა სწავლა/სწავლების გაუმჯობესება (6,19,27,44,45,53). ავტორები ორი ტიპის შეფასებას გამოყოფენ – formative და summative. მათი აზრით შეფასების ეს ტიპები სასწავლო პროცესში სხვადასხვა საჭიროებისამებრ გამოიყენება. მაგალითად ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, ფორმატული (formative) შეფასება მასწავლებელს აწვდის ინფორმაციას მოსწავლეთა პროგრესისა და ხარვეზების, სპეციფიური უნარებისა თუ მიდრეკილებების შესახებ. ამ ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე მასწავლებელი გეგმავს და განსაზღვრავს სწავლების კურსს, მეთოდებს, სტრატეგიებს. ხოლო მოსწავლისათვის შეფასება არის საშუალება, რომელიც ხელს უწყობს სწავლაში მის აქტიურ ჩაბმას და სასწავლო პროცესის გაცნობიერებას. იგივე სპეციალისტი თვლის, რომ სომატური (summative) შეფასება სტატისტიკურ მონაცემებს იძლევა და ეს მნიშვნელოვანია არა პედაგოგიური, არამედ ადმინისტრაციული თვალსაზრისით (27).

ჩვენ შევეცადეთ ზემოთხსენებულ ავტორთა ნაშრომებში მოცემული შეფასების მიზნები დაგვეშუშავებინა იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება ეს მიზნები მათ მიერვე შემოთავაზებულ ტიპოლოგიას. პირველ ეტაპზე ჩვენ ამოგვკრიფეთ ნაშრომებიდან დაახლოებით ოცი მიზანი. დამუშავებისას დავინახეთ, რომ მიზნები შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვეოდა და გადავწყვიტეთ ისინი შეგვეჯერებინა. საბოლოოდ ოთხი მიზანი გამოვიყვანეთ:

შეფასების მიზნები :

- ❖ აამაღლოს მოსწავლის სწავლის მოტივაცია და გამოავლინოს თითოეული მოსწავლის სპეციფიკური უნარები და ინტერესები;

- ❖ დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო პროცესის წარმართვაში;
- ❖ მიაწოდოს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, სახელმწიფოს ინფორმაცია მოსწავლის მიღწევებზე სტანდარტით დადგენილ შედეგებთან მიმართებაში;
- ❖ დაეხმაროს მასწავლებელს სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში.

მეორე ეტაპზე საჭიროდ მივიჩნით მიზნების კატეგორიებად დაყოფა, რათა გამოკვეთილიყო ტიპები. ჩვენ ამგვარი კლასიფიკაცია გავაკეთეთ:

A კატეგორია

- დაეხმაროს მასწავლებელს სამოქმედო გეგმის განსაზღვრაში.

B კატეგორია

- აამაღლოს მოსწავლის სწავლის მოტივაცია და გამოავლინოს თითოეული მოსწავლის სპეციფიური უნარები და ინტერესები;
- დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო პროცესის წარმართვაში.

C კატეგორია

- მიაწოდოს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, სახელმწიფოს ინფორმაცია მოსწავლის მიღწევებზე სტანდარტით დადგენილ შედეგებთან მიმართებაში.

მაშასადამე, მიზნები სამ კატეგორიად დაუჯგუფეთ. შესაბამისად, სამი ტიპის შეფასება გამოიკვეთა. ხანგრძლივი თეორიული და პრაქტიკული კვლევისა და რეფლექსიის შედეგად შეფასების გარკვეული ტიპოლოგიურ-განმარტებითი სისტემა შევიმუშავეთ :

შეფასების ტიპები

შეფასება სასწავლო პროცესში სხვადასხვა მიზნით გამოიყენება. დასახული მიზნების შესაბამისად სხვადასხვა ტიპის შეფასება არსებობს :

✓ წინასწარი შეფასება

ამ ტიპის შეფასება ყოველი სასწავლო ციკლის დასაწყისში ტარდება. მისი მიზანია დაადგინოს თუ რამდენად არიან მზად მოსწავლეები გადავიდნენ ახალ საპროგრამო მასალაზე, არის თუ არა საჭირო გარკვეული ხარვეზების შევსება ან მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ამ ტიპის შეფასებისას სასურველია დადგინდეს მოსწავლის ფსიქო-ემოციური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სწავლაში: კერძოდ, ცალკეული მოსწავლის მოტივაცია, მისი შეხედულება საკუთარ შესაძლებლობებზე. ამგვარი შეფასების შედეგებს მასწავლებელი სასწავლო კურსის განსაზღვრისთვის უნდა იყენებდეს, შესაფერისი მიდგომების, აქტივობებისა თუ სტრატეგიების შესარჩევად.

✓ დამხმარე შეფასება

ამ ტიპის შეფასება სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესში. მისი მიზანი შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება და მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობაა. ამ ტიპის შეფასების საშუალებით მასწავლებელი სწავლის პროცესში აკვირდება ცალკეულ მოსწავლეს და მოსწავლეთა ჯგუფებს: თუ რაში აქვთ წინსვლა, რა ტიპის აქტივობები მოწონთ ან არ მოწონთ ; რა ტიპის შეცდომებს უშვებენ ; რა უძნელდებათ, რა უადვილდებათ ; რა არის წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზი. ამ ტიპის შეფასება მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს ცალკეული მოსწავლის საჭიროებები და მათი გათვალისწინებით ინდივიდუალურად

მიუსადაგოს დამხმარე საშუალებები, რაც თითოეული მათგანის წინსვლას შეუწყობს ხელს.

რათა აღნიშნული ტიპის შეფასებამ სასწავლო პროცესში ქმედითი როლი შეასრულოს, აუცილებელია შემდეგი პრინციპების დაცვა:

▫ დამხმარე შეფასების პრინციპები

- შეფასება უნდა იყოს მრავალგანზომილებიანი, რათა მოხერხდეს თითოეული მოსწავლის სპეციფიკური უნარების გამოვლენა-მონიშვნა ;
- შეფასება უნდა იყოს პოზიტიური და მასტიმულირებელი ;
- მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული შეფასების პროცესში ;
- მასწავლებლის შეფასებების პარალელურად, მოსწავლე საკუთარ თავს დამოუკიდებლად უნდა აფასებდეს. თვითშეფასება განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩაბმას სასწავლო პროცესში. იგი ნათლად დაინახავს, სად აქვს წინსვლა, სად უჭირს. სწორედ ეს გარემოება ზრდის მის მოტივაციას. შედეგად მოსწავლე მონიშნავს წარუმატებლობათა გამოსწორებას ; ისწავლის გამოსასწორებელი საშუალებების დადგენას; იგრძნობს პასუხისმგებლობას.

✓ **შემაჯამებელი შეფასება**

ამ ტიპის შეფასება გარკვეული მასალის გავლის ან სასწავლო ციკლის დასრულებისას ტარდება. მისი მიზანია მოსწავლეთა მიღწევების რაოდენობრივი შეფასება ანუ ნიშნის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში – სერტიფიკატის გაცემა. ამას გარდა, ამ ტიპის შეფასება მოსწავლეს გარე – ეროვნული შეფასებისთვისაც მოამზადებს, რომელიც არსებითად იმავე სახის შეფასებას წარმოადგენს.

▫ შემაჯამებელი შეფასების პრინციპები

- შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე — მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ თუ რა კრიტერიუმებით ხდება მათი შეფასება ;

- შეფასება უნდა იყოს მიუკერძოებელი, სამართლიანი, არგუმენტირებული და სანდო;
- შეფასება უნდა იყოს სტანდარტით დადგენილ შედეგებთან შესაბამისობაში.

2.2. შეფასების საგანი

- **წინასწარი შეფასება**

ამგვარი შეფასების საგანია ის საბაზო კომპეტენციები, რომელთა ფლობა აუცილებელია მომდევნო ციკლში გათვალისწინებული მასალის ასათვისებლად და ის ფსიქო-ემოციური ფაქტორები (განწყობები, წარმოდგენები), რომელმაც შეიძლება მოსწავლის სასწავლო პროცესზე შემაფერხებელი ზემოქმედება მოახდინოს.

- **დამხმარე შეფასება**

ამგვარი შეფასების საგანი თვით სასწავლო პროცესი, მისი ყველა ელემენტი და ფაქტორია. მაგალითად:

- მოსწავლის დამოკიდებულება საკუთარი თავის, საგნის, გაკვეთილის თუ მასწავლებლის მიმართ;
- ფსიქოლოგიური პროფილი (თამამი, გაუბედავი, მოუსვენარი, მშვიდი, ექსტრავერტული, ინტრავერტული, აქტიური, პასიური, საკუთარ თავში დარწმუნებული ან დაურწმუნებელი და ა.შ.);
- უნარ-ჩვევები – აქ იგულისხმება, როგორც დარგისთვის დამახასიათებელი, ისე გამჭოლი პრიორიტეტული უნარ-ჩვევები: კითხვისა და წერის უ-ჩ-ები, სამეტყველო უ-ჩ-ები, სტრატეგიული უ-ჩ-ები, სოციალური უ-ჩ-ები და ა. შ;
- ინფორმაციის ფლობა. აქ იგულისხმება პროგრამის შინაარსით დადგენილი ცოდნის მარაგი, რომლის ათვისება აუცილებელია უნარ-ჩვევათა და ცოდნა-ჩვევათა განვითარებისათვის;

ამრიგად, დამხმარე შეფასება

- საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ზუსტად დაადგინოს თუ რა უჭირს თითოეულ მოსწავლეს და გაუწიოს მას ქმედითი დახმარება ;
- დაეხმარება მოსწავლეს, გააცნობიეროს ყველა ფაქტორი, რომელიც სწავლის პროცესზე ხელშემწყობად ან შემაფერხებლად მოქმედებს და დაეუფლოს სწავლის პროცესის მართვას.

• შემაჯამებელი შეფასება

შემაჯამებელი შეფასების საგანი არის კურიკულუმით დადგენილი შედეგები.

ნიშნთა სისტემაში სასურველია აისახოს უნარ-ჩვევების უპირატესობა ინფორმაციის ფლობასთან მიმართებაში. ამისათვის მეტი წონა (ქულების რაოდენობა) უნდა მიენიჭოს იმ საკითხებს, რომელიც ამა თუ იმ უნარ-ჩვევას ამოწმებს, ვიდრე იმ საკითხებს, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის ფლობას ამოწმებს.

მაგ., ინფორმაციის ფლობა: მოსწავლემ იცის 1 –10 დათვლა; მოსწავლემ იცის ფერები. – ეს არის დეკლარატიული ინფორმაცია, მაგრამ არ ხდება ამ ინფორმაციის ფუნქციონალური გამოყენება.

უნარ-ჩვევა: მოსწავლეს შეუძლია მიუთითოს ასაკი; მოსწავლეს შეუძლია აღწეროს ჩაცმულობა. – ეს არის უნარ-ჩვევა, რადგანაც მოსწავლე ინფორმაციას ფუნქციონალურად იყენებს. იგი ინფორმაციის გამოყენებით კომუნიკაციურ აქტს განახორციელებს(5).

უნდა აღინიშნოს, რომ შემაჯამებელი შეფასება სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს იყენებს (ამით ის ხდება მიუკერძოებელი), დამხმარე კი – უფრო პერსონიზებულ ინსტრუმენტებს. პირველი უზრუნველყოფს სწავლების შედეგზე ორიენტირებას და განურჩევლად ყველა მოსწავლის ერთი საზომით შეფასებას, მეორე კი – თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციალის, ინდივიდუალური უნარების, მიდრეკილებების გამოვლენას.

თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე დამხმარე შეფასებების მონაცემები არ უნდა დაიკარგოს: მათზე დაფუძნებით უნდა დაიწეროს თითოეული მოსწავლის პოზიტიური დახასიათება, სადაც გამოიკვეთება მისი პოტენციალის თავისებურებები. ასეთი ტიპის დახასიათებები ხელს შეუწყობს

- მოსწავლეებს, თავიანთი მიდრეკილებების შესატყვისი გეზი აირჩიონ და მოახდინონ სრულფასოვანი თვითრეალიზაცია;
- სახელმწიფოს, რენტაბელურად გამოიყენოს ადამიანური რესურსები.

შეფასების ხერხები

შეფასების მრავალი ხერხი არსებობს; შეფასება შეიძლება განხორციელდეს კითხვარებით, ტესტებით, უბრალო დაკვირვებით, სხვადასხვა პარამეტრებით, კრიტერიუმებით შედგენილი სქემების გამოყენებით, პორტფოლიოს გამოყენებით, დიალოგური ჟურნალის გამოყენებით და სხვა. მოსწავლის შეფასებაში მრავალი განსხვავებული ხერხის გამოყენებისას, მასწავლებელი სრულყოფილ წარმოდგენას იქმნის თითოეულ მოსწავლეზე და ქმედითად უწევს მათ დახმარებას.

შეფასების ტიპოლოგიურ სისტემას თვალსაჩინოებისათვის სქემის სახით წარმოვადგენთ :

	წინასწარი	დამხმარე	შემაჯამებელი
როდის ჩატარდეს?	ამა თუ იმ სასწავლო ციკლის დასაწყისში(წელი, ტრიმესტრი და ა.შ).	სისტემატურად სასწავლო პროცესის მსვლელობისას.	ამა თუ იმ სასწავლო ციკლის დასრულებისას (წელი,ტრიმესტრი და ა.შ.); არკვეული თემატიკის დამთავრებისას

<p>რა არის მისი საგანი ?</p>	<p>მომდევნო ციკლის დასაძლევად საჭირო კომპეტენციები, ფსიქო-ემოციური ფაქტორები.</p>	<p>სასწავლო პროცესი.</p>	<p>კურიკულუმით დადგენილი შედეგები.</p>
<p>რა მიზანს ემსახურება?</p>	<p>იმ აუცილებელი მასალის დადგენა, რომელიც აუთვისებელი დარჩა. სწავლების კურსის განსაზღვრა საჭიროებების მიხედვით.</p>	<p>მასწავლებლისათვის შეცდომების გამოვლენა; სიმძვინვარების დადგენა; მისაღები ზომების განსაზღვრა სწავლის დონის ასამაღლებლად; მოსწავლეთა წინსვლის ხელ შეწყობა; მოსწავლის გააქტიურება. მოსწავლისათვის სისუსტეების დაგენა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება მათი გამოსწორებისათვის</p>	<p>კურიკულუმით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევების რაოდენობრივი შეფასება; მოსწავლის მომზადება გარე – ეროვნული შეფასებისთვის.</p>
<p>რა ტიპის გადაწყვეტილებებს ვიღებთ?</p>	<p>მოსწავლეთა საჭიროებების შესაფერისი აქტივობების თუ სტრატეგიების შერჩევა ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სასურველი დონის მისაღწევად.</p>	<p>ვსაზღვრავთ იმ აქტივობათა ტიპებს, თუ სავარჯიშოებს, რომლებიც სჭირდება მოსწავლეს დაბრკოლებათა, დასაძლევად, ხარვეზების გამოსწავლად.</p>	<p>ნიშნის დაწერა; სწავლის უფრო მაღალ ეტაპზე დაშვება; სერტიფიკატის გაცემა.</p>

<p>რა ტიპის ხერხები გამოიყენება?</p>	<p>ფსიქოლოგიური ხასიათის ტესტები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ზეპირი გამოკითხვა, წერიითი გამოკითხვა, მშობლებთან, სხვა საგნის ან წინა ციკლის მასწავლებლებთან კონსულტაცია, მასწავლებლის პორტ-პოლიოს გამოყენება.</p>	<p>მასწავლებლისათვის ტესტები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები; მასწავლებლებთან; დიალოგური ჟურნალი; საკონტროლო წერა; ზეპირი გამოკითხვა; ცოცხალი სიტუაციის სიმულირება; შეფასების სქემები. მოსწავლისათვის – თვითშეფასების სქემები; მოსწავლის პორტფოლიო.</p>	<p>ტესტირება, საკონტროლო წერა, გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა.</p>
--------------------------------------	--	--	--

ძალზე საინტერესოა ქართველი სპეციალისტის თ. ჯაყელის მიერ შემუშავებული სისტემა, რომელიც ჩვენი სამუშაოს ძირითად წყაროდ იქცა. თ. ჯაყელი, აგრეთვე, შეფასების სამ ტიპს გამოყოფს და მათ *დიაგნოსტიკურ, მარეგულირებელ და შემაჯამებელ* შეფასებებს უწოდებს (6).

2.2. ახალი სასკოლო დოკუმენტი „პორტფოლიო“, როგორც შეფასების ახალი ტექნოლოგია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე წლიანი მუშაობის შედეგად, ჩვენ შევქმენით მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლის ელემენტებიც ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაინერგა. თეორიულ ნაწილთან ერთად ჩვენ შევიმუშავეთ ახალი სასკოლო დოკუმენტაციის სერია „პორტფოლიო“, რომელიც მოიცავს, როგორც სკოლის მონიტორინგის მექანიზმებს, ასევე მოსწავლის შეფასების ტექნოლოგიებს. „პორტფოლიო“ თანამედროვე სკოლაში იკავებს საკლასო ჟურნალისა და სხვა დოკუმენტების ადგილს. ახალი სასკოლო დოკუმენტაციის სერია მოიცავს ხუთი ტიპის დოკუმენტს:

- სკოლის დირექტორის პორტფოლიო;
 - სკოლის ადმინისტრაციის პორტფოლიო;
 - კლასის ხელმძღვანელის პორტფოლიო;
 - საგნის მასწავლებლის პორტფოლიო;
 - დაწყებითი საფეხურის (I–IV) მასწავლებლის პორტფოლიო
-
- ✓ *სკოლის დირექტორის პორტფოლიო* იძლევა საშუალებას ერთ დოკუმენტში, სისტემური წყობით იქნას მოთავსებული სხვადასხვა სახის სასკოლო მონაცემები, რაც ერთმნიშვნელოვნად ეფექტურს ხდის მართვას. ამასთან, სკოლის დირექტორს ეძლევა საშუალება აწარმოოს ნებისმიერი სექტორის მონიტორინგი და აღრიცხოს დოკუმენტში მაჩვენებლები.
 - ✓ *სკოლის ადმინისტრაციის პორტფოლიო* ადმინისტრაციას (სასწ. ნაწ. გამგე, ორგანიზატორი და ა.შ.) აძლევს საშუალებას აღრიცხოს ყველა სახის საჭირო მონაცემები და აწარმოოს დაქვემდებარებული სექტორის მართვა-შეფასება.
 - ✓ *კლასის ხელმძღვანელის პორტფოლიოს* გამოყენებით დამრიგებელს უადვილდება მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება:

აღრიცხავს მეურვეობის ქვეშ მეოფ მოსწავლეთა დასწრებასა და საბოლოო შეფასებებს; თითოეულ მოსწავლეზე ქმნის ინდივიდუალურ მონაცემთა ბაზას. კლასის ხელმძღვანელის პორტფოლიო მომდევნო ეტაპების მასწავლებელთათვის წინასწარი შეფასების წყაროა.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ასეთი ტიპის მონაცემთა ბაზა ყოველთვის არსებობდა, თუმცა მონაცემები გაფანტული იყო სხვადასხვა ფურცლებზე. პორტფოლიო აერთიანებს მონაცემთა ბაზას და სისტემურს ხდის მას. მაგ., საგნის მასწავლებლის პორტფოლიოდან საჭირო მონაცემები გადადის კლასის ხელმძღვანელის პორტფოლიოში, ეს უკანასკნელი კი სკოლის ადმინისტრაციისა და დირექტორის პორტფოლიოების საინფორმაციო რესურსია.

დოკუმენტთა შორის, ჩვენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი საგნის მასწავლებლის პორტფოლიოს უკავია. სადღეისოდ რეფორმა სკოლას სრულიად ახალ მოთხოვნებს უყენებს. სკოლის მოღვაწეობის ქვაკუთხედი კი, მასწავლებელია. მასწავლებელმა უნდა აითვისოს თანამედროვე ტექნოლოგიები და დანერგოს სასწავლო პროცესში.

- ✓ *საგნის მასწავლებლის პორტფოლიო* იმგვარად არის ორგანიზებული, რომ სასწავლო პროცესში მისი დანერგვით, მასწავლებელი თავადვე სწავლობს შეფასების ახალი, ათბალიანი, მრავალკომპონენტური სისტემით მუშაობას. თანამედროვე შეფასების სისტემის ეს ასპექტი სრულიად ახალ პედაგოგიურ ტექნოლოგიას წარმოადგენს ჩვენი განათლების სისტემისთვის, ამდენად, ჩავთვალოთ, საჭიროა ნაშრომში ამ სქემების თვალსაჩინოდ წარმოდგენა :

სქემა 1

კომენტარები განმავითარებელი შეფასებისათვის			
თარიღი	კლასი	გვარი სახელი	კომენტარი

ნიშნები (ქულები) განმსაზღვრელი შეფასებისთვის

----- კლასი

№	თარიღი		კომპონენტები															
	გვარი, სახელი		1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
1																		
2																		
3																		
4																		
5																		
6																		
7																		
8																		
9																		
10																		
11																		
12																		
13																		
14																		
15																		
16																		
17																		
18																		
19																		
20																		
21																		
22																		
23																		
24																		
25																		
26																		
27																		
28																		
29																		
30																		
31																		
32																		
33																		
34																		
35																		
36																		
37																		
38																		
39																		
40																		
41																		
42																		
43																		
44																		
45																		

სქემა 3

კლასის მონაცემები შეფასების მონახაზი

კლასი

მოსწავლეთა

რაოდენობა

ს ა გ ა ნ ი

ს ა ხ ე ლ მ ძ დ ვ ა ნ ე ლ ო

ტრიმესტრი		
I	II	III

საათების

რაოდენობა

დ ა მ ხ მ ა რ ე ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

კვირაში

შესაფასებელი კომპონენტი	1	2	3	4	5
კომპონენტის წონა					

შეფასების კრიტერიუმები

სქემა 4

შესავასებელი კომპონენტების ანალიზი											
III ტრიმესტრი											
— კლასი				მოსწავლეთა				რაოდენობა			
----- საგანი											
ქულები	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	წარმატება %
კომპონენტები											
შენიშვნები -----											

- ✓ დაწვებითი საფეხურის მასწავლებლის პორტფოლიო აერთიანებს საგნის მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელის პორტფოლიოებს. დაწვებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი მომენტების გათვალისწინებით, ამ დოკუმენტში ყურადღება ეთმობა მოსწავლის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პროფილის ანალიზს. ასევე გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპეციფიკა.

საგნის მასწავლებლის პორტფოლიოს შემუშავება ექსპერიმენტული სამუშაოების ფონზე მიმდინარეობდა. ექსპერიმენტირება 2003/2004, 2004/2005 სასწავლო წლებში თბილისის 151-ე საშუალო სკოლაში ფრანგული ენის გაკვეთილებზე მიმდინარეობდა.

2.3. შეფასების ახალი ტექნოლოგიების შემუშავების პროცესი და ექსპერიმენტირება.

დასავლურ საგანმანათლებლო სფეროში შეფასების მრავალკომპონენტური სისტემით მუშაობის საკმაო გამოცდილება არსებობს. ჩვენ შევისწავლეთ არაერთი განვითარებული ქვეყნის „საკლასო ჟურნალის“ მსგავსი დოკუმენტი და გადავწყვიტეთ შეგვექმნა ჩვენი ქვეყნის სკოლისთვის გამოსადეგი დოკუმენტი.

შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა საკლასო ჟურნალში სრულიად განსხვავებულ სქემას ითხოვდა. ეს გარემოება გარკვეულ პრობლემას ქმნიდა, ვინაიდან ჩვენ არ გვინდოდა დასავლეთის რომელიმე საგანმანათლებლო სივრცეში შექმნილი სქემის ანალოგი გაგვეკეთებინა. საბოლოოდ, შევიმუშავეთ სქემები (იხ. დანართი 4.5), რომელთა ანალოგი უცხოურ სისტემებში ჩვენთვის ცნობილი არ არის.

გვსურს ნაშრომში ძალიან მოკლედ აღვწეროთ საგნის მასწავლებლის პორტფოლიოს საკვანძო სექტორები :

- მიმდინარე შეფასების სქემა მასწავლებელს საშუალებას აძლევს ყოველდღიურად გამოიყენოს შეფასების ის კომპონენტი (კომპონენტები), რომელიც შეესაბამება მის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის მიზანს, თემას თუ გაკვეთილზე განსახორციელებელ აქტივობებს. შესაფასებელ მოსწავლეთა რაოდენობას მასწავლებელი თავადვე წყვეტს.
- კომპონენტების ანალიზის სქემა იძლევა ინფორმაციას, რამდენად ეფექტურია ესა თუ ის კომპონენტი და, როგორი მოსწრება აქვთ ამ კომპონენტებში მოსწავლეებს.

სქემებზე მუშაობის დასრულებისას, იმთავითვე დგებოდა საკითხი, თუ როგორი იქნებოდა შეფასების შინაარსი, ანუ რა კრიტერიუმებითა და ფორმით უნდა შეფასებულყვნენ მოსწავლეები.

პირველ რიგში ჩვენ შევარჩიეთ კომპონენტები, რომლებსაც შევიტანდით შეფასების პროცესში. ვინაიდან საქმე აპრობაციას ეხებოდა, გადავწყვიტეთ ორ კომპონენტს დაგვერებულიყავით. ჩვენი არჩევანი შეჩერდა **პრეზენტაციაზე** და **კვლევაზე**. მაგალითის სახით განვიხილავთ პრეზენტაციას.

პრეზენტაცია, როგორც შეფასების კომპონენტი ითვალისწინებს ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის წარდგენას აუდიტორიის წინაშე, მის შესახებ შემოქმედებით საუბარს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ კომპონენტში ბევრი ელემენტი (სამეტყველო უნარ-ჩვევები, შედარების გაკეთების უნარ-ჩვევა, შემოქმედებითი უნარ-ჩვევები, დასკვნის გაკეთების უნარ-ჩვევა და ა.შ.) გაგვეერთიანებინა, ვინაიდან ჩვენს მიერ შერჩეულ ორ კომპონენტს მოსწავლე მრავალ განზომილებაში უნდა განეჭვრიტა. აქ, პრეზენტაციის კომპონენტს განვიხილავთ.

პრეზენტაციის კომპონენტის რაობა ჩვენთვის გასაგები იყო, თუმცა აუცილებელი იყო მოსწავლეებს ზედმიწევნით კარგად სცოდნოდათ თუ რას გულისხმობდა ეს კომპონენტი. ამასთან დგებოდა ნიშნის დაწერის პრობლემა – რატომ 7, და არა 8 ; რატომ 5, და არა 6 და ა.შ.

საჭირო იყო მოსწავლის მიერ კარგად შესრულებული პრეზენტაციის მაჩვენებლების ჩამოთვლა, რომლებსაც მოსწავლეები გაეცნობოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მოსწავლეებთან პერმანენტული კონსულტაციების ფონზე მიმდინარეობდა, რამაც, ჩვენის აზრით, შედეგი უფრო მეტად ეფექტური გახადა.

ჩვენ შევიმუშავეთ პრეზენტაციის ინდიკატორები და თითოეულ მათგანს მივანიჭეთ წონა. მოსწავლეს უნდა შეესრულებინა ინდიკატორებით განსაზღვრული აქტივობები და დაეგროვებინა შეფასების ქულა.

მაგალითად :

✓ *პრეზენტაცია*

მოსწავლე/მოსწავლეს

1. დაზუსტებით გადმოსცემს საგნის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციას (2 ქულა);
2. თხრობისას მოყავს მაგალითები/ ადარებს სხვა საგნებსა და მოვლენებს/იყენებს განსხვავებულ წყაროებს (3 ქულა);
3. თხრობისას მოყავს საკუთარი მოსაზრებები/ შეხედულებები/ შეფასებები/ დასკვნები (2 ქულა);
4. თხრობისას იყენებს თვალსაჩინოებას (მაკეტი, რუქა, სქემა, დიაგრამა, ნახატი, მოდელი და ა.შ.); (2 ქულა);
5. თხრობისას იყენებს ეესტიკულაციას, მიმიკებს, ინტონაციას, სწორ ფონემებს (1 ქულა);

თუ მოსწავლე დააკმაყოფილებს I, III და V მაჩვენებელს ის მიიღებს 5 ქულას.

ჩვენს განაყოფში 12 მოსწავლე სწავლობდა. მოსწავლეთა მოსწრება კომპონენტების მიხედვით ჩვეულებრივი, საშუალო არითმეტიკული წესით გამოგვეყადა. ჩვენს განაყოფში, საბოლოო შედეგების მიედვით, პრაქტიკულად ყველა მოსწავლე წარმატებული იყო. ერთი სემესტრის საბოლოო სტატისტიკურ მონაცემებს სქემის სახით წარმოგიდგინთ:

	10 ქულა	9 ქ.	8 ქ.	7 ქ.	6 ქ.	5 ქ.	4 ქ.	3 ქ.	2 ქ.	1 ქ.
პრეზენტაცია	5 მოსწ	5 მოსწ	2 მოსწ							
ვლევა	4 მოსწ	6 მოსწ	2 მოსწ							

მოსწავლეთა წარმატება ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია, მათ მიერ სწავლის პროცესის გაცნობიერებაზე. შეფასების ამგვარი მიდგომით, მოსწავლემ იცის რა უნდა გააკეთოს იმისთვის რომ მიიღოს დადებითი შეფასება. როგორც წესი, წარუმატებლობა დაკავშირებულია გაუგებრობასთან. თუკი მასწავლებელი შეძლებს თვალნათლივ დაანახოს მოსწავლეს, რა უნდა გააკეთოს მან, რათა დადებითი შეფასება მიიღოს, წარმატებამდე მხოლოდ ქმედებალა იქნება დარჩენილი.

§3. უცხოური ენის სწავლების პედაგოგიკური, ზოგადდიაქტიკური და დიაქტიკური ასპექტები

უდაოა, რომ აღზრდის ნებისმიერი იდეის განხორციელება განათლების პირველივე ეტაპიდან უნდა დაიწყოს. პლურილინგვიზმის განვითარებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრეს როლს უცხოური ენის საგანმანათლებლო დარგი ასრულებს. მოზარდის პლურილინგვისტური აღზრდა ორგანიზებულ გარემოში მოქმედი მიზანმიმართული პროცესი უნდა იყოს. ამგვარ მოთხოვნებს სასკოლო გარემო აკმაყოფილებს. შესაბამისად მოსწავლეში პლურილინგვისტური კომპეტენციის განვითარება დაწყებითი სასკოლო ციკლიდან უნდა დაიწყოს. ამდენად ნაშრომის მომდევნო ნაწილში ძირითად ასპექტებს ნაწყებითი დანათლების ჭრილში განვიხილავთ.

3.1. უცხოური ენის სწავლების პრინციპები დაწყებითი სასკოლო ციკლისათვის

სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, სასკოლო სისტემაში პლურილინგვისტური აღზრდის დანერგვისათვის აუცილებელია უცხოური

ენის სწავლების კონცეპტუალური საფუძვლების არსებობა (11,15,20). 2001–2004 წლებში, კონცეპტუალური წანამდგვრები ჩვენი სამუშაოს საგანიც იყო, ვინაიდან რეფორმა ახალი საგანმანათლებლო დოკუმენტების შექმნას ითვალისწინებდა.

დასწეისში, საფრანგეთის საელჩოს განათლების პროექტის, ხოლო შემდგომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში, ჩვენ ამ საკითხებზე ვმუშაობდით.

ჩვენ დავამუშავეთ ლიტერატურა (5,6,17,18,25,27,31,28,54), სადაც საკმარესურსი მოიპოვებოდა უცხოური ენის სწავლების, და ზოგადად, სწავლების პრინციპებისა და მიდგომების შესახებ. ლიტერატურის დამუშავებსა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგად, შევიმუშავეთ თეორიული სისტემა, რომელიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმისა და უცხოური ენის საგნობრივი პროგრამების შემუშავების კონცეპტუალური რესურსი გახდა.

გვსურს ნაშრომში ამ სისტემის მოკლე, რეზიუმირებული მონახაზი წარმოვადგინოთ:

✓ **პრინციპები**

▶ *ძირითადი პრინციპი: მოსწავლე განათლების სისტემის შუაგულშია!*

პრინციპი I. მოსწავლე განხილულია, როგორც თავისებურებათა მქონე ინდივიდი;

ამ პრინციპის საფუძველზე, დიდაქტიკა მხედველობაში იღებს:

ა. მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს;

ბ. მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

პრინციპი II. სკოლა არის ადგილი, სადაც უნდა გაიშალოს მოზარდის პიროვნება და უნდა განვითარდეს მისი პოტენციალი;

ამ პრინციპის საფუძველზე, დიდაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოიმუშავდეთ დადებითი დამოკიდებულებები

- ა. საკუთარი თავის მიმართ;*
- ბ. სხვების მიმართ;*
- გ. სწავლის მიმართ;*
- დ. გარემომცველი სამყაროს მიმართ;*
- ე. სასწავლო საგნის მიმართ;*

პრინციპი III. მოსწავლემ თავადვე უნდა მართოს სწავლის პროცესი;

ამ პრინციპის საფუძველზე, დიდაქტიკა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავად აღმოაჩინოს მისთვის უცნობი მოვლენები. მოვლენების ამგვარ აღმოჩენას თანამედროვე პედაგოგია ცოდნის კონსტრუირებას უწოდებს (53). ცოდნის კონსტრუირებისას მოსწავლე გამოიმუშავებს სტრატეგიულ კომპეტენციას. მოსწავლის მოტივაციის შესანარჩუნებლად აქტივობა აზრიანი უნდა იყოს.

3.2. თანამედროვე მიდგომები სწავლება სწავლის პროცესში

ბავშვის გონებრივ განვითარებაში, სენსორულ-კინესთეტიკური და მოტორული სისტემები ფუნდამენტურ როლს ასრულებენ. სენსორულ-მოტორული სისტემა არის ის მენტალური რესურსი, რომლითაც ბავშვი ამუშავებს ინფორმაციას. მოზრდილისაგან განსხვავებით მას ანალიტიკური, სიტყვიერი აზროვნება არა აქვს განვითარებული (31,47). ბავშვის აბტრაქტული, ცნებითი აზროვნების მთავარი მასაზრდოებელი წყარო სენსორულ-მოტორული სისტემაა. ამდენად მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია დაწყებით საფეხურზე სწავლება მულტისენსორული მიდგომით მიმდინარეობდეს.

*3.2.1. მულტისენსორული მიდგომა სწავლებას/სწავლაში
(ვიდოსოფიური და თეოლოგიური საფუძვლები)*

დასავლური მსოფლმხედველობა გონებას სხეულისაგან გამიჯნულად მოიაზრებს, აქ აზროვნებას გონებას, ხოლო მოძრაობასა და გრძობას სხეულს მიაკუთვნებენ. თუმცა სენსორული და მოტორული სისტემები როგორც სხეულის, ასევე გონების ნაწილია. აღსანიშნავია, რომ განვითარებული სენსორული და მოტორული სისტემები აუცილებელი პირობაა კოგნიტური პროცესების სათანადოდ წარმართვისათვის. ჩვენ ინფორმაციას მოვიპოვებთ ჩვენი გრძობათა ორგანოების საშუალებით. ისინი გადმოგვცემენ ინფორმაციას ყოველივეს შესახებ, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს. მაშასადამე, გრძობათა ორგანოები ერთგვარი დამაკავშირებელი არხია სამყაროსა და ჩვენს შემეცნებას შორის.

მართლაც, ცხოვრების პირველივე ხანიდან ბავშვი სამყაროს შეგრძნებების საშუალებით აღმოაჩენს და შეიცნობს. ბავშვი იღებს ნივთს, აკვირდება სხვადასხვა მხრიდან; ცდილობს, გაიგოს, თუ რა ხმას გამოსცემს; ყნოსავს და პირში იღებს, რათა შეიგრძნოს სუნი და გემო ამ ნივთისა. მაშასადამე, ბავშვი იღებს ინფორმაციას გრძობათა ორგანოების საშუალებით და ამ გზით შეიცნობს ნივთის გარკვეულ თვისებებს. მხოლოდ მოგვიანებით გაიგებს იგი, თუ რა ლინგვისტურ კოდს ანიჭებს ენა ამა თუ იმ თვისებას.

სენსორული სისტემა მხოლოდ ცნობილი ხუთი გრძობით (ხედვა, სმენა, შეხება, ყნოსვა, გემო) როდი გვაწვდის ინფორმაციას სამყაროს შესახებ. არსებობს კიდევ პროპრიოცეპტული შეგრძნებები: კინესთეტიკური, ვესტიბულური და ვისცერული სისტემები, რომლებიც მართავენ შინაგან შეგრძნებებს (14). საინტერესო იქნებოდა მათი მიმოხილვა.

ვესტიბულური სისტემა ადამიანის წონასწორობის ორგანოა, რომელიც აღიქვამს სივრცეში სხეულის მდებარეობისა და მისი მოძრაობის მიმართულების შეცვლას. იგი შიგნითა ყურის ნაწილია და მოიცავს აკოვანი ლაბირინთის ვესტიბულურ პარკებს. მისი რეცეპტორები განლაგებულია ლაბირინთის კედლის მხოლოდ გარკვეულ უბნებზე. რეცეპტორების გაღიზიანებისას წარმოქმნილი იმპულსი სმენისა და წონასწორობის ნერვის ვესტიბულური ტოტით გადაეცემა მოგრძო ტვინის ვესტიბულურ ბირთვებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ტვინის სხვა ნაწილებთან. ვესტიბულური

აპარატის გალიზიანების პასუხად იცვლება ჩონჩხის კუნთების ტონუსი, რის შედეგადაც სხეული წონასწორობას ინარჩუნებს (65). ამასთანავე, ის დიდ როლს ასრულებს ვიზუალური გალიზიანებისას.

კინესთეტიკური შეგრძნებები (მოტორული შეგრძნებები) ადამიანის სხეულისა და მისი ნაწილების მოძრაობის, მდგომარეობისა და კუნთური დაძაბვის შეგრძნებებია. კინესთეტიკური შეგრძნებების მეშვეობით შესებითი აღქმის პროცესში აღვიქვამთ აგრეთვე ობიექტურ საგანთა თვისებებს (სიდიდე, სიმაგრე, სირბილე). თვალის კინესთეტიკური შეგრძნება სივრცის ოპტიკური აღქმის საფუძველია, ხოლო მეტყველების დაუფლებასა და რეალიზებაში მნიშვნელოვან როლს საარტიკულაციო ორგანოების კინესთეტიკური შეგრძნებები ასრულებენ (11).

ვისცერული სისტემა შინაგან ორგანოთა შეგრძნებებს გადმოგვცემს (მაგ., კუჭის ტკივილი და ა.შ.).

რათა უკეთ ჩავწვდეთ სენსორული სისტემის ფუნქციონირებას, ერთი ავტორი (Williams J.J.) გვთავაზობს ასეთ მაგალითს: პატარა ბავშვს ხელში უჭირავს ოთხკუთხა საგანი. მაშინ, როდესაც მისი თითები გარს ევლებიან საგნის წიბოებს, თითების კანში მოთავსებული სენსორული რეცეპტორები (შესებითი ანუ ტაქტილური სისტემა) ტვინს აწოდებენ ინფორმაციას საგნის ფორმის შესახებ. იმავედროულად, კუნთებისა და არტიკულაციის რეცეპტორები (პროპრიოცეპტულ-კინესთეტიკური სისტემა) ტვინს აწოდებენ ინფორმაციას თითების მოძრაობის შესახებ. ტვინში ინფორმაცია ტაქტილური და კინესთეტიკური სისტემებიდან ინტეგრირებულად მოდის და იძლევა ერთგვარ “სურათს“ საგნის შესახებ. თუ ბავშვი უყურებს ნივთს, ამ შემთხვევაში, აგრეთვე ვიზუალური სისტემა მიაწოდებს ტვინს ინფორმაციას და ამგვარად უფრო სრულყოფილი ხდება რამდენიმე სენსორული სისტემით შექმნილი სურათი (63). ამგვარად, ავტორს სურს დაგვანახვოს, რომ ბავშვი სენსორული გზით ქმნის ერთგვარ კონცეფციას საგნის შესახებ.

ძალზე საინტერესოა სპეციალისტ მაკკიმის (R.H. McKim) მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ სტატიაში იგი წერს: “მოსწავლე მაგონებს ტელევიზორს, მას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა არხით, თუმცა შესაძლებელია, ერთ-ერთი არხი უკეთ იძლეოდეს ინფორმაციას, ვიდრე სხვა. სწორედ ეს არხი იქცევა ხოლმე მოსწავლის სწავლისა და თვითგამოხატვის ძირითად საშუალებად.“ ავტორი ასევე

აღნიშნავს, რომ ხშირად ეს არხი აირევა და ინფორმაცია ხარვეზებით მოდის. ეს გარემოება კი, წარმოშობს სწავლის ხარისხის დაქვეითებას.

სწავლისას სენსორული აღქმის მნიშვნელობა სასკოლო პრაქტიკაში თითქმის არსად აღინიშნება, გარდა სპეციალური დაწესებულებებისა, სადაც მოსწავლეებს გარკვეული პრობლემები აქვთ ამ მიმართულებით. თუმცა არსებობენ მოსწავლეები, რომელნიც გონებრივად სრულიად ნორმალურად განვითარებულნი არიან, მაგრამ გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან სწავლაში. მაგალითად: ზოგიერთებს შეუძლიათ ხმამაღლა წაიკითხონ, მაგრამ აზრს ვერ ატანენ; სხვებს თავად კითხვის პრობლემა აქვთ და ა.შ. ასეთ ბავშვებს – ამბობს ავტორი – უნიჭობესა და ზარმაცებს ეძახიან სკოლაში და ხშირ შემთხვევაში “უტვინოს“ იარლიყსაც აკრავენ (57). საოცარია, მაგრამ ალბერტ აინშტაინი, თომას მედისონი და ავგუსტ როდენი სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეთა ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, რაც ზოგიერთთა დასაცინი ხდებოდა, ხოლო ზოგში სიბრაღულს იწვევდა.

თანამედროვე პედაგოგიკა დააკვირდა ამგვარ მოვლენებს და გამოიტანა დასკვნა, რომ სირთულეები სწავლაში არ არის განპირობებული მოსწავლის უგუნურებით.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მეთოდი არსებობს, რომელნიც მოსწავლეს სწავლის სიძნელეების გადალახვაში ეხმარება, ალბათ ყველაზე ეფექტური მაინც სენსორული და მოტორული სისტემის აქტიური ჩართვაა სწავლის პროცესში (63). ინფორმაციის მოპოვება სენსორული სისტემით და პროდუქტირება (production ფრ.) მოტორული სისტემით უნდა ხდებოდეს ინტეგრირებულად, თუკი ჩვენ გვსურს, რომ ბავშვს შეეძლოს სათანადოდ ფუნქციონირება (fonctionner ფრ.). წერისას არა მხოლოდ ხელის მოძრაობაა საჭირო, არამედ აუცილებელია მთელი სხეულის წონასწორობა, ამასთან, საქმეში ერთვებიან კუნთები, რომლებიც თავის მოძრაობას აკონტროლებენ (14).

სპეციალისტი ლორეინ ლოვილიო (Lorraine Loviglio) ამბობს: თუ ექვსი წლის ბავშვი ვერ ფლობს თავის მოძრაობებს და არ გააჩნია საკმაოდ დისკრიმინაციის (discrimination ინგ.) უნარი, მისთვის ძალზე რთული იქნება, თუ შეუძლებელი არა, წაიკითხოს წიგნის გვერდზე დაწერილი ტექსტი, გადმოიწეროს რვეულში ის, რაც დაფაზე წაიკითხა, ან, თუნდაც, ითამაშოს ამხანაგებთან ერთად. თუ ბავშვს შეუძლია მოძრაობების კონტროლი, მაშინ

ის დახარჯავს მინიმალურ ენერგიას ფიზიკური მანიპულაციების შესასრულებლად, ხოლო მაქსიმალურ ენერგიას, შესაბამისი გონებრივი მანიპულაციისთვის.

მაშასადამე, მოზარდისათვის მეტად მარტივია ფიზიკური მანიპულირება, ვიდრე გონებრივი. უფრო მეტიც, შესაძლებელია არსებობდეს აუცილებელი მინიმუმი მოძრაობებისა, რომლებიც მოზარდმა დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს, რათა მისი განვითარება ნორმალურად წარიმართოს. “ ჩვენი ქუჩები, პატარა ბინები და “ტელევიზორის ყუთი” არ აძლევს ჩვენს პატარებს საშუალებას, შეასრულოს მთელი ის გამა მოძრაობებისა, რაც მათ ესაჭიროებათ” (49). თანამედროვე პედაგოგიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ შესაძლებელია, სწორედ მოტორული დაუკმაყოფილებლობა ხდება სწავლის დისფუნქციის (disfonctionnement ფრ.) მიზეზი (14).

ვინაიდან მოტორიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისა თუ ნევროლოგიური ჩამოყალიბების საქმეში, თანამედროვე პედაგოგიკოსები სწავლების დაწყებით ეტაპზე “მოტორული აღზრდის” (Education motrice ფრ.) პირველხარისხოვნებაზე საუბრობენ (14). თუმცა “მოტორული აღზრდისა” და “მულტისენსორული მიდგომის” ფესვებს პედაგოგიკის კლასიკურ სისტემებში მივყავართ.

ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივსა და თავისუფალ აღზრდას. რუსოს აზრით, ბავშვები ბუნებაში უნდა აღიზარდონ ბუნების შესაბამისად და ბუნებრივ პირობებში: “ბუნება განაპირობებს ადამიანის ნიჭის განვითარებას გრძნობათა ორგანოების მეშვეობით”. იან ამოს კომენსკის აზრით, შემეცნების დასაწყისი ყოველთვის შეგრძნებებიდან გამომდინარეობს. იგი იზიარებს ფილოსოფოსთა მოსაზრებებს, – “გონებაში არაფერია ისეთი, რაც პირველად შეგრძნებებში არ ყოფილა; ცოდნის ჭეშმარიტება და სიზუსტე დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, ადასტურებს მას შეგრძნებები თუ არა.” (10)

“ხშირ შემთხვევაში სასკოლო გარემოში უარყოფილია სწავლება/სწავლის კინესთეტიკური მომენტი, – ამბობს რ.ჰ. მაკკიმი ერთ-ერთ კონფერენციაზე, – თქვენ ლაპარაკისას მიმართავთ უესტიკულაციას, ერთდროულად იყენებთ ორ – ვერბალურ და კინესთეტიკურ სისტემას. თუკი შეეცდებით ლაპარაკისას შეზღუდოთ უესტიკულაცია, აღმოაჩნებთ, რომ რაღაც გაბრკოლებთ აზრის გამოსატყაობაში.” მართლაც, ხშირად ვერც კი ვაცნობიერებთ, თუ რამდენად

სრულფასოვნად გამოვხატავთ აზრს უესტიკულაციის დახმარებით და რამდენად ხელს უწყობს იგი თავად აზროვნებას.

კინესთეტიკურ გრძნობას მულტისენსორული პედაგოგია ტაქტილურ გრძნობასთან აერთიანებს და წარმოგვიდგენს კინესთეტიკურ-ტაქტილურ სისტემას. კინესთეტიკურ-ტაქტილური სისტემა, რ. ჰ. მაკკიმის აზრით, ინფორმაციის მიღებისა და დამახსოვრების მესამე არხს წარმოადგენს. იგი ამბობს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა აუდიო და ვიზუალური გზით არჩევს ინფორმაციის მიღებას, თუმცა არსებობენ “ტაქტილურ-კინესთეტიკურნიც” (tactile-kinesthetics ინგ.). ეს უკანასკნელნი უკეთ სწავლობენ მოძრაობითა და შეხებით, ვიდრე ხედვითა და სმენით. მათ უყვართ შეხება, ხშირი გადაადგილება, საგნის ხელში ჭერა და თითების მოძრაობით დათვალიერება. ასეთ მოსწავლეებს გაკვეთილზე უნდა ჰქონდეთ საშუალება, ამ არხიდანაც მიიღონ ინფორმაცია (57).

მოზარდის წარმოდგენა გარესამყაროზე უნდა დაეყრდნოს ინფორმაციას, რომელიც გრძნობათა ყველა სისტემიდან იქნება მიღებული. ამასთანავე, სწავლებაში მულტისენსორული მიდგომა ხელსაყრელ პირობებს უქმნის სპეციფიკური შემეცნებით-სენსორული თავისებურებების მქონე მოსწავლეებს, ამით მათ სრული თვითრეალიზაციის საშუალება ეძლევათ.

მეცნიერების სხვადასხვა დარგში არსებულ ნებისმიერ თეორიას ფილოსოფიური საფუძვლები აქვს. პედაგოგიკის ამ ასპექტის საფუძვლების ძიება ფილოსოფიურ ჭრილში, შემეცნების სენსუალისტური თეორიის ფონზე შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, თუმცა უფრო მეტად საინტერესოდ მივიჩნიეთ მულტისენსორული მიდგომის ანალოგიების მოძიება თეოლოგიაში და მისი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური საფუძვლების განხილვა, მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით არცთუ ბევრი მკვლევარი მუშაობს.

მულტისენსორულ მიდგომას, როგორც პედაგოგიური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას, საფუძველი, უდაოდ, ტრადიციულ (იგულისხმება თეოლოგიური თვალსაზრისით) კულტურაში უნდა ედოს. ამგვარი განცხადების საშუალებას სხვადასხვა ტრადიციული რელიგიების რიტუალებში არსებული ელემენტები გვაძლევს.

რელიგიური რიტუალი, თავისთავად, სამყაროში მიმდინარე მეტაფიზიკური მოვლენების ფიზიკური, თვალსაჩინო ასახვაა. ჩვენ შევეცდებით, მაგალითის

სახით ქრისტიანული რელიგიის ლიტურგიკაში მოვებნოთ მულტიენსორული მიდგომის ელემენტები და განვიხილოთ.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში არსებული შვიდი საიდუმლო (ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა) ლიტურგიაში რეალიზდება. ახალი აღთქმის საიდუმლოთა განცდა რიტუალის მეშვეობით და ზოგადად რიტუალში მონაწილეობის მიღება, ღვთისმეტყველთა აზრით, სულიერი ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა (1 კორ., 3,1-4, 1 პეტ., 2,2). ამდენად, ქრისტიანული ლიტურგიკა აღზრდის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.

თუკი ჩავთვლით, რომ ლიტურგია სიმბოლოების საშუალებით იძლევა ინფორმაციას მეტაფიზიკური სამყაროს შესახებ და ამ გზით ხდება ინდივიდის სულიერი ზრდა, მაშინვე ჩნდება კითხვა; რა არსებით მიეწოდება ეს სიმბოლოები იდივიდს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართეთ ქრისტიანული ლიტურგიის კონკრეტულ ელემენტებს, რამაც გარკვეული ნათელი მოჰფინა საკითხს.

ლიტურგიის დინამიკური პანორამა, რასაც პირობითად თეატრალური ასპექტი შეიძლება ვუწოდოთ, და, რაც სასულიერო პირის აღკაზმულობითა თუ მოძრაობით გამოიხატება, ამასთანავე, საეკლესიო ინვენტარი (ხატები, შანდლები, სანთლები და ა. შ.) უთუოდ **ვიზუალური** (ხედვითი) სენსორით ინფორმაციის გადაცემას ემსახურება. მით უმეტეს, რომ მღვდელმსახურის აღკაზმულობის თითოეული ნაწილი გარკვეულ სიმბოლოს წარმოადგენს. მაგალითად: ოლარი იესო ქრისტეს ორ – ადამიანურ და ღვთაებრივ – ბუნებას გამოხატავს. შესაძლებელია ოლარი, როგორც საღვთო მოვლენის სიმბოლო, ვიზუალური არხით იკვლევდეს გზას ადამიანის რაციონალურ თუ მეტარაციონალურ სისტემაში (ამ საკითხს ქვემოთ უფრო ფართოდ განვიხილავთ), სადაც ის გარკვეულ გაგლენას მოახდენს მასზე.

ასევე, საგალობლის, სასულიერო პირის მიერ წარმოთქმული ლოცვის მოსმენისას **აუდიო** (სმენითი) სისტემით აღქმული კოდი გაგლენას უნდა ახდენდეს რიტუალის მონაწილეზე. ჩვენს საეკლესიო რეალობაში ხშირ შემთხვევაში მსმენელს, შესაძლებელია, არც კი ესმოდეს ლოცვის შინაარსი (ვინაიდან რიტუალი ძველი ქართულით მიმდინარეობს), მაგრამ ის მაინც გაგლენას ახდენს მასზე. ამგვარ სიტუაციას რელიგიური ადამიანები კონკრეტული ტექსტის მადლმოსილებით ხსნიან.

მბრონცხების საიდუმლო პირდაპირ ტაქტილურ (შეხებით) სენსორზეა აწყობილი, ასევეა ზეთისცხება, ნაკურთხი წყლის სხურება, ჯვარს მოხვევა და ა. შ. ამ საშუალებებით ადამიანი ფიზიკურად ეხება იმ ელემენტებს, რამაც მასზე გავლენა უნდა მოახდინოს.

ზიარება გუსტატური (გემო) სენსორის მეშვეობით აგვარებს ღმერთისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას: „რომელმან სჭამოს ხორცი ჩემი და სუას სისხლი ჩემი, ჩემ-თანა ჰგიეს და მე მის-თანა“ (ინ., 6. 63)

რაც შეეხება ოლფაქტო (ყნოსვითი) სენსორს, რიტუალის დროს ის აქტიურად მონაწილეობს ქრისტიანის ზრდის პროცესში: ცნობილია, რომ საცეცხლურიდან ამოფრქვეული საკმევლის სურნელება მადლის სიმბოლოა, რომელიც უბიწო მარიამის მიერ ნაშობმა იესო ქრისტემ მოაფრქვია სამყაროს. ამასთანავე, ღვთისმეტყველთა ერთი ნაწილი თვლის, რომ საკმევლის კეთილსურნელება აფაქიზებს ადამიანის სამშენიველს და ქმნის ერთგვარ მზაობას მადლის მიღებისა. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რიტუალში ყნოსვითი სენსორის ჩართვა ხელს უწყობს სხვა არსებიდან ინფორმაციის (მადლის) შეუფერხებლად მიღებას.

ასევე, აქტიურად არის რიტუალში ჩართული კინესთეტიკური სისტემა, რომელიც პირჯვრის გამოსახვასა თუ მეტანიაში გამოიხატება. კინესთეტიკურ მანიპულაციებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება: “ესრეთ წარწემდენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელნი გამოისახვენ პირჯვარსა...” (8)

ამგვარი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ “მადლი” – ეს არის გარკვეული მეტაფიზიკური ინფორმაცია, რომელიც ზემოქმედებს ადამიანზე, თუმცა ბუნდოვანია, ადამიანის არსის რომელ რეზერვუარში ისაღგურებს ეს ინფორმაცია – რაციონალურში თუ მეტარაციონალურში. იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად მოვიყვანთ ფაქტს, რომ ადამიანზე გავლენას ახდენს ტექსტი, რომლის შინაარსი მისთვის გაუგებარია, ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომლის დატვირთვა მისთვის უცნობია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციის სამიზნე მეტარაციონალური რეზერვუარია.

ამგვარი დასკვნა შესაძლებელია, ელინური ფილოსოფიის ნატივიზმის (თანდაყოლილობის) თეორიასაც ეხმიანებოდეს, რომლის მიხედვით შემეცნების პროცესი მოგონების პროცესია, ადამიანში არსებული ცოდნის, იდეების მოგონებისა. მართლაც, თუკი მაკროკოსმოსში არსებობს ორი –

იდეათა და აჩრდილთა – სამყარო და პირველი განაპირობებს მეორეს, მაშინ ადამიანშიც, როგორც მიკროკოსმოსში, უნდა არსებობდნენ ისინი. ხოლო ადამიანში არსებული იდეები, როგორც ობიექტური იდეების ანალოგები, გავლენას უნდა ახდენდნენ ადამიანის “განპირობებულ” ყოფაზე.

იდეების ადამიანში თანდაყოლილად არსებობის თეორიას კავშირი აქვს ბიბლიის შესაქმესთან: ღმერთმა, რომელმაც “შთაბერა” ადამს უკვდავი სული (დაბ., 1. 8.), მისცა მას ცოდნა, რაზეც ადამის ღმერთთან კომუნიკაციის უნარი მეტყველებს. ცნობილია, რომ კომუნიკაცია კომუნიკატორთა შორის თანმხვედრი პრესუპოზიციების, გარკვეული ლინგვისტური და სემანტიკური კატეგორიის ცოდნის არსებობას მოითხოვს. ადამი ღმერთს ელაპარაკებოდა, მაშასადამე, ის ღმერთის ენაზე საუბრობდა, ვინაიდან ენა, რომელზეც ადამი ელაპარაკებოდა, ადამის შემოქმედის, ღმერთის ქმნილება უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ადამიანი, როგორც უკვდავი სულის მატარებელი, ობიექტური ცოდნის მატარებელიც უნდა იყოს.

პლატონის აზრით, მოგონების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გრძნობადი საგნები (2), მაშასადამე სიმბოლო სენსორული არხებით შესაძლებელია აწვედეს ადამიანის რაციონალურ ან მეტარაციონალურ რეზერვუარში და ააქტიურებდეს სიმბოლოს შესაბამის იდეებს.

პლატონისავე აზრით, სული ადამიანის არსებაა და მისი უნარი აზროვნებაში ვლინდება (2). თუკი ამ დებულებას ყოველივე ზემოთ ხსენებულთან შევაჯერებთ, ქრისტიანულ ლიტურგიაში მულტისენსორული მიდგომის პრობლემასთან დაკავშირებით შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რიტუალში მიწოდებული სიმბოლო სენსორული არხით გზას იკვლევს მეტარაციონალურ (იდეათა) რეზერვუარში, გაააქტიურებს შესაბამის იდეებს, ხოლო გააქტიურებული იდეები იმპულსებს აძლევს რაციონალურ სისტემას. სწორედ აქ ვლინდება “სული აზროვნებაში”, და ამ გზით ხდება ინდივიდის სულიერი ზრდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერებათა სისტემაში ნებისმიერ თეორიას ფილოსოფიური საფუძვლები აქვს. თუმცა, ალბათ, განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ მულტისენსორული მიდგომა, როგორც პედაგოგიური თეორია, არა მხოლოდ ფილოსოფიურ, არამედ თეოლოგიურ საფუძვლებზეც დგას და, რაც მთავარია, ეს პედაგოგიური მიმართულება,

შეიძლება ითქვას, აღზრდის საღვთისმეტყველო სტრატეგიით ხელმძღვანელობს.

3.3. უცხოური ენის სწავლების სტრუქტურა და შინაარსი დაწყებით საფეხურზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ვმუშაობდით უცხოური ენის სწავლების ახალ ფორმასა და შინაარსზე საქართველოს სკოლებში. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ნაშრომში წარმოვადგინოთ ჩვენს მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების სწავლების კონცეფცია და სტანდარტი. უნდა აღვნიშნოს, რომ კონცეფციაც და სტანდარტიც ჩვენი კვლევითი სამუშაოს შედეგს წარმოადგენენ და გამომდინარეობენ ნაშრომში მოცემული პედაგოგიკური ანალიზიდან.

3.3.1 უცხოური ენის სწავლების კონცეფცია დაწყებითი საფეხურისათვის

◆ მიზნები :

დაწყებით კლასებში უცხოური ენების სწავლა/ სწავლების მიზანია, ერთის მხრივ, ფსიქიკური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით, მოსწავლეებში მაქსიმალურად განავითაროს ის შესაძლებლობები და კომპეტენციები, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობენ თავისუფალი, პარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას, და, მეორეს მხრივ, მათში ჩადოს ის აუცილებელი საფუძველი, რომელიც წარმატებულ სწავლას უზრუნველყოფს სწავლის მომდევნო საფეხურებზე. ამისათვის საგანმანათლებლო დარგი მიზნად ისახავს განავითაროს, როგორც სპეციფიური კომპეტენციები, ასევე, დაწყებითი სასკოლო ციკლის გამჭოლი პრიორიტეტები.

✓ გამჭოლი პრიორიტეტები :

- სასიცოცხლო უნარ ჩვევები;
- სოციალიზაცია;
- მოქალაქეობა;
- სწავლის სწავლა;
- საგნის სპეციფიკური კომპეტენციები.

გამჭოლი პრიორიტეტების სათანადოდ გააზრება აღზრდის მესვეურთა უნიშვნელოვანესი დანიშნულებაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ის პიროვნული მახასიათებლებია, რომელთა განვითარებაში სასკოლო ციკლში შემაჯავალმა ყველა საგანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს (სწორედ ამიტომ ქვია გამჭოლი). ძალიან ხშირად, ამა თუ იმ საგნის სწავლებისას, მასწავლებელი არ ითვალისწინებს გამჭოლ პრიორიტეტებს და საგანი რაღაც მთლიანობისგან მოწყვეტილ საკუთარ ნაჭუჭში მყოფ მოვლენად აღიქმება მოსწავლის მიერ. გამჭოლი პრიორიტეტების კურიკულუმში დოკუმენტურად დაფიქსირება კიდევ ერთხელ შეახსენებს მასწავლებელს, რომ კერძო საგანი ერთი მთლიანი განათლების ნაწილია და მუსიკა, ისევე როგორც ქიმია და ისტორია მოსწავლის მიზანმიმართულ აღზრდას ემსახურება.

რათა უკეთ ჩაეწვდეთ თუ რა იგულისხმება ჩვენს მიერ შემუშავებულ გამჭოლ პრიორიტეტებში, განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

1) სასიცოცხლო უნარ-ჩვევები:

პერსონალური პოტენციალის განვითარება :

- ხედვითი, სმენითი მესხიერება;
- აქტიური ყურადღების გამომუშავება;
- ნებისყოფა (ნებელობითი აქტივობის გამომუშავება- განმტკიცება);
- წარმოსახვა, ფანტაზია;
- სენსორულ-კინესთეტიკური სისტემის განვითარება (შეგრძნებების, განვითარება-გამახვილება).

2) სოციალიზაცია:

- ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ეგოცენტრული მდგომარეობიდან გამოსვლა: ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთისათვის ანგარიშის გაწევა, – თანამშრომლობა (წყვილში, ჯგუფთან);
- კოლექტიური ცხოვრების წესების დაცვა და პატივისცემა;
- იმპულსური ქცევებისაგან თავშეკავება.

3) მოქალაქეობა:

- კულტურული მრავალფეროვნების გაცნობიერება;
- ლოკალური თუ მსოფლიო მასშტაბის ზოგიერთი დიდი პრობლემის გაცნობიერება;
- ინდივიდუალური განსხვავებულობის აღმოჩენა და პატივისცემა.

4) სწავლის სწავლა:

- სწავლის პროცესის ორგანიზება (ნივთების მომზადება, სკოლაში და სახლში მეცადინეობების დაგეგმვა და ა.შ.);
- სწავლაში შემაფერხებელი და ხელისშემწყობი ფაქტორების აღმოჩენა (დაკვირვება, თუ რა საშუალებებით უადვილდება სწავლა, რა გარემოებები ხდის რთულს სწავლას და ა.შ.).

5) საგნის სპეციფიური კომპეტენციები :

- უცხოურ ენაზე მარტივი კომუნიკაცია;
- ფონემების სწორად აღქმა და გამოთქმა;

◆ ზოგადი ამოცანები:

დაწყებით საფეხურზე, დასახული მიზნების მისაღწევად 2 ტიპის ზოგადი ამოცანაა გადასაწყვეტი:

1) მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს შემდეგი დამოკიდებულებები:

- განცდა იმისა, რომ მისი ინდივიდუალობა განუმეორებელია და ძვირფასი;
- საკუთარი თავისადმი რწმენა;
- მოტივაცია ენის სწავლისათვის;
- უცხოური ენის ხალისით და სიამოვნებით სწავლა;
- უცხო სამყაროს მიმართ ცნობისმოყვარეობა;
- თანამშრომლობითი სულისკვეთება.

2) მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევა:

- საკუთარი გონებრივი და ფსიქო-ემოციური პოტენციალის ამოქმედება-გამოყენების უნარი ინფორმაციის აღსაქმელად, დასამუშავებლად თუ შესაქმნელად;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, რომელიც გულისხმობს, ერთის მხრივ, სამეტყველო უნარ-ჩვევებს – სმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, მეორეს მხრივ, სოციალურ, ინტერპერსონალურ და ინტერკულტურულ უნარ-ჩვევებს;
- სწავლის უნარ-ჩვევები – სასწავლო საქმიანობის ორგანიზება (6).

3.3.2. უცხოური ენის, როგორც სასწავლო საგნის პედაგოგიკური საფუძვლები და სტრუქტურა დაწყებით საფეხურზე.

- დაწყებით საფეხურზე სწავლის მანძილზე მოდის სამი ასაკობრივი ფაზა
- საშუალო ბავშვობა, გვიანი ბავშვობა და მოზრდილობის პირველი –

წინაპუბერტული ფაზა (7). უცხოური ენების სწავლების პირველი სამი წელი, II, III და IV კლასები, ძირითადად ემთხვევა I და II ფაზას, ბოლო ორი წელი კი (V, VI კლ.) – III ფაზას (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწვეტილებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში უცხოური ენის სწავლება III კლასიდან იწყება. თუმცა, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმა ღია დოკუმენტია და ცვლილებებს ექვემდებარება, გადამუშავების მომდევნო ეტაპზე სამინისტროს კვლავაც მივაწოდებთ რეკომენდაციას II კლასიდან უცხოური ენის სწავლების დაწყების შესახებ). ამ ფაზებისათვის დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, სწავლების პირველ სამ წელს საგნის სტრუქტურა განსხვავებულ სახეს მიიღებს, ვიდრე V და VI კლასებში :

პირველ წლებში უცხოური ენის სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოზარდის ფსიქიკური განვითარების ისეთი თავისებურებები, როგორც არის გაფანტული ყურადღება, მოქნილი ფონეტიკური აპარატი, ინტერესი გარესინამდვილის მიმართ, არასიტყვიერი – ხატოვანი აზროვნება, ენასთან ურთიერთობის სურვილი არა კომუნიკაციის, არამედ გართობის, სიამოვნების მიღების მიზნით (სიმღერა, გათვლები, ლექსები, როლების გათამაშება, რეპეტიტული საბავშვო ნაწარმოებების მოსმენა და გამეორება და ა.შ.). ამ თავისებურებებიდან გამომდინარე სწავლა/სწავლების ამ ეტაპზე მნიშვნელობა მიენიჭება მოსწავლეებში, არა იმდენად, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას, რამდენადაც, დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას საკუთარი თავის, შესასწავლი საგნისა თუ სწავლის მიმართ. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ უცხოური ენის სწავლის პროცესი და თვით უცხოური ენა და კულტურა. სწავლების დაწყებით ეტაპზე ეს პრიორიტული მიზანი იქნება, რომლის განხორციელებასაც პედაგოგიური ძალისხმევა მოემსახურება.

საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს ეპოქაში, რომელიც ღირებულებების საშინელი კრიზისით ხასიათდება, ხალისი, მოტივაცია, კეთილგანწყობა, სიამოვნება, სიხარული წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომელიც რეალურად გაუღვივებს ჩვენს ბავშვებს სწავლის სურვილს. სწორედაც, სწავლებამ მოზარდის მოტივაცია უნდა გააღვივოს. ამისათვის, სწავლების პირველ წლებში გაკვეთილი მაქსიმალურად დინამიური უნდა იყოს. ეს, ერთის მხრივ, გულისხმობს ერთი თემატიკის, ერთი მასალის ირგვლივ სხვადასხვა ტიპის

აქტივობების სწრაფ ცვლას და, მეორეს მხრივ, თავად მასალის ცვლასაც. რაც შეეხება ენობრივ სფეროს, მეტი წილი დაეთმობა სმენასა და ლაპარაკს, რაც ხელს შეუწყობს ენის ფუნქციონალური გამოყენების ჩვევის გამომუშავებას (6).

დაწყებითი საფეხურის ზედა ეტაპზე (V, VI კლასებში) უცხოური ენის სწავლებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი თავისებურებები : მოთხოვნილება დამოუკიდებელი მოქმედებისადმი; გარესამყაროსადმი ინტერესს ემატება ინტერესი შიდასამყაროსადმი, ანუ საკუთარი პიროვნებისადმი; სოციალურ-ვოლიტური მომწიფება; სიტყვიერი აზროვნების ფორმირება; ნებისყოფის განმტკიცება და ყურადღების კონცენტრირების უნარი (7,3). სწავლების ამ ეტაპზე, შეიძლება სწავლება/სწავლამ გეზი აიღოს უცხოური ენის სწავლების ზოგადი მიზნისაკენ – უცხოურ ენაზე კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება. გაკვეთილის მსვლელობაში აღარ იქნება აქტივობათა სწრაფი ცვლის საჭიროება. მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს **სწავლის სწავლა**. ამ ეტაპზე, უკვე, ენობრივ სფეროში, ყურადღება თანაბრად განაწილდება ოთხივე სამეტყველო აქტივობაზე (**სმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა**).

■ **ინტერკულტურული** კომპეტენციების გასავითარებლად, დაწყებით სასკოლო საფეხურზე სწავლების პროცესში, გამოყენებული იქნება ისეთი კონტექსტები, რომლებიც ამ მიმართულებით მიიპყრობს მოსწავლის ყურადღებას (უცხო სამყაროში მიმდინარე საინტერესო კულტურული მოვლენები).

■ **ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური** უნარების გასავითარებლად გაკვეთილზე მოზარდებს საშუალება მიეცემათ ისაუბრონ საკუთარ თავზე; გამოავლინონ თავიანთი პიროვნების სხვადასხვა მხარე – განცდები, გატაცებები, გემოვნება, შეხედულებები, ოცნებები, საყვარელი საქმიანობები, საყვარელი პერსონაჟები, ცხოვრებისეული ისტორიები და სხვა; გაეცნონ თანაკლასელთა თუ უცხოენოვან თანატოლთა სულიერ სამყაროს. ამ გზით ისინი შეძლებენ განიცადონ საკუთარი თუ სხვისი უნიკალურობა, ისწავლონ პიროვნებათა დაფასება, ისწავლონ ურთიერთმოსმენა, ურთიერთგაგება, ურთიერთთანადგომა. მგვარად ისინი გახდებიან მეტად შემწყნარებელნი ერთმანეთისა თუ სხვების მიმართ.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს კლასში კეთილსაიმედო გარემოს შექმნას, სადაც მოზარდი თავს დაცულად იგრძნობს და შეძლებს პიროვნულ გაშლა-განვითარებას. დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს სქემატურად წარმოვადგენთ:

კლასები	II,III,IV	V,VI
გასათვალისწინებელი ასაკობრივი თავისებურებები	<ul style="list-style-type: none"> • გაფანტული ყურადღება; • მოქნილი ფონეტიკური აპარატი; • ენის გამოყენება სიამოვნებისათვის; • ცნობისმთქმარება; • არასიტყვიერი, ხატოვანი აზროვნება; 	<ul style="list-style-type: none"> • ყურადღების კონცენტრირება; • დამოუკიდებელი მოქმედების მოთხოვნილება; • სოციალურ-გოლიტური მომწიფების დასაწყისი; • სიტყვიერი აზროვნების ფორმირება; • ენის კომუნიკაციური მიზნით გამოყენების სურვილი;
სწავლების პროცესი	<ul style="list-style-type: none"> • მაქსიმალური დინამიურობა – აქტივობების სწრაფი ცვლა; • მასალის ხშირი ცვლა; • მეტი წილი დატვირთვა – სმენასა და ლაპარაკზე; • უპირატესად გამოიყენება ისეთი ტიპის აქტივობები, რომელთაც მოქმედებაში მოჰყავს <p>1. მრავალგვარი აზროვნება: ლოგიკური (რაიმე ამოცანის გადაჭრა), მუსიკალური (სიმღერა), სივრცული (პატარა სცენების დადგმა), კინესთეტური (მიმიკა, გაფერადება და ა.შ).</p> <p>2. გრძნობის ორგაოები: სმენითი, ხედვითი, შეხებითი, და ა.შ.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სწრაფი ცვლის საჭიროება აღარ არის; • ორიენტირება სწავლის სწავლაზე; • სამეტყველო აქტივობების (სმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) გათანაბრება; • თანდათანობით მოიმატებს აქტივობები, რომლებიც სიტყვიერ აზროვნებას აამოქმედებს.
პრიორიტეტული მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • დადებითი დამოკიდულება საკუთარი თავის, სწავლის, უცხოური ენისა და კულტურის მიმართ; • უცხოურ ენაზე ელემენტარული კომუნიკაციის უნარი; 	<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციური კომპეტენცია

3.3.3. დაწვებითი საფეხურის უცხოური ენის სასწავლო სტანდარტის თეორია

უცხოური ენის სწავლება დაწვებით კლასებში ექვსი მიმართულებით გაიშლება : მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა წერა, ინტერკულტურა/ინტერპერსონალურობა, სწავლის სწავლა ანუ ინტრაპერსონალურობა. II-VI კლასების, ზოგად, კურიკულუმში დადგენილი მოთხოვნები წარმოდგენილია სამ საფეხურად. საფეხურებრივი დაყოფით უფრო ნათლად გამოიკვეთება ის კომპეტენციები, რომელიც სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე დომინანტობს. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ნაშრომში ვცდილობთ დავადგინოთ მოსალოდნელი შედეგები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს სწავლის ამა თუ იმ საფეხურზე. დეტალურ კურიკულუმში შედეგები და სასწავლო მასალის მოცულობა გაწერელილი უნდა იყოს წლების მიხედვით. ამას გარდა, შევნიშნავთ, რომ აქ შედეგები ზოგადი სახით არის წარმოდგენილი, დეტალურ კურიკულუმში კი თითოეული შედეგი გაიშლება და და უფრო კონკრეტულ სახეს მიიღებს, სადაც მისაღწევი შედეგები და სასწავლო მასალის მოცულობა მოცემული იქნება დეტალურად თითოეული კლასის მიხედვით.

I საფეხური

პირველი საფეხური მოიცავს უცხო ენის სწავლების პირველ წელიწადს, (II კლასს). სწავლების ამ საფეხურზე ძირითადი ყურადღება დაეთმობა სმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარებას. საქმე ისაა, რომ მოსწავლე მშობლიურ ენაზე უკვე დაუფლებულია ამ ჩვევების ავტომატურად განხორციელებას. ამდენად, უცხოურ ენაზე სმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების შექმნა მისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას არ საჭიროებს. ამრიგად, უცხოურ ენაზე სმენისა და ლაპარაკის სწავლა არ გამოიწვევს დაბრკოლებებს. ამასგარდა, ენის ბუნებრივი სწავლა სწორედ სმენით და ლაპარაკით იწყება. მოცემულ ასაკში მოსწავლეებს განსაკუთრებულად მოქნილი ფონემატიკური სისტემა აქვთ. სასურველია ამ უნარის

მაქსიმალურად გამოყენება, რაც პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსმენილის რეპროდუქცირებას.

სულ სხვა ვითარებაა წერასა და კითხვასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ თავისუფლად არ ფლობს კითხვისა და წერის სათანადო უნარ-ჩვევებს მშობლიურ ენაში. ამიტომ, სწავლების ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის მოსწავლეების ამ მიმართულებით გადატვირთვა. შესაბამისად კითხვის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ელემენტარულია, წერის სწავლების დაწყება გადატანილია შემდეგ საფეხურზე (15,20).

მნიშვნელოვანია სწავლების პირველივე საფეხურიდან ზრუნვა როგორც ინტერკულტურული, ისე ინტერპერსონალური კომპეტენციების ჩამოყალიბებისათვის. ამისათვის მოსწავლეების ყურადღება უნდა გამახვილდეს ინდივიდუალურ თუ კულტურულ თავისებურებებზე, რომლებიც მათთვის საინტერესო და კონკრეტულ კონტექსტებში ვლინდება (მაგ., ახალი წლის დღესასწაული უცხო ქვეყანაში).

რაც შეეხება სწავლის სწავლას, პირველ წლებში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება სწავლის წარმართვისათვის აუცილებელი წესრიგის დაუფლებას. მოსწავლეებს ჩვევაში უნდა გაუფდეთ : სასკოლო ნივთების მოვლა, საჭირო ნივთების თან ტარება, მასწავლებლის და ერთმანეთის მოსმენა, დამოუკიდებლად, წყვილში და ჯგუფში მუშაობა. მოსწავლეები აითვისებენ ელემენტარულ სასწავლო სტრატეგიებს(6,20).

II საფეხური

მეორე საფეხური აერთიანებს უცხო ენის სწავლების მეორე და მესამე წლებს (III და IV კლასები). სწავლების ამ ეტაპზე გრძელდება ფონემატიკური სმენისა და წარმოთქმის დახვეწა. იზრდება სმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების კომუნიკაციური მიზნით გამოყენების მოთხოვნა. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ელემენტარულ დიალოგებში მონაწილეობა. სწავლების ამ საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წერისა და

კითხვის ტექნიკის დაუფლებას, რადგანაც სწორედ ამ ეტაპზე უნდა დაეუფლოს მოსწავლე უცხოურ ენაზე წერისა და კითხვის მოტორულ ჩვევებს (24). გრძელდება ინტერკულტურული და ინტერპერსონალური კომპეტენციის განვითარება, რომელიც ეფუძნება ამ ასაკისათვის დამახასიათებელი გარესინამდვილისკენ მიმართულ ცნობისმოყვარეობას. იზრდება მოთხოვნები სწავლის სწავლაში(6).

III საფეხური

ამ ეტაპისათვის (V და VI კლასები), მოსწავლე უცხოურ ენაში ფლობს გარკვეულ ინფორმაციასა და უნარ-ჩვევებს, ამასთანავე იგი ფსიქიკური განვითარების ახალ ფაზაში შედის (7). ეს ფაქტორები სწავლების პროცესში მრავალფეროვანი და კომპლექსური ტექსტების გამოყენების საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით ეს შეეხება რეცეფციული (აღქმითი) უნარ-ჩვევებს – მოსმენასა და კითხვას. მოსწავლეები ეუფლებიან კითხვისა და მოსმენის განსხვავებულ ტექნოლოგიებს. უფრო მდიდარ და კომპლექსურ მასალას დაეფუძნება ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება, რის საშუალებასაც იძლევა ამ ასაკის მოსწავლის ცოდნისა და ინტერესთა სფეროს გაფართოება.

ამ ასაკობრივ ფაზაში მეოფი მოსწავლის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება, რომ ის სცნონ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელ პირად, ძალიან ხელსაყრელ პირობას უქმნის იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომელსაც გულისხმობს სტრატეგიული კომპეტენცია(16).

3.3.4. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენის სასწავლო სტანდარტი

დაწყებითი საფეხურის უცხოური ენის სტანდარტის შესაქმნელად ჩვენ მეორე ენისა და უცხოური ენის მოწინავე მეთოდები (იგულისხმება

სახელმძღვანელოები) გამოვიყენეთ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეთოდების თითოეულ თემატურ ერთეულს სტანდარტის მსგავსი ტექსტი გააჩნია, ანუ მასწავლებელმაც და მოსწავლეებმაც იციან რა შედეგი უნდა მიიღონ თემატური ერთეულის დასრულებისას.

ჩვენ სახელმძღვანელოში მოცემული შედეგები განვაზოგადეთ. ამასთანავე, დავამუშავეთ ევროსაბჭოს განათლების კომიტეტისა და უცხოური ენების ოფისის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის ჩარჩო-დოკუმენტი და შევიმუშავეთ ზოგადი სახის სტანდარტი საფეხურების მიხედვით(41,58). სტანდარტი სტრუქტურირებულია სქემაში მიმართულებების მიხედვით და წარმოდგენილია შედეგების სახით. თითოეულ მიმართულებას თან ახლავს იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას შედეგები. წარმოგიდგენთ ტაბულას:

მოსმენა	I საფეხური (2 კლასი)	II საფეხური (3-4 კლასი)	III საფეხური (5-6 კლასი)
შედეგები	<p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. შესაბამისი უცხოური ენის სხვებისაგან გარჩევა.</p> <p>2. მიკროტექსტებში ნაცნობი სიტყვების, მარტივი წინადადებების ამოცნობა, თუკი ისინი ნელა და გარკვევით არის წარმოთქმული.</p>	<p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. დიდაქტიზებული მცირე ზომის ტექსტების გაგება, თუკი ისინი ნელა და გარკვევით წარმოითქმება.</p>	<p><i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. დიდაქტიზირებული ტექსტის გაგება;</p> <p>2. მცირე ზომის ავთენტური ტექსტების გაგება, თუკი ისინი მოსწავლისათვის ნაცნობ თემატიკას შეეხება.</p>
დამხმარე აქტივობები და სტრატეგიები	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში:</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში:</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში:</p>

	<p>1. ბგერების სმენით გარჩევა;</p> <p>2. ინტონაციების გარჩევა;</p> <p>3. ტექსტის გასაგებად არავერბალური ელემენტების (ინტონაცია, ხმის ტონი, ტექსტის თანმხლები ხმაური...) მოშველიება.</p>	<p>1. ტექსტში მოცემული შინაარსის გასარკვევად სათანადო სტრატეგიების გამოყენება;</p> <p>2. მიღწევების თვითშეფასება.</p>	<p>1. ტექსტის ზოგადი შინაარსისა თუ დეტალური ინფორმაციის დასადგენად შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება ;</p> <p>2. მიღწევათა თვითშეფასება.</p>
--	---	---	---

ლაპარაკი	I საფეხური (2 კლასი)	II საფეხური (3-4 კლასი)	III საფეხური (5-6 კლასი)
შედეგები	<p>რეპროდუცირება: <i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. ტექსტების ზეპირად თქმა (დექსები, სიმღერები) .</p> <p>დიალოგური მეტყველება <i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. განვლილი მასალის ფარგლებში კითხვებზე პასუხის გაცემა, თუ თანამოსაუბრე ნელა და გარკვევით ესაუბრება.</p>	<p>რეპროდუცირება <i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. ტექსტების ზეპირად თქმა (დექსები, მიკროდიალოგები).</p> <p>დიალოგური მეტყველება <i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. მარტივ დიალოგებში მონაწილეობა, თუ თანამოსაუბრე მოსწავლეს კომუნიკაციაში ესმარება და სასაუბრო თემა მოსწავლეს და მის უშუალო გარემოცვას ეხება.</p> <p>მონოლოგური მეტყველება <i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. მარტივი სტრუქტურების და გავლილი დექსიკის გამოყენებით მოყვლა, აღწერა იმისა, რაც თავად ან მის უშუალო გარემოცვას ეხება.</p>	<p>დიალოგური მეტყველება <i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. ყოველდღიურ სიტუაციებში თავი გაართვას კომუნიკაციას (მაგ. ტელეფონით საუბარი, ყიდვა, მილოცვა და ა.შ.);</p> <p>2. ჩაებას მარტივ მსჯელობაში, თუ თემა მისი ინტერესის სფეროს ან ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება (მაგ. სკოლა, სპორტი, მუსიკა და ა.შ.).</p> <p>ონოლოგური მეტყველება <i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. თანამიმდევრულად მოყვას, აღწეროს რაიმე, თუ კი თემა გავლილ მასალას შეეხება.</p>

<p>ამხმარე აქტივობები და სტრატეგიები</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში:</p> <p>1. გამოთქმის დასაყენებლად მოსმენილი მასალის მიბაძვით გამოვრება;</p> <p>2. მიმიკისა და კუსტიკულაციის გამოყენება და მისი მისადაგება ინტონაციასთან.</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში :</p> <p>1. გაკეთილის მსვლელობისას სათქმელის უცხოურ ენაზე გამოხატვა;</p> <p>2. მეტყველებისას შეცდომების დაშვების შიშის დაძლევა ;</p> <p>3. მიღწევების თვითშეფასება.</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში:</p> <p>1. სიტუაციებში დიალოგების გათამაშება;</p> <p>2. მეტყველებისას ლექსიკური დეფიციტის შესავსებად სხვადასხვა ხერხების გამოყენება (მაგ. მიმიკა, კუსტიკულაცია, სხვა სიტყვებით თქმა და ა.შ.) ;</p> <p>3. საჭირო ცოდნის წინასწარ მობილიზება;</p> <p>4. მიღწევების თვითშეფასება.</p>
---	---	--	--

კითხვა	I საფეხური (2 კლასი)	II საფეხური (3-4 კლასი)	III საფეხური (5-6 კლასი)
<p>შედეგები</p>	<p>მოტორული და ფონეტიკური ჩვევები</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>I,1. ცალკეული ნაცნობი სიტყვის თუ წინადადების ხმამაღლა წაკითხვა</p>	<p>ოტორული და ფონეტიკური ჩვევები</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>I.1. მცირე ზომის ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტების ხმამაღლა წაკითხვა.</p> <p>წაკითხვის გაგება</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. მცირე ზომის ტექსტების ჩუმად წაკითხვა და გაგება;</p> <p>2. ტექსტის ტიპების გარჩევა (მაგ. მისალოცი ბარათი, კომიქსი, კითხვარი და ა.შ.).</p>	<p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. ნაცნობ თემატიკაზე აგებული სხვადასხვა ტიპის უცნობი ტექსტების წაკითხვა და გაგება</p>
<p>დამხმარე აქტივობები და სტრატეგიები</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში:</p> <p>1. გრაფემების (ასლების, ასოთშეთანხმებების) ფონემებთან დაკავშირება და</p>	<p>ოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში :</p> <p>1. ხმამაღალი და ჩუმი კითხვა;</p> <p>2. ტექსტის შინაარსის გასარკვევად სათანადო</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში :</p> <p>1. ტექსტის ზოგადი შინაარსის თუ დეტალური ინფორმაციის დასადგენად</p>

	გამოთქმა.	სტრატეგიების გამოყენება ; 3. მიღწევების თვითშეფასება.	სტრატეგიების ფართო სპექტრის გამოყენება; 2. რესურსების საჭიროებისამებრ გამოყენება; 3. მიღწევათა თვითშეფასება.
--	-----------	--	--

წერა	I საფეხური (2 კლასი)	II საფეხური (3-4 კლასი)	III საფეხური (5-6 კლასი)
შედეგები		<p>რეპროდუცირება <i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი მიკროტექსტის გადაწერა;</p> <p>პროდუცირება <i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. სიტყვების, მარტივი წინადადებების, და შესწავლილი ნიმუშის მიხედვით მიკროტექსტის დაწერა.</p>	<p>პროდუცირება <i>მოსწავლეს შეუძლია :</i></p> <p>1. შესწავლილი ნიმუშების მიხედვით სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტის შედგენა.</p>
დამხმარე აქტივობები და სტრატეგიები		<p>ოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში :</p> <p>1. წერის ტექნიკა;</p> <p>2. ვიზუალური მეხსიერების განვითარებისათვის სჭირო აქტივობები;</p> <p>3. ფონემების გრაფემებთან დაკავშირება;</p> <p>4. ნაწერის</p>	<p>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგში :</p> <p>1. წინადადებების სწორად შედგენა;</p> <p>2. ტექსტის შედგენა ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით;</p> <p>3. წერის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება (მაგ. დაგეგმვა, ენობრივი</p>

		შესწორების მიზნით გადამოწმება (თვითშესწორება); 5. მიღწევების თვითშეფასება.	რესურსების გამოყენება, თვითშესწორება, გადათვრება და ა.შ.); 4. მიღწევების თვითშეფასება.
ინტერკულტურა	I საფეხური (2 კლასი)	II საფეხური (3-4 კლასი)	III საფეხური (5-6 კლასი)
შედეგები	<i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i> 1 აღმოაჩინოს კულტურული თავისებურებები ისეთ კონტექსტებში, რომლებიც მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს (მაგ. დღესასწაულები, თამაშები, საკუთარი სახელები, ზღაპრის გმირები, არავერბალური ქცევა და ა.შ.).	<i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i> 1. უცხოენოვანი თანატოლის გარემოცვის საკუთართან გარემოცვასთან შედარება; მსგავსებების და განსხვავებების პოვნა (მაგ. კვების თავისებურებანი, ჩაცმულობა, დაბადების დღეები, სკოლა, საყვარელი გმირები, საცხოვრებელი და ა.შ.); 2. ტექსტებში ჩადებული კულტურული თუ სოციო- კულტურული ხასიათის თვალსაჩინოებათა ამოცნობა (მაგ. ძეგლები,	<i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i> 1. კულტურულ თუ სოციო- კულტურულ განსხვავებათა და მსგავსებათა გამოვლენა; 2. კულტურული მრავალფეროვნების დაფასება; 3. სასწავლო ტექსტებში ჩადებული კულტურული ინფორმაციის გასაშიფრად სხვა საგნებში (ისტორია, ესთეტიკა, ლიტერატურა) შეძენილი ცოდნის მობილიზება- გამოყენება.

		პერსონაჟები, სიმოები და ა.შ.)	
დამხმარე აქტივობები სტრატეგიები	<i>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგ ში :</i> 1. ქართულ ენაზე მისაწვდომი უცხოური საბავშვო ლიტერატურის, განსაკუთრებით ზღაპრების კითხვა და შთაბეჭდილებების გაზიარება ; 2. მშობლიურ და უცხოენოვან კულტურებში თვალსაჩინო, კონკრეტული ხასიათის მსგავსებებსა და	<i>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგ ში :</i> 1. პარალელურების გავლება უცხოენოვან თანატოლთა და საკუთარ სოციო- კულტურულ ზნე- ჩვეულებებს შორის ; 2. თვალსაჩინობათა ყურადღებით დათვალიერება და ნიშანდობლივი კულტურული ხასიათის ელემენტების მოძიება-ამოცნობა.	<i>მოსწავლე გავარჯიშებული უნდა იყოს შემდეგ ში :</i> 1. კულტურული და სოციო- კულტურული კონტექსტების გაანალიზება სხვა საგნებში მიღებული ცოდნის ფონზე; 2. შესასწავლ უცხო ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების, რეგიონების კულტურულ თავისებურებათა აღმოჩენა (მაგ. ტრადიციული

	განსხვავებებზე ყურადღების გამახვილება.		ჩაცმულობები, საცხოვრებელი სახლები, კერძები, ლეგენდები, იდიომები, დიალექტები და ა.შ.); 3. კულტურული მრავალფეროვნების აღმოჩენა;
--	--	--	--

მიმართულებაში „სწავლის სწავლა“ შედეგები იმგვარად არის შედგენილი რომ თავისთავად გულისხმობს სტრატეგიებს, ამდენად დამხმარე აქტივობებისა და სტრატეგიების ბლოკი ამ მიმართულებიდან ამოვიღეთ.

სწავლის სწავლა	I საფეხური (2 კლასი)	II საფეხური (3-4 კლასი)	III საფეხური (5-6 კლასი)
შედეგები	<p>მეტაკოგნიტური სტრატეგიები <i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i></p> <ol style="list-style-type: none"> სასწავლო კუთხის, ნივთების მოწესრიგება; დამოუკიდებლად მუშაობა. <p>კოგნიტური სტრატეგიები <i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i></p> <ol style="list-style-type: none"> დავალების ამოცანის 	<p>მეტაკოგნიტური სტრატეგიები <i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i></p> <ol style="list-style-type: none"> დროის ლიმიტის გათვალისწინება; თვითორგანიზება დავალებების შესასრულებლად; თვითშეფასება, თვითშესწორება; გადაწყვეტილებების მიღება სისუსტეების 	<p>მეტაკოგნიტური სტრატეგიები <i>მოსწავლეს</i> <i>შეუძლია:</i></p> <ol style="list-style-type: none"> კომპლექსური დავალების შესასრულებლად სამუშაო ეტაპების დაგეგმვა; საკუთარი სასწავლო თუ ფსიქოლოგიური პროფილის გაცნობიერება და გათვალისწინება; პასუხისმგებლობის აღება სუსტი

	<p>დამოუკიდებლად გაგება;</p> <p>2. სახელმძღვანელოში მოცემული რესურსების გამოყენება (ილუსტრაციები, ლექსიკონი და ა.შ.);</p> <p>3. გაგების ან პროდუცირებისას არავერბალური საშუალებების გამოყენება.</p> <p>სოციალური სტრატეგიები</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. რაიმეს გარკვევის ან შემოწმების მიზნით კითხვების დასმა.</p>	<p>გამოსასწორებლად.</p> <p>კოგნიტური სტრატეგიები</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. სახელმძღვანელოს სტრუქტურაში გარკვევა და მისი ეფექტურად გამოყენება (სარჩევი, ნაკვეთები, სტრუქტურული ნიმუშები, ლექსიკონი, ილუსტრაციები, ლოგოები და ა.შ.);</p> <p>2. დამხმარე სასწავლო იარაღების შექმნა (ლექსიკონი);</p> <p>3. სხვადასხვა დასამახსოვრებელი ხერხების გამოყენება;</p> <p>4. სხვადასხვა სპეციფიური სტრატეგიის გამოყენება.</p> <p>სოციალური სტრატეგიები</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p>	<p>მხარეების გამოსასწორებლად;</p> <p>4. შეფასების კრიტერიუმებზე მსჯელობა;</p> <p>5. იმ ფაქტორების, იმ გარემოებების დადგენა, რომელიც ხელს უწყობს ან უშლის წინსვლას სწავლაში;</p> <p>6. შეცდომების კონსტრუქციულად გამოყენება;</p> <p>7. იმ მიზნის გაცნობიერება, რომლის მიღწევასაც ემსახურება ესა თუ ის აქტივობა;</p> <p>8. რესურსების საჭიროებისამებრ მოძიება.</p> <p>კოგნიტური სტრატეგიები</p> <p><i>მოსწავლეს შეუძლია:</i></p> <p>1. სახელმძღვანელოს სტრუქტურაში გარკვევა და მისი ეფექტურად გამოყენება (სარჩევი, ნაკვეთები, სტრუქტურული ნიმუშები, ლექსიკონი, ილუსტრაციები, ლოგოები და ა.შ.);</p> <p>2. დამხმარე</p>
--	---	---	--

		1. ამოცანის გადასატრელად ან რაიმეს შესაქმნელად თანატოლთან (წყვილში, ჯგუფში) თანამშრომლობა.	სასწავლო იარაღების შექმნა (ლექსიკონი); 3. სხვადასხვა დასამახსოვრებელი ხერხების გამოყენება;
--	--	--	---

3.4. უცხო ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კურიკულუმი

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა მასწავლებელს სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სწავლება მასწავლებლისგან განსხვავებული მეთოდისა და ტექნოლოგიების ფლობას მოითხოვს. ნაშრომში განხილული მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარება და კოგნიტური პროცესები გახდა საფუძველი ჩვენ მიერ შემუშავებული უცხო ენის მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამებისა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებისას გავითვალისწინეთ ევროკომისიის ენების საბჭოს სტანდარტი და მათი რეკომენდაციები. კერძოდ, სატრენინგო სილაბუსი ოთხ სემინტად დაყავით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი). ამგვარი მიდგომით, როგორც შემდეგ პრაქტიკამ დაგვანახა, გადამზადებულმა მასწავლებლებმა დიფერენცირებულად დაიწყეს ზრუნვა მოსწავლეებში ამ ოთხი საკვანძო უნარ-ჩვევის განვითარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებულ სატრენინგო სილაბუსს საკმაოდ რთული სემანტიკური სტრუქტურა გააჩნია. კერძოდ, ერთის მხრივ, სილაბუსის ორიენტირი მოსწავლეში გასავითარებელი ოთხი ძირითადი უნარ-ჩვევაა და ეს სპეციფიკურ სისტემას აძლევს სილაბუსს. მეორეს მხრივ, მოსწავლის უნარ-ჩვევებისგან დამოუკიდებლად, მასწავლებლის უნარ-ჩვევების სისტემატიზება მოხდა პროგრამებში. ასწავლებლის უნარ-ჩვევების სისტემა შემდეგი სახით მოვათავსეთ პროგრამებში : მასწავლებელი ფლობს,

მასწავლებელმა იცის, მასწავლებელს შეუძლია. მასწავლებლის უნარ-ჩვევების ასეთი სახით სისტემატიზებას გადამზადებულ მასწავლებელთა შორის უნდა გამოეწვიოს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გაუმჯობესება, რაც, მართლაც, მომდევნო გამოკითხვებმა დაადასტურა.

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ჩვენ მიერ შემუშავებულ უცხო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ოთხი მიმართულების სილაბუსებს, რათა მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს სისტემა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

საგანი: უცხოური ენები

(ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა)

მიმართულება: კითხვა

(15 საკონტაქტო, 10 არასაკონტაქტო საათი)

ტრენინგის აღწერა

მიზანი I

მასწავლებელი ფლობს:

1. კორესპონდენციის – სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის, პირადი წერილის, საქმიანი წერილის (მათი ელექტრონული ვერსიის) გაგება,

გამაფრთხილებელი წარწერა, მენიუ, ბანკომატის, ან მობილური ტელეფონის ინსტრუქცია და სხვ.) გაგება.

2. შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტების (კულტურის, ბუნებისმეტყველების და სხვ. სფეროებიდან) გაგება, მხატვრული ლიტერატურის (პოეზიის ნიმუშები, მემუარები, დღიური, რომანი, ნოველა, ესე, ბიოგრაფია და სხვა) გაგება (ლექსიკონის საჭიროებისამებრ დახმარებით).
3. პრაგმატული ტექსტების (კულინარული რეცეპტი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, აბრა, რეცეპტი, ტელერადიოპროგრამა, უსაფრთხოების წესები) გაგება, პრესის (ინტერვიუ, რეპორტაჟი, ტელეპროგრამა, ქრონიკა, კომიქსი, აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, მკითხველის გამოხმაურება და სხვა) გაგება;
4. პროფესიული/მეთოდური/დიდაქტიკური ტექსტების გაგება, კითხვის სხვადასხვა მიზნის ამოკვეთა და შესაბამისი სტრატეგიების (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი) გამოყენება.

მიზანი II

მასწავლებელმა იცის:

საცხოვრებელი გარემო:

კომუნალური გადასახადები (მაგალითად: ქირა, დენის/წყლის/ტელეფონის/გათბობის გადასახადი...), ტექნიკური ხელსაწყოები (მაგალითად: უთო, შხაპი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, ტელევიზორი...), ქალაქი (მაგალითად: ქუჩა, ტროტუარი, გადასასვლელი...), სოფელი (მაგალითად: მინდორი, ფერმა, ეზო...).

დედამიწა და სამყარო:

კოსმოსი (მაგალითად: მზე, მთვარე, ვარსკვლავი, პლანეტა...), გეოგრაფია (მაგალითად: ეკვატორი, ტროპიკი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...), კონტინენტები და სახელმწიფო (მაგალითად: ჰიმნი, საზღვარი, დედაქალაქი...), ამინდი (მაგალითად: ჰავა, წვიმა, თოვლი, მზე...), ლანდშაფტი (მაგალითად: მთა, ბარი, ტყე...), ფლორა და ფაუნა (მაგალითად: შინაური და გარეული

ცხოველები, ფრინველები, მწერები, მცენარეები, თევზები, ხეები, ყვავილები...).

ყოფა:

საუზმე, სადილი, ვახშამი, კერძის მომზადება, ბინის/სახლის მოვლა/დალაგება (მაგალითად: სარეცხი, საუთაო, ქიმწმენდა...), საყიდლები (მაგალითად: სუპერმარკეტში, საკანცელარიო მაღაზიაში, საღარო, ფასი,...).

ჯანმრთელობა და ჰიგიენა:

სხეულის ნაწილები, ექიმთან (მაგალითად: საავადმყოფო, დაზღვევა, ქირურგი, ანალიზი, რეცეპტი, წამალი, აფთიაქი..).

გართობა, თავისუფალი დრო, სპორტი, ჰობი:

კაფეში, რესტორანში, კინოში (მაგალითად: მსახიობი, რეჟისორი, სცენარი, ეკრანი...), კონცერტზე (მაგალითად: ოპერა, თეატრი, ბალეტი, სპექტაკლი, დრამა, კომედია...), დისკოთეკაზე, სტადიონზე, სპორტის სახეობები, სპორტული ტერმინოლოგია და შეჯიბრები (მაგალითად: ფეხბურთი, ჩოგბურთი, სპორტსმენი, გუნდი, მწვრთენლი, მსაჯი, ჩემპიონატი...), წიგნი (მაგალითად: ნოველა, მოთხრობა, ავტორი, პოეზია, ყდა, გამოცემა...).

მედია:

რადიო/ტელევიზია (მაგალითად: გადაცემა, წამყვანი, პროგრამა...), ბეჭდური პრესა (მაგალითად: ჟურნალი, გაზეთი, სტატია, სათაური, განცხადება...), ინტერნეტი (მაგალითად: ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ფორუმი, ჩეტი...), მობილური ტელეფონი (მაგალითად: კლავიატურა, სმს, დარეკვა/ზარი).

ტრანსპორტი და მოგზაურობა/დასვენება:

ავტომობილი, ტაქსი (მაგალითად: ავტომობილის მარკები...), ავტობუსი (მაგალითად: რეისი, დანიშნულების ადგილი...), გემი (მაგალითად: პორტი, კაიუტა...), თვითმფრინავი (მაგალითად: აეროპორტი, ბარგი, საბაჟო, პასპორტი...), ბილეთის აღება, დაჯავშნა, არდადეგები, შვებულება

(მაგალითად: ზამთრის კურორტი, თხილამური, ციგა, ზაფხულის კურორტი, გარუჯვა, ცურვა...)

განათლება:

სკოლა (მაგალითად: გაკვეთილი, მასწავლებელი, სასკოლო ნივთები, სასკოლო საგნები...), უმაღლესი განათლება (მაგალითად: ლექცია, გამოცდა, სამეცნიერო ხარისხი...).

ბანკი:

საბანკო ოპერაციები (მაგალითად: ფულის გადარიცხვა, ანგარიშის გახსნა, ვალუტის გაცვლა...), ბანკომატი (მაგალითად: პინ-კოდი, თანხის აღება...).

საქმიანი კონტაქტები:

საქმიანობის წარმოჩენა/პრეზენტაცია, საქმიანი დოკუმენტაცია (მაგალითად: სამოტივაციო წერილი, განაცხადის შეტანა, რეზიუმე, განცხადებაზე გამოხმაურება), საქმიანი შეხვედრა, სამსახურში (მაგალითად: სამუშაო საათები და გრაფიკი, დასაქმება, დასვენების დღეები, შემოსავალი, გადასახადები, პენსია, მივლინება, ხელმძღვანელი...).

საზოგადოებრივი ცხოვრება:

პოლიტიკა, სახელმწიფო წყობა (მაგალითად: არჩევნები, კანდიდატი, ხმის მიცემა, პარტია, პრეზიდენტი, პარლამენტი, მინისტრი, მთავრობა...), სოციალური მაჩვენებლები (მაგალითად: ადამიანის უფლებები, ომი, მშვიდობა, ჯარი, სიმდიდრე, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, კრიმინალი, უმუშევრობა, ნარკომანია, პილიცია, სასამართლო...).

სამეტყველო ფუნქციები

ემოციები და დამოკიდებულება:

სიხარული, კმაყოფილება, ბრაზი, უკმაყოფილება, გულდაწყვეტა, სინანული, გაკვირვება, ინტერესი, ინდეფერენტულობა, შდადებითი/უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება.

სივრცეში ორიენტირება:

ადგილმდებარეობა, გზის/გეზის/მიმართულების/დანიშნულების ადგილის მითითება.

ინსტრუქცია:

ნების დართვა, აკრძალვა, რჩევა-დარიგება, თხოვნა.

ლოგიკური კავშირები:

მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა.

მიზანი III

მასწავლებელს შეუძლია:

1. კორესპონდენციის (მათი ელ. ვერსიის) გაგება.
2. პრაგმატული ტექსტების (კულინარული რეცეპტი, კატალოგი, სამარშრუტო გეგმა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, აბრა, რეცეპტი, ტელე-რადიოპროგრამა, უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი წარწერა, მენიუ, ბანკომატის, ან მობილური ტელეფონის ინსტრუქცია და სხვ.) გაგება.
3. შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტების (კულტურის, ბუნებისმეტყველების და სხვ. სფეროებიდან) გაგება.
4. პრესის (ინტერვიუ, რეპორტაჟი, ტელეპროგრამა, ქრონიკა, კომიქსი, აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, მკითხველის გამოსხმაურება და სხვა) გაგება.
5. მხატვრული ლიტერატურის (პოეზიის ნიმუშები, მემუარები, დღიური, რომანი, ნოველა, ესე, ბიოგრაფია და სხვა) გაგება (ლექსიკონის საჭიროებისამებრ დახმარებით).
6. პროფესიული/მეთოდური/დიდაქტიკური ტექსტების გაგება.
7. კითხვის სხვადასხვა მიზნის ამოკვეთა და შესაბამისი სტრატეგიების (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი) გამოყენება.

ამ კრედიტის გავლის შედეგად მასწავლებლები აითვისებენ საკითხავი ტექსტების გაგების ტექნოლოგიებს.

მიმართულება: მოსმენა (15 საკონტაქტო, 10 არასაკონტაქტო საათი)

ტრენინგის აღწერა

მიზანი I

მასწავლებელი ფლობს:

1. სამიზნე ენაზე მოსაუბრეთა საუბრის, განცხადებებისა და ინსტრუქციების გაგება ფილმების ენის, საინფორმაციო აუდიოჩანაწერებისა და ტელერადიოგადაცემების (ინტერვიუ, რეპორტაჟი, სპორტული ანგარიში, ამინდის პროგნოზი, ახალი ამბები და სხვა) გაგება
2. რთულ მოხსენებებში ძირითადი დეტალებისა და პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებით (მეთოდური, ინტერკულტურული ხასიათის) შინაარსობრივად რთული მოხსენებების გაგება, მოსმენის მიზნის განსაზღვრა და სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

მიზანი II

მასწავლებელმა იცის:

ჯანმრთელობა და ჰიგიენა:

საპარაკმახეროში (მაგალითად: ვარცხნილობა, თმის ფერი...), ექიმთან (მაგალითად: საავადმყოფო, დაზღვევა, ქირურგი, ანალიზი, რეცეპტი, წამალი, აფთიაქი..).

გართობა, თავისუფალი დრო, სპორტი:

კაფეში, რესტორანში, კინოში (მაგალითად: მსახიობი, რეჟისორი, სცენარი, ეკრანი...), კონცერტზე (მაგალითად: ოპერა, თეატრი, ბალეტი, სპექტაკლი,

დრამა, კომედია...), დისკოთეკაზე, სტადიონზე, სპორტის სახეობები, სპორტული ტერმინოლოგია და შეჯიბრები (მაგალითად: ფეხბურთი, ჩოგბურთი, სპორტსმენი, გუნდი, მწვრთენლი, მსაჯი, ჩემპიონატი...).

მედია:

რადიო/ტელევიზია (მაგალითად: გადაცემა, წამყვანი, პროგრამა...), ბეჭდური პრესა (მაგალითად: ჟურნალი, გაზეთი, სტატია, სათაური, განცხადება...), ინტერნეტი (მაგალითად: ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ფორუმი, ჩეტი...), მობილური ტელეფონი (მაგალითად: კლავიატურა, სმს, დარეკვა/ზარი).

განათლება:

სკოლა (მაგალითად: გაკვეთილი), უმაღლესი განათლება (მაგალითად: უნივერსიტეტი, ლექცია, გამოცდა, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ხარისხი...).

საქმიანი კონტაქტები:

საქმიანობის წარმოჩენა/პრეზენტაცია, საქმიანი დოკუმენტაცია (განცხადებაზე გამოხმაურება), საქმიანი შეხვედრა, სამსახურში (მაგალითად: დასაქმება, დასვენების დღეები, შემოსავალი, გადასახადები, პენსია, მივლინება, ხელმძღვანელი...).

საზოგადოებრივი ცხოვრება:

პოლიტიკა, სახელმწიფო წყობა (მაგალითად: არჩევნები, კანდიდატი, ხმის მიცემა, პარტია, პრეზიდენტი, პარლამენტი, მინისტრი, მთავრობა...), გარემოს დაბინძურება.

მიზანი III

მასწავლებელს შეუძლია:

- სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მოსასმენი დავალებების შერჩევა, (რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ეტაპობრივად ამოცნობა.

- მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა მოსასმენი უნარ-ჩვევის გასავითარებლად.
- მიზნების შესებაბამისი თემის/იდეის, მოსწავლეთა რაოდენობისა და ფუნქციების განსაზღვრა, განხორციელების ეტაპების, გზების და საშუალებების განსაზღვრა;
- დავალების შესასრულებლად საჭირო დროის განსაზღვრა;
- ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ჩაბმას მოსასმენ აქტივობებში; დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. მოსასმენი ამოცანების დასმა, კლასში პასუხების /მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა.
- მოზარდების კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის მომზადება: გასავითარებელი უნარების (მოსმენა-გაგება, სმენითი დისკრიმინაცია, ანუ ბგერების სმენით გარჩევა) გაცნობიერება, უნარებისა და მათი განვითარების სტრატეგიების განსაზღვრა.
- მოსწავლისათვის ისეთი დავალებების /ამოცანების შეთავაზება, რომლებიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.
- სოციო-კულტურული და კულტურული თვალსაზრისით მდიდარი რესურსების შერჩევა და ისეთი აქტივობების აგება, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესს გამოიწვევს; რომლებიც საშუალებას აძლევს პარალელურად გაავლონ უცხოურ და მშობლიურ სოციოკულტურულ სამყაროებს შორის, ამოიცნონ და გაანალიზონ მსგავსებები და განსხვავებები, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები

მიმართულება: ლაპარაკი (15 საკონტაქტო, 10 არასაკონტაქტო საათი)

ტრენინგის აღწერა

მიზანი I

მასწავლებელი ფლობს:

1. ბუნებრივად, დაუბრკოლებლად, შესაბამისი გამოთქმით გაბმულად ლაპარაკი და უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა, ყოფილი საკომუნიკაციო სიტუაციებისათვის თავის გართმევა (საკლასო ოთახში კომუნიკაცია, საქმიანი შეხვედრის დანიშნვა, სატელეფონო საუბრის წარმართვა და სხვ.).
2. დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, დასაბუთება, დამტკიცება, რჩევის მიცემა; პროფესიულ თემაზე ზეპირი გამოსვლის მომზადება და წარმოდგენა; მოსაუბრის, აუდიტორიის განსაზღვრა და შესაბამისი რეგისტრის (ფაზილარული, თავაზიანი, ოფიციალური, ნეიტრალური) შერჩევა; ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

მიზანი II

მასწავლებელმა იცის:

ჯანმრთელობა და ჰიგიენა:

ექიმთან (მაგალითად: დაზღვევა, ქირურგი, ანალიზი, რეცეპტი, წამალი, აფთიაქი..).

ბანკი:

საბანკო ოპერაციები (მაგალითად: ფულის გადარიცხვა, ანგარიშის გახსნა, ვალუტის გაცვლა...), ბანკომატი (მაგალითად: პინ-კოდი, თანხის აღება...).

საქმიანი კონტაქტები:

საქმიანობის წარმოჩენა/პრეზენტაცია, საქმიანი შეხვედრა.

საზოგადოებრივი ცხოვრება:

პოლიტიკა, სახელმწიფო წყობა (მაგალითად: არჩევნები, კანდიდატი, ხმის მიცემა, პარტია, პრეზიდენტი, პარლამენტი, მინისტრი, მთავრობა...), სოციალური მაჩვენებლები (მაგალითად: ადამიანის უფლებები, ომი, მშვიდობა, ჯარი, სიმდიდრე, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, კრიმინალი, უმუშევრობა, ნარკომანია, პილიცია, სასამართლო...).

ინფორმაციის გაცვლა:

პირადი მონაცემები – სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, ეროვნება, წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება, პროფესია/ხელობა. ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამინდი, სურვილები / საჭიროებები / მოთხოვნილებები / ოცნებები და სხვ.

აღწერა-დახასიათება:

ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, საგნის/მოვლენის აღწერა, დადებითი/უარყოფითი შეფასება

ლოგიკური კავშირები:

მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა.

მიზანი III

მასწავლებელს შეუძლია:

- ბუნებრივად, დაუბრკოლებლად, შესაბამისი გამოთქმით გაბმულად ლაპარაკი და უცხოური ენისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა.
- ყოფითი საკომუნიკაციო სიტუაციებისათვის თავის გართმევა (საკლასო ოთახში კომუნიკაცია, შეკვეთა, სასტუმროს დაჯავშნა, საქმიანი შეხვედრის დანიშნვა და სხვ.).
- ინტერაქციაში მონაწილეობა; დისკუსიის დროს საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება;
- პროფესიულ თემაზე ზეპირი პრეზენტაციის მომზადება და წარმოდგენა.
- საუბრისას ენობრივი - ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა.
- ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

მიმართულება: წერა

(15 საკონტაქტო, 10 არასაკონტაქტო საათი)

ტრენინგის აღწერა

მიზანი I

პრაგმატული ტექსტების წერა: კულინარული რეცეპტის, კვირის განრიგის, ანკეტის, ტელეპროგრამის, ტურისტული ბუკლეტის და სხვ. შექმნა; აპლიკაციის, ბლანკის, ანკეტის და სხვ. შევსება. საგაზეთო სტატიების (განცხადების,

გამოხმაურების) შექმნა. სასწავლებელში ან სამუშაო ადგილზე წარსადგენად საკუთარი მონაცემების (CV) წერა. სამოტივაციო წერილის წერა მიმოწერა (ღია ბარათი, პირადი წერილი, საქმიანი წერილი და მათი ელექტრონული ვერსიები) და წერილის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება. შემეცნებით-ინფორმაციული ხასიათის ტექსტის წერა (ისტორიულ / კულტურულ / საბუნებისმეტყველო საკითხებზე).საკუთარი შეხედულების, დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა და დასაბუთება, პრობლემის წერილობით გამოხატვა. წერისას ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა. წერის მიზნის განსაზღვრა და წერის სტრატეგიების გამოყენება. წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის დაცვა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

მიზანი II

სარეკომენდაციო თემები ლექსიკისათვის

პიროვნების იდენტიფიკაცია:

სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, დაბადების ადგილი და თარიღი, ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, წარმომავლობა, მოქალაქეობა, სამუშაო ადგილი, გარეგნობა, ხასიათის თვისებები, ურთიერთობები (მაგალითად: ოჯახის წევრები, ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები).

საცხოვრებელი გარემო:

ბინა, სახლი, ოთახის ტიპები (მაგალითად: საძინებელი, სამზარეულო, სააბაზანო...), სახლის ნაწილები (მაგალითად: სარდაფი, სახურავი, კიბე...), ავეჯი, დეკორაცია (მაგალითად: ხალიჩა, ნახატი, სარკე...), კომუნალური გადასახადები (მაგალითად: ქირა, დენის/წყლის/ტელეფონის/გათბობის გადასახადი...), ტექნიკური ხელსაწყოები (მაგალითად: უთო, შხაპი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, ტელევიზორი...), ქალაქი (მაგალითად: ქუჩა, ტროტუარი, ლამპიონი, გადასასვლელი...)

დედამიწა და სამყარო:

კოსმოსი (მაგალითად: მზე, მთვარე, ვარსკვლავი, პლანეტა...), გეოგრაფია (მაგალითად: ეკვატორი, ტროპიკი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...), კონტინენტები და სახელმწიფო (მაგალითად: ჰიმნი, საზღვარი, დედაქალაქი...), ამინდი

(მაგალითად: ჰაგა, წვიმა, თოვლი, მზე...), ლანდშაფტი (მაგალითად: მთა, ბარი, ტყე...), ფლორა და ფაუნა (მაგალითად: შინაური და გარეული ცხოველები, ფრინველები, მწერები, მცენარეები, თევზები, ხეები, ყვავილები...).

ყოფა:

ძილი (მაგალითად: სიზმარი, დაძინება, გაღვიძება), საუზმე, სადილი, ვახშამი, კერძის მომზადება, ბინის/სახლის მოვლა/დალაგება (მაგალითად: სარეცხი, საუთაო, ქიმწმენდა...), საყიდლები (მაგალითად: სუპერმარკეტში, ბაზარში, საფუნთუშეში, საკანცელარიო მაღაზიაში, დახლი, საღარო, ფასი, წონა...).

ჯანმრთელობა და ჰიგიენა:

სხეულის ნაწილები, ბანაობა (მაგალითად: სააბაზანო ნივთები), ჩაცმა (მაგალითად: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები, კოსმეტიკური საშუალებები, პარფიუმერია) საპარიკმახეროში (მაგალითად: ვარცხნილობა, თმის ფერი...), ექიმთან (მაგალითად: საავადმყოფო, დაზღვევა, ქირურგი, ანალიზი, რეცეპტი, წამალი, აფთიაქი...).

გართობა, თავისუფალი დრო, სპორტი, ჰობი:

კაფეში, რესტორანში, კინოში (მაგალითად: მსახიობი, რეჟისორი, სცენარი, ეკრანი...), კონცერტზე (მაგალითად: ოპერა, თეატრი, ბალეტი, სპექტაკლი, დრამა, კომედია...), დისკოთეკაზე, სტადიონზე, სპორტის სახეობები, სპორტული ტერმინოლოგია და შეჯიბრები (მაგალითად: ფეხბურთი, ჩოგბურთი, სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი, მსაჯი, ჩემპიონატი...), წიგნი (მაგალითად: ნოველა, მოთხრობა, ავტორი, პოეზია, ყდა, გამოცემა...).

მედია:

რადიო/ტელევიზია (მაგალითად: გადაცემა, წამყვანი, პროგრამა...), ბეჭდური პრესა (მაგალითად: ჟურნალი, გაზეთი, სტატია, სათაური, განცხადება...), ინტერნეტი (მაგალითად: ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი, ფორუმი, ჩეტი...), მობილური ტელეფონი (მაგალითად: კლავიატურა, სმს, დარეკვა/ზარი).

ტრანსპორტი და მოგზაურობა/დასვენება:

ველოსიპედი, ავტომობილი, ტაქსი (მაგალითად: ავტომობილის მარკები, სალონი, ძარა, საბარგული, საბურავი...), ავტობუსი (მაგალითად: რეისი, დანიშნულების ადგილი...), გემი (მაგალითად: პორტი, კაიუტა, კაპიტანი...),

თვითმფრინავი (მაგალითად: აეროპორტი, ბარგი, საბაჟო, პასპორტი...), მეტრო და მატარებელი (მაგალითად: სადგური, ესკალატორი, მიწისქვეშა გადასასვლელი...), ბილეთის აღება, დაჯავშნა, არდადეგები, შვებულება (მაგალითად: ზამთრის კურორტი, თხილამური, ციგა, ზაფხულის კურორტი, გარუჯვა, ცურვა...), სასტუმრო (მაგალითად: ნომერი, ჯავშანი, მომსახურება, რეგისტრაცია...).

განათლება:

სკოლა (მაგალითად: გაკვეთილი, მასწავლებელი, სასკოლო ნივთები, სასკოლო საგნები...), უმაღლესი განათლება (მაგალითად: უნივერსიტეტი, პროფესიული სასწავლებელი, ლექცია, დეკანი, გამოცდა, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ხარისხი...).

ბანკი:

საბანკო ოპერაციები (მაგალითად: ფულის გადარიცხვა, ანგარიშის გახსნა, ვალუტის გაცვლა...), ბანკომატი (მაგალითად: პინ-კოდი, თანხის აღება...).

საქმიანი კონტაქტები:

საქმიანობის წარმოჩენა/პრეზენტაცია, საქმიანი დოკუმენტაცია (მაგალითად: სამოტივაციო წერილი, განაცხადის შეტანა, რეზიუმე, განცხადებაზე გამოხმაურება), საქმიანი შეხვედრა, სამსახურში (მაგალითად: სამუშაო საათები და გრაფიკი, დასაქმება, დასვენების დღეები, შემოსავალი, გადასახადები, პენსია, მივლინება, ხელმძღვანელი, ქვეშევრდომი...).

საზოგადოებრივი ცხოვრება:

პოლიტიკა, სახელმწიფო წყობა (მაგალითად: არჩევნები, კანდიდატი, ხმის მიცემა, პარტია, პრეზიდენტი, პარლამენტი, მინისტრი, მთავრობა...), სოციალური მაჩვენებლები (მაგალითად: ადამიანის უფლებები, ომი, მშვიდობა, ჯარი, სიმდიდრე, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, კრიმინალი, უმუშევრობა, ნარკომანია, პილიცია, სასამართლო...).

მეტყველების ტიპები: თხრობა, აღწერა, ახსნა-განმარტება, დასაბუთება.

სამეტყველო ფუნქციები

სოციალური ურთიერთობები:

მისაღმება, დამშვიდობება, მოკითხვა, პიროვნების/თავის წარდგენა, მობოდიშება, მადლობის გადახდა, კეთილი სურვილების გამოხატვა,

წახალისება / შექება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშნვა, მიმოწერის ეტიკეტი.

ინფორმაციის გაცვლა:

პირადი მონაცემები – სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, ეროვნება, წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება, პროფესია/ხელობა. ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამინდი, სურვილები / საჭიროებები / მოთხოვნები / ოცნებები და სხვ.

აღწერა-დახასიათება:

ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, საგნის/მოვლენის აღწერა, დადებითი/უარყოფითი შეფასება.

ემოციები და დამოკიდებულება:

სიხარული, კმაყოფილება, ბრაზი, უკმაყოფილება, გულდაწყვეტა, სინანული, გააკვირვება, ინტერესი, ინდეფერენტულობა, შიშითი/უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება.

დროში ორიენტირება:

დროში ლოკალიზება (საათი, დღე-ღამის მონაკვეთი, თარიღი, წელიწადის დრო), ქრონოლოგია, სისწირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა.

სივრცეში ორიენტირება:

ადგილმდებარეობა, გზის/გეზის/მიმართულების/დანიშნულების ადგილის მითითება.

ინსტრუქცია:

ნების დართვა, აკრძალვა, რჩევა-დარიგება, თხოვნა.

ლოგიკური კავშირები:

მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა

მიზანი III

1. პრაგმატული ტექსტების წერა: ტელეპროგრამის, ტურისტული ბუკლეტის და სხვ. შექმნა; აპლიკაციის, ბლანკის, ანკეტის და სხვ. შევსება.
2. მიმოწერა (საქმიანი წერილი და მისი ელექტრონული ვერსიები);
3. საგაზეთო სტატიების (განცხადების, გამოსმაურების) შექმნა;
4. სასწავლებელში ან სამუშაო ადგილზე წარსადგენად საკუთარი მონაცემების (CV) წერა;

5. სამოტივაციო წერილის წერა;
6. რუბრიკის შედგენა;
7. წერისას ლექსიკური და გრამატიკული ნორმების დაცვა.
8. წერის მიზნის განსაზღვრა და წერის სტრატეგიების გამოყენება.
9. წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის დაცვა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

ამ კრედიტის გავლის შედეგად მასწავლებლები აითვისებენ თანანედროვე პრაგმატული და საკომუნიკაციო ტექსტების შექმნის ტექნოლოგიებს

შეუძლია ფორმალური /არაფორმალური წერილის შექმნა

განსაზღვრავს კორესპონდენციის მიზანს;

იცავს ფორმალურ სახეს;

იყენებს კლიშეებს;

იცავს ლოგიკურ თანამიმდევრობას

იყენებს შესაბამის ლექსიკას,

იყენებს შესაბამის გრ.სტრუქტურებს

იცავს ორთოგრაფიულ ნორმებს.

სარეკლამო ხასიათის ტექსტი

- განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას (ადრესატი, ადრესანტი, ტექსტის მიზანი, ფორმატი);
- არგებს სათაურს;
- აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და ლაკონურად;
- მიუთითებს ფაქტობრივ ინფორმაციას (თარიღი, ფასი, ადგილი, პირობები);
- იცავს გრამატიკისა და ორთოგრაფიულ ნორმებს

CV

* თავს უყრის პირად ინფორმაციას

* იცავს ფორმალურ მხარეს (თანამიმდევრობა, პირადი მონაცემები, განათლება, უნარ-ჩვევები, ინტერესები, რეკომენდატორები)

მიუთითებს ფაქტობრივ ინფორმაციას

სამოტივაციო წერილი

- განსაზღვრავს მიზანს, ადრესატს
- იცავს ფორმალურ მხარეს
- იყენებს კლიშეებს
- იცავს ორთოგრაფიისა და გრამატიკის ნორმებს

ქმნის პრაგმატულ ტექსტს:

კულინარიული რეცეპტი, ტელეპროგრამა

- იძლევა ინსტრუქციებს
- იცავს ფორმალურ მხარეს,
- იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას
- იყენებს შესაბამის გრამატიკულ სტრუქტურას

კვირის განრიგი,

- აკეთებს მოკლე ჩანიშვნებს, (მიუთითებს დრო, თარიღი, ადგილი)

ესსე

- იცავს ესსეს წერის ფორმალურ მხარეს (შესავალი, შუა ნაწილი, დასკვნა)
 - გამოკვეთს პრობლემა, მსჯელობს და ამყარებს არგუმენტებით
 - იცავს მჯელობის თანამიმდევრობას და იყენებს შესაბამის კლიშეებს
 - იცავს გრამატიკისა და ორთოგრაფიის ნორმებს
 - აკეთებს დასკვნას, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას
-
- სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობის, მაგ.; სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედგენა კონკრეტული უნარებისა და მოსწავლის მიღწევის დონის შესამოწმებლად.
 - გაკვეთილისთვის შერჩეული სავარჯიშოების / დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა,

- სამეტყველო/წერითი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა, მაგალითად: იდეების ჩამოწერა/დახარისხება, დაგეგმვა, საჭირო ენობრივი მასალის (საკვანძო სიტყვები, გრამატიკული სტრუქტურა, ზმნის დრო და სხვა) თავმოყრა, სამუშაო ვარიანტის გაუმჯობესება თვითშეფასების/თანაშეფასების გზით.
- მიღწევების დამოუკიდებლად გაუმჯობესების უნარ-ჩვევების ხელშეწყობა, მაგალითად: მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასების და თანაშეფასების პროცესში, ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ პრობლემები.

სრული სილაბუსი (აერთიანებს ოთხივე მიმართულებას)

მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

მსმენელმა კურსის მოსმენის შემდეგ უნდა შეძლოს:

* ბავშვის განვითარების ეტაპების, სწავლის ძირითადი თეორიების, თანამედროვე მეთოდის და სტრატეგიების, საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე დაგეგმოს სწავლებისა და სწავლის პროცესი;

- წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგება;
- მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით მათი საჭიროებების დადგენა და ამით მოსწავლის სწავლის ხარისხის ამაღლება;
- მიღწეული შედეგების შეფასება;
- განათლების თანამედროვე თეორიების პრაქტიკაში გამოყენება.

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეს გამოუმუშავოს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- ლოგიკური და თანამიმდევრული ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია და აზროვნება;
- მართლწერა და კალიგრაფია;
- ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ორგანიზება და გამოყენება;
- სხვისი და საკუთარი აზრის მკაფიოდ ლაკონურად და მწყობრად ჩამოყალიბება, დაფასება და თანამშრომლობა;
- ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასება და პატივისცემა;
- განსხვავებული კულტურული ტექსტებისა და კონტექსტების გაგება;
- თავისუფალი, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მიდგომა;
- ცოდნის დამოუკიდებლად გადრმავება და გამდიდრება ენობრივი თუ კულტურული თვალსაზრისით;
- უცხოური ენის სწავლის (სწავლის სწავლა) და სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევნის აკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა და სხვ.);
- ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ, უცხოური ენის სწავლის სურვილი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მსმენელი უნდა ფლობდეს და შეექმლოს, მოსწავლეს გამოუმუშავოს შემდეგი ჩვევები:

ა) ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება. კერძოდ:

- სხვადასხვა სახის ტექსტების მოსმენა და აღქმა, ანალიზი ტონალობის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება, ტექსტების ტიპების ამოცნობა;

- აზრის გამოთქმისთვის შესაფერისი ემოციური ელფერის მქონე სიტყვებისა და ფრაზების შერჩევა და მათი კონტექსტში ჩასმა, ადეკვატურად, გამართულად და დამარწმუნებლად მეტყველება;
- გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის ცოდნა და ამ ცოდნის შეგნებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

ბ) ენის კომუნიკაციური ასპექტები. კერძოდ:

- საკუთარი კომუნიკაციური ქცევების ადეკვატურად შეფასება და სათანადოდ წარმართვა, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატურ თვითგამოხატვას; საუბრის, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემებზე კამათის წარმართვას;
- ტექსტის წასაკითხად, დასამუშავებლად და გასაანალიზებლად აუცილებელი კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- კონკრეტული საკითხის შესასწავლად ინფორმაციის მოძიება, კრიტიკულად გადამოწმება და მონაცემთა ბანკის შედგენა.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მსმენელი უნდა ფლობდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს შემდეგი მიმართულებით:

ა. სწავლის და განვითარების თეორიები

*

დაგეგმვისას სწავლის თეორიების გამოყენება და გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს გაკვეთილზე მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

*

დაგეგმვისას განვითარების თეორიების გამოყენება და გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს, რაც ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას გაკვეთილზე;

*

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება შექმნის სასურველ და ჯანსაღ გარემოს საგაკვეთილო პროცესში და განაპირობებს მოსწავლეთა დაინტერესების ხარისხის ზრდას, ხელს შეუწყობს დისციპლინეს თავისთავად დამყარებას, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე;

*

ფსიქოლოგიური თეორიების გათვალისწინება და მათი გამოყენება განაპირობებს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლებას;

*

ფსიქოლოგიური თეორიების გათვალისწინებით მასწავლებელი იმუშავებს მოსწავლეთა ნდობის მოპოვებისთვის საჭირო უნარებს, სერიოზულობით ეკიდება მათ აზრებს, უადვილდება მშობლებთან, კოლეგებთან ურთიერთობა.

ბ. საგნის სწავლების მეთოდოლოგია

*

კვლევის მეთოდების გამოყენება პროფესიული მიზნების განსახორციელებლად;

*

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებისას;

*

საინტერესო მეთოდების დანერგვა და გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს კლასის გონივრულ მართვას, სასწავლო პროცესის გახალისებას, ინფორმაციის მიღების გამარტივებას;

*

სხვადასხვა მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში, რაც გაამარტივებს შედეგზე გასვლასა და სტანდარტით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

*

მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობასა და დაინტერესებას გაკვეთილისადმი, ასევე განაპირობებს ინკლუზიურ სწავლებაზე ორიენტირებული პროგრამების შექმნას.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მსმენელი უნდა ფლობდეს მრავალკომპონენტური შეფასებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. კერძოდ:

ა. განმსაზღვრელი შეფასება

- საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა კომპონენტების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განსხვავებული უნარების აღმოჩენა/შეფასებას. თავის მხრივ, გააუმჯობესებს მოსწავლეთა დაინტერესებას და მოტივაციის ამარაღებას;
- კომპონენტების კრიტერიუმებად გაწერა, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ობიექტურობას, მისი დათვლადი, შესრულებადი და გამჭვირვალე პრინციპების გათვალისწინება;
- განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტების ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან კავშირების აღმოჩენა და გათვალისწინება.

ბ. განმავითარებელი შეფასება

- აფასებს მოსწავლეს დაკვირვების შედეგად დაგროვილი მონაცემების, ნამუშევრების კრებულების, პრეზენტაციების, მოსწავლისავე თვითშეფასების, ჯგუფური მუშაობის თუ სხვა ტიპის აქტივობების მიხედვით;
- შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხარისხს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობას;
- შეფასება ჭირდება მოსწავლეს მისცეს რჩევები, რისი გაუმჯობესება ჭირდება უკეთესი შედეგების მისაღწევად;
- კომენტარების შექმნა, რომლებიც მოსწავლეს არა მხოლოდ საკუთარი მიღწევის დონის განსაზღვრაში ეხმარება, არამედ განვითარებაშიც.

მიმართულება	შედეგი	ინდიკატორი
<p>1. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა</p>	<p>1.1 მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად. 1.2 მასწავლებელი ადგენს თანმიმდევრულ და განვითარებად სასწავლო პროგრამებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ასაკობრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. 1.3 მასწავლებლის მიერ დაგეგმილი სწავლის პროცესი ორიენტირებული შედეგებზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. 1.4 მასწავლებელი შეძლებს დაგეგმოს გაკვეთილი თანამედროვე სწავლების თეორიებისა და მეთოდების გამოყენებით, რომელიც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას ზეპირ თუ წერიტ აქტივობაში ჩასაბმელად. 1.5 მასწავლებელს ექნება მრავალგვარი, მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობების ბაზა, საგნობრივ სტანდარტში ყველა მიმართულების, ყველა შედეგის მისაღწევად და შესაბამისი უნარ-ჩვევების გასავითარებლად. 1.6 მასწავლებელი შეძლებს ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის და სხვადასხვა სოციალური თუ სასიცოცხლო უნარების განვითარებას. დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნების აღზრდას. 1.7 მასწავლებელი შეძლებს გაკვეთილის დაგეგმვას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. 1.8 გაკვეთილი იქნება მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული. 1.9 მასწავლებელი შეძლებს გაკვეთილის ზუსტად გაწერილ დროში.</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით; • შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა; • იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ერ.სასწ. გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების და პროგრამების დონეზე; • იცის, როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად; შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება; • შეუძლია გამოიყენოს კომუნიკაციის მრავალფეროვანი სტრატეგიები ცალკეულ მოსწავლეებთან და მოსწავლეთა ჯგუფებთან. • ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად; • ავლენს სწავლების იმ

<p>2. შეფასება</p> <p>3. მოსწავლის პიროვნული, კულტურული და ინტერკულტურული განვითარება.</p> <p>4. განათლების თანამედროვე თეორიები</p>	<p>2.1 შედეგების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით შეფასების სწორად განსაზღვრას დამ ის შერჩევაში მოსწავლეთა ჩაბმას თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში.</p> <p>2.2 განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებას, შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა- შემუშავებას. სათანადო კომენტარების, სქემებისა და რუბრიკების შემუშავებას.</p> <p>3. მოსწავლეთათვის ისეთი დავალებებისა და თემატიკის შერჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, (სოციო-კულტურული და კულტურული ინფორმაცია) აღჭურვას, პერალელის გავლენას უცხოური და მშობლიური სოციო-კულტურულ სამყაროებს შორის, სტერეოტიპული შეხედულებების ამოცნობას და გაანალიზებას.</p> <p>4.1 სწავლებისა და განვითარების თეორიების ცოდნა და მათი განვითარების გამოყენება.</p> <p>4.2 კლასის მართვისა და დისციპლინის სტრატეგიების ფლობა და გამოყენება შესაბამის თეორიებზე დაყრდნობით.</p> <p>4.3 მოსწავლეებთან ურთიერთობის სტრატეგიებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნას.</p> <p>2. მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდის და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის.</p>	<p>მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში;</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასაავითარებლად
--	--	---

<p>შეფასება</p> <p>განვითარებისა და სწავლის თეორიები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა; აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის; 2. იცის როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის <ol style="list-style-type: none"> 1. მასწავლებელმა იცის ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები; იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად. 2. მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები; იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის და იყენებს ერ.სასწ. გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას (მრავალკომპონენტური, განმსაზღვრელი და განმავითარებელი); • იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად; • ესმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაზღვებლობების შეფასება/ადიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში. • აცნობიერებს მოსწავლის განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე; • იყენებს განვითარების თეორიებს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციისა და ხარისხის ამაღლებისთვის
--	---	--

ქ

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ახალი ტერმინების ათვისება და ადეკვატურ კონტექსტში გამოყენება იქცა. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა გახლდათ, ქართულ ენაზე ნათარგმნი თანამედროვე პედაგოგიური ლიტერატურიდან შეგვერჩია ისეთი ტერმინები, რომელთა ათვისება და გამოყენება განათლების მუშაკებისთვის პროლბური იყო. ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ შეგვემუშავებინა ტერმინოლოგიური ლექსიკონი და მოგვეთავსებინა ნაშრომში.

1. **კომპეტენცია** - კომპეტენციას ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში ცოდნა-ჩვევას უწოდებენ. იგი ენის სწავლებაში გულისხმობს კომუნიკაციის რეალიზებისათვის საჭირო ინფორმაციის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ერთობლიობას.

2. **ცოდნა და უნარ-ჩვევა** - კოგნიტური ფსიქოლოგია სცნობს ორი კატეგორიის ცოდნას:

- ერთი არის სტატიკური რანგის ცოდნა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის ფუნქციონალურ გამოყენებას. სამეცნიერო ლიტერატურაში მას *დეკლარაციულს* უწოდებენ (ნაშრომში ამ კატეგორიას ჩვენ ინფორმაციას ვუწოდებთ). უცხოური ენის საგანმანათლებლო დარგში იგი გულისხმობს ლექსიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ფონეტიკის, კულტურული და სოციო-კულტურული რეალობების ცოდნას.
- ცოდნის მეორე კატეგორია დინამიკური რანგისაა და სამეცნიერო ლიტერატურაში მას *პროცედურულს* უწოდებენ. იგი ქმედების, უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში - სამეტყველო აქტის რეალიზების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა გულისხმობს ყველა ტიპის **უნარ-ჩვევას**, იქნება ეს სამეტყველო, კულტურული, სოციალური თუ სტრატეგიული.

3. დამოკიდებულებები – ამაში იგულისხმება ინდივიდუალობასთან დაკავშირებული პირადი ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ კომუნიკაციაში. თუ როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს მოსწავლე სამეტყველო აქტის რეალიზებისას, ეს განპირობებულია მისი პიროვნული ხასიათით (მორცხვი/თამამი, ჩუმი/ყბედი, თავის თავში დარწმუნებული/დაურწმუნებელი, სპონტანური/თავშეკავებული და ა.შ.), განწყობებით, ზნე-ჩვეულებებით, წარმოდგენებით, მოტივაციით და ა.შ. არსებობს ქმედების ხელისმშეწყობი და დამაბრკოლებელი დამოკიდებულებები. კომპეტენტური პირი ყოველ კერძო შემთხვევაში სწორ, მომგებიან დამოკიდებულებას გამოიჩენს.

4. ინტერაქცია – ურთიერთქმედების პროცესი, რომელიც მიმდინარებს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისას..

5. სწავლის სწავლა - მასწავლებელმა იცის რა არის სწავლება და იცის რა არის სწავლა, რა უნდა ქნას მოსწავლემ იმისთვის, რომ მან ისწავლოს. მაგრამ მოსწავლემ ეს არ იცის. იგი მინდობილია მასწავლებელს და ბრმად მიჰყვება მის მითითებებს. სწავლის სწავლა სწორედ მოწაფის სასწავლო პროცესში გათვითცნობიერებასა და აქტიურ ჩართვას ნიშნავს. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს

- ▲ თუ რა ფაქტორები მონაწილეობენ სწავლის პროცესში (განწყობა-დამოკიდებულება, მოტივაცია, სასწავლო პროფილი და სხვა);
- ▲ სასწავლო მიზნები;
- ▲ საშუალებები, რომლებითაც მიზნები მიიღწევა;
- ▲ საშუალებები, რომლებითაც ხორციელდება მიღწეული შედეგების შეფასება;
- ▲ საშუალებები, რომლებითაც ხორციელდება სისუსტეების გამოსწორება და ა.შ.;

6. სტრატეგიული კომპეტენცია – ეს არის სასწავლო სტრატეგიების გამოყენების უნარი. სასწავლო სტრატეგიების განსაზღვრება კი ასეთია : ქმედებები და მექანიზმები, რომელიც მოსწავლეს მოქმედებაში მოჰყავს

იმისთვის, რომ უფრო ადვილად ჩაწვდეს, ათვისოს და გამოიყენოს ახალი ინფორმაცია.

7. ცოდნის შექმნის სამი ფაზა – ნებისმიერი სახის ინფორმაციის დამუშავებისას ინდივიდი სამ ფაზას გადის : იგი ჯერ ეცნობა სიახლეს, რათა ჩაწვდეს მას, შემდეგ ამუშავებს, რათა დაეუფლოს მას და ბოლოს მესსიერებიდან გამოიხმობს, რათა გამოიყენოს.

კოგნიტური ფსიქოლოგია მათ წვდომის, შეთვისებისა და ავტომატიზაციის ფაზებს უწოდებს:

წვდომის ფაზა – შესწავლის ობიექტის მიუხედავად, პროცესი ერთია – დაძაბული ყურადღება ახალი ინფორმაციის გასაგებად, შესაცნობად.

შეთვისების ფაზა – მიღებულ ინფორმაციას ინახავს მესსიერებაში და იწყებს მის აქტიურ გამოყენებას გარკვეული მოცემულობების ფარგლებში (ესა თუ ის სავარჯიშო, ესა თუ ის აქტივობა). ეს არის შეცდომების გამოვლენა-გამოსწორების ფაზა. ამ სტადიაში ყურადღება იმდენად დაკავებულია მიღებული ინფორმაციის დასაუფლებად, რომ მოსწავლეს არ შეუძლია ახალი ინფორმაციების ათვისებაზე ზრუნვა.

ავტომატიზაციის ფაზა – ამ ფაზაში ცოდნა-ჩვევის ავტომატური გამოყენება ხორციელდება, ყურადღება მიმართულია ცოდნის ფუნქციონალური გამოყენებისაკენ (6).

8. სასწავლო სტრატეგიები – ყველაზე მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით სასწავლო სტრატეგიები სამ დიდ კატეგორიად დაიყოფა: მეტაკოგნიტური, კოგნიტური და სოციო-ემოციური.

8.1. მეტაკოგნიტური სტრატეგიები - გულისხმობს მეთვალყურეობას სასწავლო პროცესზე, იმ პირობებისა თუ ფაქტორების გაგებას-გაცნობიერებასა და ამოქმედებას, რომელიც აადვილებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს წინსვლას. მეტაკოგნიტური სტრატეგიებია, მაგალითად, დაგეგმვა, მიზნების დასახვა, ყურადღების დაძაბვა, ცოდნა-ჩვევის გადასინჯვა თუ გადამოწმება, საჭიროებების წინასწარ განჭვრეტა-

მომზადება, თვითშეფასება, ენის პრაქტიკისთვის საჭირო პირობების შექმნა და სხვა.

8.2. კოგნიტური სტრატეგიები- გულისხმობს ურთიერთქმედებას მოსწავლესა და ასათვისებელ მასალას შორის, ამ მასალის გონებრივ თუ ფიზიკურ მანიპულირებას, და ასევე სპეციფიური ტექნოლოგიების გამოყენებას ამა თუ იმ ამოცანისა თუ დავალების შესასრულებლად. კოგნიტური სტრატეგიები უფრო კონკრეტულია და ადვილად დაკვირვებადი. მათ რიცხვს მიეკუთვნება : ენის პრაქტიკა, დამახსოვრების მიზნით სხვადასხვა ტექნიკების გამოყენება, ჩანიშვნების გაკეთება, კატეგორიზაცია, კლასიფიკაცია რაღაც კრიტერიუმების მიხედვით, გამეორება, დედუქცია, ინდუქცია, რესურსების გამოყენება, ინფორმაციის შეჯამება და ა. შ.

8.3. სოციო-ემოციური სტრატეგიები - ძირითადად გულისხმობს, ერთის მხრივ, სხვებთან ინტერაქციას ენის ათვისების ხელშეწყობის მიზნით (კითხვების დასმა რაიმის გასარკვევად, შესამოწმებლად, თანამშრომლობა), და, მეორეს მხრივ, ემოციების მართვას; ემოციურმა ფაქტორებმა სწავლების პროცესზე შეიძლება ძლიერი დამაბრკოლებელი ზეგავლენა იქონიოს, ამიტომ ენის ათვისებისას მათი გათვალისწინება და მათი მართვა ძალიან მნიშვნელოვანია;

9. მეტაკოგნიტური ცნობიერება ანუ მეტაკოგნიცია -უზრუნველყოფს სტრატეგიების ეფექტურ და ადეკვატურ გამოყენებას. გამოკვლევების შედეგად დადასტურდა, რომ წარმატებული სწავლისათვის, მეტაკოგნიცია გადამწყვეტ როლს თამაშობს: სწავლა სწორედ იმ მოსწავლეებს უადვილდებათ, რომელთაც განვითარებული აქვთ მეტაკოგნიტური ცნობიერება, ხოლო იმათ, ვისაც არ აქვთ მეტაკოგნიტური მიდგომა, უძნელდებათ სწავლა და სასწავლო პროცესის წარმართვა. თანამედროვე დიდაქტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტრატეგიული კომპეტენციის განვითარებას, რომელიც, თავისმხრივ, ავითარებს და ამდიდრებს მეტაკოგნიციას.

10. მრავალგვარი აზროვნება – პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ სამეცნიერო წრეებში დღეს ფართოდ გავრცელდა “მრავალმგვარი აზროვნების” თეორია. ეს თეორია ეფუძნება თანამედროვე კოგნიტური და ნეირო ფსიქოლოგიის მონაცემებს; იგი უკუაგდებს აქამდე მიღებულ შეხედულებას, თითქოს აზროვნების ერთადერთი ფორმა ლოგიკურ-მათემატიკური აზროვნება იყოს. აზროვნება განიხილება როგორც უნარი – გადაჭრა რაიმე ამოცანა ან შექმნა რაიმე პროდუქტი. ამოცანის გადაჭრაც და პროდუქტის შექმნაც გონებრივ აქტივობას მოითხოვს, მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში გონების სხვადასხვა წახნაგი, სხვადასხვა კომპონენტი მოქმედებს. მაგალითად : პრობლემების გადასაჭრელად გონების სულ სხვა კომპონენტს აამოქმედებს მეზღვაური, სულ სხვას – პოეტი, სხვას – მებაღე, სულ სხვას – მასწავლებელი, და ა. შ. მრავალი გამოკვლევის შედეგად 7 ძირითადი აზროვნების ტიპი გამოიკვეთა:

- ▲ სამეცნიერო აზროვნება – ამ კომპეტენციის ყველაზე დასრულებული სახე ალბათ მწერალია;
- ▲ ლოგიკურ-მათემატიკური აზროვნება – აზროვნების ეს ტიპი უფრო იმათ აქვთ განვითარებული, ვისაც მათემატიკა და სხვა ტექნიკური დარგები უადვილდებათ;
- ▲ სივრცული აზროვნება – ეს გულისხმობს უნარს იმოქმედო სივრცეში. ასეთი აზროვნება განვითარებული აქვთ მეზღვაურებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს და ა.შ.;
- ▲ მუსიკალური აზროვნება განვითარებული აქვთ მუსიკის მოღვაწეებს;
- ▲ კინესთეტიკური აზროვნება – ეს არის უნარი პრობლემის გადაჭრისა თუ პროდუქტის შექმნისა სხეულით ან მისი ერთი ნაწილით (მოცეკვავე, კულტურისტი, ხელოსანი, მოქანდაკე);
- ▲ ინტერპერსონალური აზროვნება – ეს არის უნარი გაუგო სხვას, მიხვდე თუ როგორ უნდა მოეპყრა (დიპლომატი, ვაჭარი, მასწავლებელი, ლიდერი);
- ▲ ინტრაპერსონალური აზროვნება – ეს არის უნარი –ზუსტი წარმოდგენა შეიქმნა საკუთარ თავზე და ცხოვრებაში ეფექტურად გამოიყენო.

უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების ბოლო ორ ტიპს არსებითი მნიშვნელობა აქვთ, თუმცა, როგორც წესი, სწავლების პროცესში ორივე შეუმჩნეველი და უგულვებელყოფილი რჩება;

ცხადია, ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრისას ადამიანი კომბინირებულად იყენებს აზროვნების სხვადასხვა ფორმებს. სწორედ, აზროვნების ტიპების კომბინირების ინდივიდუალური უნარებით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან. სასწავლო პროცესში ინდივიდუალურ პოტენციათა გამოვლენა სკოლის ერთ-ერთი დანიშნულებად უნდა იქცეს.

11. თვითსწავლა: უცხოური ენის თვითსწავლა გულისხმობს მომავალში 4 ძირითადი ამოცანის დამოუკიდებლად გადაჭრას:

- პირადი საჭიროებების მიხედვით მისაღწევი მიზნების დადგენა-განსაზღვრა;
- სათანადო რესურსების შერჩევა;
- შესაფერისი სტრატეგიების მისადაგება-გამოყენება;
- თვითშეფასება;

12. სენსორულ-კინესთეტიკური არხები – სენსორულ-კინესთეტიკური სისტემა გულისხმობს ხუთივე გრძნობას (ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება) და, ამასთანავე, კუნთებსა და სახსრებში განლაგებულ რეცეპტორებს.

13. სასწავლო პროფილი – თანამედროვე პედაგოგიკური დარგი ნეიროპედაგოგიკა მოსწავლეს ტელევიზორს ადარებს. ტელევიზორის მსგავსად, მოსწავლეს სხვადასხვა არხით ინფორმაციის მიღება შეუძლია. ეს არხები არის გრძნობის 5 ორგანო და კინესთეტიკური სისტემა. ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ცალკეულ ინდივიდში, როგორც წესი, რომელიღაც ერთი არხი სხვებზე მეტად არის განვითარებული და, შესაბამისად, ისინი ინფორმაციის დამუშავებას ამ არხით არჩევენ. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს სასწავლო პროფილს. დადგენილია სამი ძირითადი სასწავლო პროფილი არის:

- ▲ ხედვითი
- ▲ სმენითი

▲ კინესთეტიკური

ზოგიერთი მოსწავლე ინფორმაციის აღქმას ხედვით არჩევს – ასეთებზე ამბობენ “ფოტოაპარატით” სწავლობსო. ზოგიერთი – სმენით; მათზე ამბობენ, რომ “მაგნიტოფონით” სწავლობს; კინესთეტიკურებზე კი იმას ამბობენ, რომ “უთაოდ” სწავლობენო – ისინი არჩევენ მანიპულაციას, ჟესტიკულაციას, მიმიკას, რიტმებს, მოძრაობას.

მულტისენსორული მიდგომით არცერთი სასწავლო პროფილი არ იზაგრება, რამდენადაც ყველას საშუალება ეძლევა თავისი დომინანტი სენსორული მოდალობა გამოიყენოს; სხვა მხრივ, აქტივობათა ფართო სპექტრი ხელს უწყობს სხვა – რეცესიული მოდალობების გააქტიურება-განვითარებას და გონებრივი რესურსების უფრო სრულად ათვისებას (14).

სასწავლო პროფილს განსაზღვრავს, ასევე, ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახერვარსფეროების არათანაბარი განვითარება. ვისაც მარჯვენა აქვს მეტად განვითარებული, ის გლობალისტია, ვისაც მარცხენა – ანალიტიკოსი (32).

14. ფსიქოლოგიური პროფილი - მორცხვი/თამამი, ჩუმი/ყბედი, თავის თავში დაჯერებული/დაურწმუნებული, სპონტანური/თავშეკავებული, ცელქი/წყნარი და ა.შ.)

15. მულტისენსორული სწავლება – გულისხმობს აქტივობათა ისეთი ფართო სპექტრის გამოყენებას, რომელიც სრულად მოიყვანს მოქმედებაში მოზარდის სენსორულ-კინესთეტიკურ სისტემას. ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მოზარდში სენსორულ-კინესთეტიკური და მოტორული სისტემები გონებრივ განვითარებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებენ. სენსორულ-მოტორული სისტემა არის ის მთავარი წყარო, რომელიც ასაზრდოებს მოზარდში აბსტრაქტულ, ცნებით აზროვნებას და ამწიფებს მას ანალიტიკური და სიტყვიერი აზროვნებისთვის (14).

16. გამჭოლი პრიორიტეტები – ის მახასიათებლები, რომელთა ჩამოყალიბებაში მეტ-ნაკლებად ყველა საგანს შეუძლია თავისებური წვლილის შეტანა (მაგ.: წარმოსახვა, აზროვნება, თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, აღქმა, მეტყველება და ა.შ.).

17. ფონემატიკური სმენა – სმენითი მგრძობელობა, რომელიც იჭერს ბგერათა შორის არსებულ მცირე, თუმცა, მნიშვნელოვან განსხვავებებს.

18. ავტომატიზება – ჩვევაში გადასვლა. როცა კონკრეტული მოქმედება აღარ საჭიროებს ყურადღების, ცნობიერების სპეციალურ ჩარევას (ჩვევა – კონკრეტული მოქმედების ავტომატურად შესრულების უნარის დაუფლება).

19. პლურილინგვისტური ცნობიერება :

თანამედროვე საზოგადოებაში წარმოიშვა საშიშროება, რომელიც ემუქრება კულტურათა, ტრადიციათა, ცნობიერებათა თვითმყოფადობას ; ერთი გახლავთ ყველას და ყველაფრის უნიფორმიზაცია (მასობრივი გაერთოვანების პროცესი). ამ ფენომენისაგან თავდაცვის სურვილმა, თავის მხრივ, შვა მეორე ნეგატიური მოვლენა, რომელიც ხელს უშლის კულტურათა ჰარმონიულ თანაარსებობასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას : ეს გახლავთ კარჩაკეტილი პარტიკულარიზმი. აღსანიშნავია, რომ ეს ორი თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა ერთ საწყისზე დგას – განსხვავებული თვითმყოფადობის არ-ცნობა, არ-აღიარება. ამ ორი ნეგატიური მოვლენის დასაძლევად ევროსაბჭომ ერთ-ერთ პრიორიტეტად პლურილინგვიზმის განვითარება გამოაცხადა.

პლურილინგვიზმი კომპლექსური ცნებაა და ორ ასპექტს შეიცავს – ზნეობრივ-ეთიკურს და პრაგმატულს. ერთის მხრივ, იგი გულისხმობს, ნებისმიერი (საკუთარი თუ უცხო) ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობათა ღირებულების ცნობა-აღიარებას და დაფასებას ; მეორე მხრივ, ენების ათვისების სურვილსა და უნარს. პლურილინგვიზმს, როგორც პერსონალურ ან სოციალურ მახასიათებელს ცნობიერებასა და კომპეტენციას უწოდებენ (36,37).

20. აქტივობა – ყოველი კონკრეტული და მიზანმიმართული ქმედება, გამოვლენილი სასწავლო პროცესის ფარგლებში.

21. ინტერკულტურა – კულტურული ინფორმაციის ქონა, რომელსაც თანსდევს უნარი, გაიგო განსხვავებული კულტურა, მიიღო ისეთი, როგორც არის ; გაიხსნა მის მიმართ ისე, რომ არ მოწყდეს საკუთარ კულტურულ ფესვს.

☐ დასკვნა

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მოვლენათა ერთი ნაწილის განხილვა, რომელიც ეპოქალურმა დაკვეთამ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში აპრობაციის საგნად აქცია. ნებისმიერ ეპოქაში მსოფლმხედველობრივი საფუძველი დომინანტი ფილოსოფიური მიმდინარეობებია. ეპოქალური მსოფლმხედველობა ეპოქის პრაქტიკული ფუნქციონირების განმსაზღვრელია. არსებობენ კულტურული (ცნობიერებითი) თვითმყოფადობები, რომლებიც ვერ ეგუებიან თავს მოხვეულ თანამედროვეობას. შეუგუებლობა მითუმეტეს მძაფრდება, როდესაც ეპოქის მედროშე რომელიმე თვითმყოფადობა ხდება. ასეთ შემთხვევაში, ყოველივე, ეთნიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ პროდუქციად აღიქმება.

სადღეისოდ, დომინანტი მსოფლმხედველობრივი საფუძველი – ფილოსოფიური პრაგმატიზმი თანამედროვეობის ნებისმიერ მოვლენას (მათ შორის ადამიანს) „გამოყენების“, „მოხმარების“ ჭრილში განიხილავს. საგანმანათლებლო სივრცეში ყბადაღებული ტერმინი „უნარ-ჩვევა“, რომლის ფართო სპექტრის ადამიანურ მახასიათებლად დამკვიდრებას ღამობს ეპოქა, სხვა რაა, თუ არა რენტაბელობის გარანტია. ნებისმიერ ეპოქაში ადამიანს გააჩნდა უნარიც და ჩვევაც. უბრალოდ არასდროს არსებობდა ასეთი ისტერიული დეკლარირების საჭიროება, როგორც დღევანდელია. რაში მდგომარეობს ეს საჭიროება? იქნებ, უნარ-ჩვევებით აღჭურვილ ადამიანში, რომელმაც უთუოდ ფეხი უნდა აუწყოს ცივილიზაციის განვითარების სულ უფრო მზარდ ტემპებს. . .

ნებისმიერ შემთხვევაში, პიროვნების ფორმირებასთან დაკავშირებული დაკვეთის განხორციელება განათლების ფუნქციაა და ჩვენი კვლევის თავისებურება დაკვეთისა და შესრულების გაანალიზებაში მდგომარეობდა.

■

ნაშრომის პირველ თავში მოცემულ ანალიზს გარკვეულ დასკვნამდე მიყვავართ: დარგის სწავლების კონცეფცია, როგორც წესი, გარკვეული პოლიტიკის გამტარებელია შესაბამის დარგში. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, სასურველია, რომ უცხოური ენა, როგორც საგანმანათლებლო დარგი პლურილინგვიზმის პოლიტიკას ითვალისწინებდეს. მეტადრე, იმის გათვალისწინებით, რომ პლურილინგვისტური ცომპეტენცია, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ეფუძნება ენობრივ კომპეტენციებს. ენობრივი კომპეტენცია კი, თავის მხრივ, კულტურულ კომპეტენციებსაც შეიცავს. საქართველოში არსებული ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნება კარგი ბაზისია ჩვენს საზოგადოებაში პლურილინგვიზმის გასაავითარებლად. პლურილინგვისტური ცნობიერების ჩამოყალიბება მითუმეტეს სახარბიელო უნდა იყოს მოქალაქეობრივი შეგნებისა და თვითმყოფადობათა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების დასამკვიდრებლად.

■

თანამედროვე მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემებში კურიკულუმი დამკვიდრებული ტერმინია. ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, კურიკულუმი თავად საგანმანათლებლო პროცესია(23). ნაშრომის მეორე თავში ჩვენ შევეცადეთ კურიკულუმის ისტორიული განვითარების ფონზე გაგვეანალიზებინა მისი შესაძლებლობა, წარმოადგენდეს ეფექტურ საგანმანათლებლო პროცესს. ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი, როგორც იდეა გულისხმობს ფართო გაგებით ქვეყანაში, ხოლო ვიწრო გაგებით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პედაგოგიკური პროცესების ერთობლიობას, ხოლო როგორც დოკუმენტი, პედაგოგიკური პროცესების კოორდინაციის საშუალებაა, ვინაიდან თავადვე შეითავსებს პროცესებს.

კურიკულუმის შემუშავებას თავისი წესები გააჩნია. ერთ-ერთი წესის თანახმად ნებისმიერი ასპექტი, რომელიც განისაზღვრება კურიკულუმის მიერ უნდა იყოს მოცემული დინამიკაში (17,23). დინამიკაში მოცემული ასპექტი კი, თავისთავად პროცესია. ვფიქრობთ, ამგვარი მოთხოვნის თანახმად შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში დანერგვა მასწავლებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იქნება.

■

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა გარდაქმნის პროცესშია. სისტემის ქვაკუთხედი მასწავლებელია. მასწავლებელმა უნდა აითავისოს ის მოთხოვნები, რომელსაც სახელმწიფო და საზოგადოება უყენებს. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ათვისება და სასწავლო-აღმზრდლობით პროცესში დანერგვა მასწავლებლისგან დაუღალავ შრომას მოითხოვს. ნაშრომის მესამეთავეში ჩვენ შევეცადეთ მასწავლებლის პრაქტიკული მოღვაწეობის ასპექტებს შევხებოდით.

მასწავლებლის პროფესონალიზმი და პედაგოგიური მოღვაწეობის ეფექტურობა მოსწავლის მთლიანობაში დანახვას გულისხმობს. ძალზე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოსწავლის ყოველმხრივი განვითარებისთვის იზრუნოს, განსაკუთრებით დაწყებით სასკოლო საფეხურზე. ეს გულისხმობს აქტივობათა ისეთი ფართო სპექტრის გამოყენებას, რომელიც სრულად მოიცვანს მოქმედებაში მოზარდის სენსორულ-კინესთეტიკურ სისტემას.

ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მოზარდში სენსორულ-კინესთეტიკური და მოტორული სისტემები გონებრივ განვითარებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებენ. სენსორულ-მოტორული სისტემა არის ის მთავარი წყარო, რომელიც ასაზრდოებს მოზარდში აბსტრაქტულ, ცნებით აზროვნებას და ამწიფებს მას ანალიტიკური და სიტყვიერი აზროვნებისაგან (31). ბავშვს, მოზრდილისაგან განსხვავებით, განუვითარებელი აქვს ანალიტიკური და სიტყვიერი აზროვნება. ამის მიზეზი დაადგინა ტვინის ნახევარსფეროებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა(47). აღმოჩნდა, რომ ვერბალურ და ანალიტიკურ პროცესებს მარცხენა ნახევარსფერო მართავს – იგი ქმედითუნარიანია სიტყვიერი ინფორმაციის დასამუშავებლად, ენის კოდირებისა თუ დეკოდირებისათვის; მისი ფუნქციაა მთლიანი დაანაწევროს; სულ სხვაა მარჯვენა ნახევარსფეროს ფუნქცია: იგი არასიტყვიერ პროცესებს მართავს; მისი მიდგომა გლობარულია, სინთეზურია; იგი პოულობს სტრუქტურას, ხედავს კავშირებს. მარჯვენა ნახევარსფერო ქმედითია ვიზუალური თუ სივრცული ინფორმაციის დასამუშავებლად. ამასთანავე იგი არის შემოქმედებითი ინტუიციის წყარო, ანუ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემოქმედებითობის განვითარებაში. იგი უძლურია სიტყვიერი ინფორმაციის დასამუშავებლად. ბავშვს კი, როგორც აღმოჩნდა, სწორედ

მარჯვენა ნახევარსფერო აქვს მეტად განვითარებული. ამიტომაც უჭირს მას თვალსაჩინოების გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი გზით მიწოდებული ინფორმაციის აღქმა (47).

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული უკანასკნელ ხანებამდე სწავლება ძირითადად მარცხენა ნახევარსფეროს განვითარებასკენ იყო მიმართული. ბავშვებს ხშირ შემთხვევაში ისეთი დავალებების შესრულება უწევდათ და უწევთ დღესაც, რომელიც მათი ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს არ მიესადაგება; ასეთი ჩაცდების შედეგად მოსწავლეები კარგავენ შინაგან მოტივაციას და უხალისოდ, ძალით სწავლობენ. ამის ნაყოფს სწავლების მომდევნო სასკოლო ეტაპზე ვიწვნევთ. სანამ მოსწავლე ბავშვობის ფაზაშია, მას უფროსისადმი მორჩილების მოთხოვნილება აკავებს. მაგრამ, შინაგან მოტივაციას მოკლებული მოზარდი სწავლაზე ხელს იღებს წინაგარდატეხის ასაკში, როცა იწყება ამ ასაკისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვან ფსიქიკურ გარდაქმნებთან დაკავშირებული დაუმორჩილებლობის ხანა(7).

ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური სტრატეგიების რეორგანიზებას და მათ მიმართვას მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობებისაკენ, რომლებიც აღძრავენ თვითგანვითარების მოტივაციას.



ნაშრომისათვის ამგვარი ღირებულების მინიჭება უგვანო ამბიციით გამოწვეული აქტი არ არის. ამგვარი ქმედება შესაძლოა ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეობის სურვილით გატაცებული ადამიანის აღტკინება იყოს. ვიმედოვნებთ, ჩვენი კვლევა და შემოქმედება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის აღმშენებლობის საქმეში მცირედი კონტრიბუცია იქნება.

ბ ბიბლიოგრაფია

1. ახალი აღთქმა, 1896 წ.
2. გ. თევზაძე, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, 1993 წ.
3. დ. ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, 1986 წ.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2004 წ.
5. თ. ჯაყელი, მასალები სემინარისთვის „პლურილინგვიზმი“, 2004 წ.
6. თ. ჯაყელი, მასალები სემინარისთვის „კურიკულუმის განვითარება საქართველოში“, 2003 წ.
7. ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, 1979 წ.
8. ლოცვანი, ერგასისა, თბილისი, 1902წ.
9. მცირე კურთხევანი, 1898 წ.
10. პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1987
11. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1978
12. სასწავლო გეგმა, 1997 წ.
13. A.W. Foshay Curriculum de l'éducation, Conseil de l'europe, Strasbourg, 1998.
14. Apprentissage multisensoriel. Paris. 1993.
15. C. Gerbeau, Des langues vivantes à l'école primaire, Nathan Pedagogie, 1996.
16. C. O' Neil, Les enfants et l'enseignement des langues étrangères, Didier, 1993.
17. Curricula et instruments pédagogiques dans l'enseignement/l'apprentissage du FLE en Europe centrale et orientale, Commission Europe centrale et orientale, 2002
18. D. Little, The European language Portfolio, EC ,2000.
19. D. Luissier, Évaluer les apprentissages, HACHETTE ,1992.
20. Des langues vivantes à l'école, CIEP, 1996.
21. Dictionnaire, Office de la langue française, 2001.
22. Draft Syllabus, Queensland school Curriculum Council, 2002.
23. Eisner et Vallance “ Conflicting Conceptions of curriculum” Berkeley, 1974.
24. Enseignement et apprentissage des langues étrangères: Action communautaire commission europeene, direction generale Éducation et Culture.
25. Enseignement scolaire et dimension internationale, MENF, 2002.
26. F. Cereal, Modern languages and interculturality in the primary sector in England, Greece, Italy, Spain, Mediterranean Journal of educational studies, 1997.
27. F. GRIN, L'économie de la langue et in practice, Harper Collins Publishers, 1993.

28. G. Delaire, La vie scolaire, Nathan, 1997.
29. G.M. WILLEMS, Politique de formation des professeurs de langues en faveur de la diversité linguistique et de la communication interculturelle. conseil de l'europe, 2002.
30. Good C.V. Dictionary of education, 1959.
31. H. GARDNER, Multiple Intelligences. The Theory in practice, Harper Collins Publishers,1993.
32. H.O. Rugg. foundation for American Education,1978.
33. H. Pillay, National Standards and Curriculum Reform, Republic of Georgia, 2003.
34. J-C. BEACCO, Les dimensions culturelles des enseignements de langues, 1995.
35. J-C BEACCO, M. BYRAM, Guide pour l'élaboration des politiques linguistiques éducatives en Europe, *version de synthèse*. conseil de l'europe, 2002.
36. J-C BEACCO, M. BYRAM, Guide pour l'élaboration des politiques linguistiques éducatives en Europe, *version intégrale*. conseil de l'europe, 2002.
37. J-M Leclercq, La référence croissante à la notion de curriculum dans les pays étrangers. 1991.
38. J. Hamonet-babonneau, The Teacher's Survival Kit, CRDP de Bretagne, 1993.
39. L. Fuse, C. Pontecorvo " Il curricolo, prospettive teoriche e problemi" Loescher, Torino, 1981.
40. La formation tout au long de la vie, CIEP, 1997.
41. L'enseignement des langues vivantes étrangères à l'école primaire: Rapport, 2002.
<http://www.education.gouv.fr/syst/igen/rapport.htm>
42. Les langues à l'école: un apprentissage?, Colloque IUFM, 1996.
43. Les langues à l'école: Une question politiques, Educatuer,2002.
44. L'évaluation des élèves, CIEP,1996.
45. L'évaluation (ნაშრომთა კრებულები) , Hachette,1996.
46. Ley organica de ordenacion general del sistema educativo, 1990.
47. LINDA V. WILLIAMS, Teaching for the two-sided mind, Prentice hall Inc, 1983.
48. L'introduction de l'éveil aux langues dans le curriculum, CELV, Graz,2000.
49. Lorraine Loviglio, Mathematics and the Brain, Massachusetts,1981
50. M. BYRAM, B. GRIBKOVA, H. STARKEY, Développer la dimension interculturelle dans l'enseignement des langues. conseil de l'europe, 2002.
51. M.Candelier, Eveil aux langues: Rapport concernant les objectifs: Version provisoire, Socrates-lingua,2001.
52. M. Felberbauer, Foreign language education in primary school, Graz,1998.

53. P. Giolitto, Enseigner l'éducation civique à l'école, Hachette, paris, 1993.
54. Programmes et politiques éducatives, CIEP,1996.
55. Qu'est-ce qu'un programme d'enseignement?, Centre National de documentation pédagogique, 1994.
56. R. Borderie, L'école du XXI^e siècle, Nathan, 1997.
57. R.H. McKim. Experiences in Visual Thinking, Monterey,1972
58. Rapport sur l'évaluation de la qualité de l'enseignement des langues vivantes à l'école primaire,2002. <http://www.education.gouv.fr/syst/igen/rapport.htm>
59. S. Bolton, Évaluation de la compétence communicative en langue étrangère, Hatier/Didier, 1991.
60. Tanner curriculum development __ Theori into Practise, 1975.
61. Ulf Lundgren “ The struggle for democratic education in Sweden” The Falmer Press, Lewes, 1989.
62. Une didactique des langues pour demain, Actes du Colloque international du crapel, Université de Nancy, 2000.
63. Williams J.J. , The New Art Of the Possible, Cambridge,1980
- 64.иностраннные языки, министерство образования российской федерации, 2000
65. кисляков, физиология вестибулярной системы, москва,1966